

ადვინისტრაციული პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2017, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №10

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები

მიკუთვნებული ნივთის მოსარჩელისათვის ანაზღაურების გზით აღსრულება

განჩინება

№ბს-586-566(კს-13)

13 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

ი.მ. ბ. ქ-მა 01.06.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და 23.05.07წ. №00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის და 28.05.07წ. №1516 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა მოითხოვა. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელემ მოითხოვა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130“ და მასზე არსებული ტვირთის გამოყვანის ნების მიცემა.

გორის რაიონული სასამართლოს 14.06.07 წ. გადაწყვეტილებით ბ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გორის საგადასახადო ინსპექციის 23.05.07 წ. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №00737 და მისგან გამომდინარე ყველა შედეგი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გორის რაიონული სასამართლოს 14.06.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი.მ. ბ. ქ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 23.05.07 წ. №00737

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 28.05.07 წ. №1516 საგადასახადო მოთხოვნა. აღნიშნულ გადანყვეტილებაზე გორის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.09.08 წ. განჩინებით მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08 წ. გადანყვეტილებაზე 24.10.08 წ. გაცა სააღსრულებო ფურცელი.

05.12.08წ. ბ.ქ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო პალატის 14.02.08წ. გადანყვეტილების განმარტება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.02.09 წ. განჩინებით ამავე სასამართლოს 14.02.08 წ. გადანყვეტილება განიმარტა შემდეგნაირად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08 წ. გადანყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და შესაბამისად, დაკმაყოფილდა აგრეთვე ი.მ „ბ. ქ-ის“ სარჩელის მოთხოვნა და ი.მ „ბ.ქ-ს“ ნება დაერთო შპს „...“ გამოეყვანა ავტომანქანა „ზილ-130“ და მასზე არსებული ტვირთი. აღნიშნულ განჩინებაზე გაცა სააღსრულებო ფურცელი.

ბ. ქ-მა 18.06.12წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ვერ ხერხდებოდა სააპელაციო სასამართლოს 14.02.08წ. გადანყვეტილების აღსრულება, მოითხოვა მოძრავი ნივთების (ალკოჰოლური სასმელების) ღირებულების – 77 161 ლარით განსაზღვრა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.07.12წ. განჩინებით ბ. ქ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ბ. ქ-მა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130-ზე“ არსებული ტვირთი უკან ვერ დაიბრუნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ 14.02.08წ. გადანყვეტილებაში არ არის დადგენილი სადავო ნივთების ღირებულება, განცხადებაზე თანდართული საქართველოს დამოუკიდებელი საექსპერტო-საარბიტრაჟო პალატის 23.03.07წ. ცნობა №03-80 საქმის განხილვისას არ იყო წარმოდგენილი, შესაბამისად არ ყოფილა სასამართლოს მსჯელობის საგანი. რაც შეეხება გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ

23.05.07წ. შედგენილ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, რომელშიც მითითებული იყო ალკოჰოლური სასმელების საერთო საბაზრო ღირებულება, ოქმი სააპელაციო პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით ბ. ქ-მა გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.13წ. განჩინებით ბ. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.07.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია და მისი შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონის სხვადასხვა ნორმებით, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საეჭვო არ არის სასამართლოს მიერ ქონების გადაცემის დაკისრების ვალდებულება. სსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად, მხარეს, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საშიშროებისას (ქონების განადგურება და სხვ.) უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ქონების ღირებულების განსაზღვრა. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება, მოსარჩელეს ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ სარჩელის ხელახლა აღძვრის საჭიროება არ წარმოეშობა. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში დაცულ საქართველოს დამოუკიდებელი საექსპერტო-საარბიტრაჟო პალატის 23.03.07წ. №03-180 ცნობაზე, რომლის თანახმად ალკოჰოლური სასმელების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 77162,20 ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით (65 394 ლარი დღგ-ს გამოკლებით). სსკ-ის 105-ე მუხლი ავალდებს სასამართლოს დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის სწორად გადაწყვეტისათვის. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნა დაარღვია, განჩინება არ დაასაბუთა და არ განსაზღვრა იმ ნივთების ღირებულება, რომლებიც ბ. ქ-ისათვის უნდა დაებრუნებიათ, რაც გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით აღსრულებას საფრთხეს უქმნის. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის

ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებანი, გამოარკვიოს და განსაზღვროს კონკრეტულად ნივთების (ალკოჰოლური სასმელები) ღირებულება და აღნიშნული ასახოს გადაწყვეტილებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.13წ. განჩინებით ბ. ქ-ის განცხადება მოძრავი ნივთების ღირებულების განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილდა. 24.03.07 წ. ქ. გორის ტერმინალში განთავსებულ ავტომანქანაზე, ზილ-130, სახელმწიფო ნომრით ..., არსებული ტვირთის ღირებულება განისაზღვრა 77 161,20 ლარით დღგ-ს გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.02.08 წ. კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში არ იყო განსაზღვრული სადავო ნივთების ღირებულება, აღნიშნული არ ყოფილა სასამართლოს მსჯელობის საგანი. გარდა ამისა, ბ. ქ-მა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130-ზე“ არსებული ტვირთი უკან ვერ დაიბრუნა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 253-ე დანაწესი მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შეწყობასა და მის გამარტივებას, თუ განწყვეტილების აღსრულებისას სადავო ნივთი მოპასუხესთან არ აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში, აღსრულება უნდა მოხდეს მიკუთვნებული ნივთის მოსარჩელისათვის ანაზღაურების გზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.13 წ. განჩინება კერძო საჩივრით სსიპ შემოსავლების სამსახურმა გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2011წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბ. ქ-ის სარჩელი სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნაზე არ დაკმაყოფილდა. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სსკ-ის 253-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანია ნივთის მიკუთვნება, რაც გულისხმობს ნივთზე საკუთრების უფლების დადგენას და ამ ნივთის მოპასუხისაგან მოსარჩელისათვის (განმცხადებლისათვის) გადაცემას კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ბ. ქ-ის კუთვნილი ტვირთი 24.03.07 წ. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა შესანახად განათავსეს

შპს „...“ ისე, რომ არ მომხდარა მესაკუთრის შეცვლა. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით განჩინებაში იმაზე მითითებით, რომ თუ მოპასუხეს სადავო ნივთი არ აღმოაჩნდება, აღსრულება უნდა მოხდეს მიკუთვნებული ნივთის (საქონლის) ღირებულების ანაზღაურების გზით, სააპელაციო სასამართლო გასცდა განმცხადებლის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს ოპერატიული თანამშრომლის მიერ, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დადების მიზნით, სატრანსპორტო საშუალება და მასზე განთავსებული ტვირთი 24.03.07წ. დაილუქა და მოთავსდა ქ.გორის ტერმინალის ტერიტორიაზე. სასაქონლო ზედნადების არასწორად შევსების გამო საგადასახადო ინსპექციის მიერ 23.05.07წ. შედგა სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო 28.05.07წ. საგადასახადო მოთხოვნით ზედნადების არასწორად შევსების გამო ი.მ. „ბ. ქ-ს“, საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაეკისრა ჯარიმა 65 394 ლარის ოდენობით. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 23.05.07წ. №00737 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის 28.05.07წ. №1516 საგადასა-

ხადო მოთხოვნა. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.02.09წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ი.მ „ბ. ქ-ის“ განცხადება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილება განიმარტა შემდგენიარად: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ის“ სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და შესაბამისად დაკმაყოფილდა ი.მ „ბ. ქ-ის“ სარჩელის მოთხოვნა და ინდივიდუალურ მენარმეს ნება დაერთო გამოეყვანა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130“ და მასზე არსებული ტვირთი.

სსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ განმცხადებელმა ბ. ქ-მა შპს „...“ ავტომანქანა „ზილ-130-ზე“ განლაგებული ტვირთი ვერ დაიბრუნა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.11წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბ. ქ-ს უარი ეთქვა მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დავალებულებაზე სოლიდარულად აუნაზღაურონ მას შპს „...“ განთავსებული მოძრავი ნივთების დაუბრუნებლობით გამოწვეული მატერიალური ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 08.07.11წ. გადაწყვეტილებით მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის არაბრალეულობის დადგენა ტვირთის განადგურებაში, არ გამორიცხავს სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე იმ ნივთების ღირებულების განსაზღვრას, რომელიც მოსარჩელეს მოპასუხისაგან სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა გადაეცეს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ აკონკრეტებს რაიმე შემთხვევას, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოსარჩელისათვის მიკუთვნებული ნივთის მოპასუხის მფლობელობიდან გასვლა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სსსკ-ის 253-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ დავის საგანი ეხება ნივთის მიკუთვნებას, რაც მოიცავს ნივთზე საკუთრების უფლების დადგენასა და ამ ნივთის მოპასუხისაგან მოსარჩელისათვის (განმცხადებლისათვის) გადაცემას კანონიერ ძალა-

ში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სსკ-ის 253-ე მუხლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. აღნიშნული ნორმის შინაარსი არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული სახის (მიკუთვნებით) სარჩელთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო ქონების ღირებულების ასახვას, მუხლი ზოგადად ვრცელდება ისეთ მოთხოვნებზე, რომლებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მოპასუხისაგან მოსარჩელისათვის ნივთის გადაცემით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ალტერნატიული გზა, რათა გადაწყვეტილების ძირითადი საშუალებით აღსრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი თანხის ჩანაცვლებით გარანტირებულ იქნეს ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება. ის გარემოება, რომ ბ. ქ-ის ტვირთის შპს „...“ შესანახად განთავსებისას მესაკუთრე არ შეცვლილა, არ გამოიყენება მითითებული საპროცესო ნორმის გამოყენებას, ვინაიდან სსკ-ის 253-ე მუხლის გამოყენება არ არის დამოკიდებული მოპასუხის მფლობელობაში ნივთის გადაცემის ფორმაზე, ასევე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის დაკმაყოფილებით დადგინდა მოსარჩელისათვის ნივთის ნატურით გადაცემა.

სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე ქონების ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. კანონიერ ძალაში მყოფი სააპელაციო სასამართლოს 17.02.09წ. განჩინებით განიმარტა, რომ 14.02.08წ. გადაწყვეტილებით ი.მ. „ბ. ქ-ს“ ნება დაერთო გამოეყვანა შპს „...“ ავტომანქანაზე და მასზე არსებული ტვირთი. სააპელაციო სასამართლოს 14.02.08წ. გადაწყვეტილებით და 17.02.09წ. განჩინებით არ განსაზღვრულა ტვირთის ღირებულება. საქმეზე დადგენილია აგრეთვე, რომ ბ. ქ-მა შპს „...“ ტვირთი უკან ვერ დაიბრუნა, რაც სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე ქმნის ქონების ღირებულების განსაზღვრის საფუძველს. მხედველობაშია მისაღები, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი იმ ქონების ღირებულების განსაზღვრას ითხოვს, რომელიც სასამართლო აქტით უნდა დაბრუნებოდა და ვერ დაიბრუნა და არა ქონებაზე განეული ხარჯების ზიანის სახით ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში ნივთის მოსარჩელისათვის ანაზღაურების გზით აღსრულებაზე მითითებით სააპელაციო სასამართლო გაცდა განმცხადებლის მოთხოვნას. სსკ-ის 253-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ სადავო ნივთის ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ალტერნატიულ შესაძლებლობას, აღსრულების ერთგვარ გარანტიას. თავად განმცხადებლის მიზანია მისთვის სასამართლო გადაწყვეტილებით დაბრუნებული ნივთების ღირებულების განსაზღვრა ამავე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან საქმეზე დადგენილია ის გარემოება, რომ მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება შეასრულოს და მოსარჩელეს დაუბრუნოს კუთვნილი მოძრავი ნივთები.

გადაწყვეტილების აღსრულება მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილია, გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. სასამართლოს უფლება არის არა თეორიული, არამედ შედეგზე ორიენტირებული უფლება, ის ქმნის გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების ლეგიტიმურ მოლოდინს. სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას, რომელიც არარეალური იქნებოდა, თუ სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ მიჩნეულიყო არაქმედიტად. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს, სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა აუცილებელს ხდის მისი აღსრულების უზრუნველყოფას, რის გამოც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით, ყოველგვარი საექსპოზიციის გარეშე, ზუსტად უნდა განსაზღვროს მოდავე პირთა უფლება-მოვალეობები (იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ“ §34, „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ §40, „იზა და მ-ძე საქართველოს წინააღმდეგ“ §42). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.07.056. №1/14/184,228 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მიუღებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც უფლება ფორმალურად აღიარებულია, მაგრამ გაუმართლებლადაა გარ-

თულებული მისი რეალიზაცია, – მით უმეტეს, როდესაც საქმე შეეხება სასამართლოს მიერ აღიარებულ უფლებას, დაუშვებელია, როდესაც უფლება აღიარებულია და ამავე დროს უარყოფილიც. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია კანონმდებლობით, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს გამოიტანოს აღსრულებადი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს 04.06.13წ. განჩინებით აღინიშნა, რომ სახეზეა აღსრულებადი გადაწყვეტილება, მხარეს უფლება აქვს, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ხელი შეუწყოს და უფრო მეტად გარანტირებული გახადოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, მხარე, რომელიც ითხოვს ქონების მიკუთვნებას, გადაწყვეტილების აღსრულებლობის საშიშროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს ქონების ღირებულების განსაზღვრა, რაც საკასაციო პალატის მითითების თანახმად, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებას და გამორიცხავს ქონების ღირებულების ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრის საჭიროებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატის 04.06.13წ. განჩინებით სააპელაციო სასამართლოს დაევალა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს 25.09.13წ. განჩინებით სწორად განისაზღვრა ტვირთის ღირებულება, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საქმის მასალებზე და პროცესუალურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ 23.05.07წ. №00737 ოქმის თანახმად, ალკოჰოლური სასმელების საერთო საბაზრო ღირებულებამ, დღგ-ს გათვალისწინებით, შეადგინა 77161,20 ლარი, ხოლო დღგ-ს გამოკლებით 65 394 ლარი. დადგენილი წესის დარღვევით საქონლის ტრანსპორტირებისათვის საქონლის ღირებულება (დღგ-ს გარეშე – 65 394 ლარი), იმჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის 143.3 მუხლის საფუძველზე, საჯარიმო თანხის სახით დაეკისრა ი.მ „ბ. ქ-ს“ 28.05.07წ. №1516 საგადასახადო მოთხოვნით. ხსენებული აქტები სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა არა საქონლის ღირებულების არასწორი მითითების, არამედ სასაქონლო ზედნადების შევსების დადგენილი წესის დარღვევის არარსებობის გამო. საქმეში დაცული სასაქონლო ზედნადების თანახმად, ავტომანქანას გადაჰქონდა ტვირთი – ალკოჰოლური სასმელები – 1710 ბოთლი (163 ყუთი), რომლის ღირებულება შეადგენდა 75 500 ლარს. საქმის მასალებში დაცულია აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებელი საექსპერტო-საარბიტრაჟო პალატის

23.03.076. №03-180 დასკვნა, რომლის თანახმად ავტომანქანა „ზილ-130-ზე“, სახელმწიფო ნომრით ..., განთავსებული პროდუქტის, კერძოს ალკოჰოლური სასმელების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 77160.20 ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით (დღგ-ს გამოკლებით – 65 394 ლარს).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ 25.09.13 წ. განჩინებაში გამოთქმული მოსაზრება სსსკ-ის 253-ე მუხლთან მიმართებით არ ეწინააღმდეგება თავად აღნიშნული ნორმის მიზანს და ამასთან, იგი თანხვედრაშია ბ. ქ-ის კერძო საჩივარზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.13 წ. განჩინებაში მიცემულ განმარტებასთან.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.13წ. განჩინებაზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.13წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო წარმოებაში მხარის ინფორმირების ვალდებულება

განჩინება

№ბს-551-538(3კ-14)

29 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააღსრულებო მოქმედებების გაუქმება, ინ-
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-
ლად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ემ 18.03.2013წ. განცხადებით მიმართა ბათუმის საქა-
ლაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნ-
ველყოფის ღონისძიების გამოყენების, კერძოდ, ქ.ბათუმში, ...
ქ.45/...ქ.79-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ნებისმიერი სარეგის-
ტრაციო წარმოების აკრძალვის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 18.03.2013წ. განჩინებით მ. მ-ის განცხადება ნაწი-
ლობრივ დაკმაყოფილდა, საჯარო რეესტრის ეროვნული საა-
გენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა ქ. ბა-
თუმში, ... ქ.45/...ქ.79-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების
შესახებ სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება, განჩი-
ნება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მ. მ-ემ 28.03.2013წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო
სასამართლოს მოპასუხეების მ. ზ-ის, აღსრულების ეროვნული
ბიუროს და შპს „...“ მიმართ აღსრულების ეროვნული ბიუროს
05.01.2013წ. განკარგულების ბათილად ცნობის, პირვანდელი
მდგომარეობის აღდგენის და კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მი-
ერ ჩატარებული სააღსრულებო წარმოების უკანონოდ ცნობის
მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასსა და გ. ა-ეს შორის
04.03.2012წ. დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომ-
ლითაც მ. მ-ეს გადაეცა 40 000 აშშ დოლარი სამი თვის ვადით,
თვეში 4%-ის დარიცხვით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთე-
კით დაიტვირთა მ. მ-ის საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში

მდებარე უძრავი ქონება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 27.08.2012წ. ნოტარიუს ლ. ჭ-ას მიერ იპოთეკარ გ. ა-ის მიმართვის საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი მ. მ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. სააღსრულებო ფურცელი იძულებით აღსასრულებლად გადაეცა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც მოსარჩელის თქმით მას არ შეატყობინა ის ფაქტი, რომ იძულებითი აღსრულების ფარგლებში აპირებდა მისი ქონების რეალიზებას აუქციონის მეშვეობით. არასწორია საფოსტო უკუგზავნილზე გაკეთებული აღნიშვნა, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე (ქ. ბათუმი, ... ქ. 45) არ ცხოვრობს და ფართი გაქირავებულია, რადგან მოსარჩელე იმყოფებოდა ბათუმში და მუშაობდა საარჩევნო შტაბში. მოსარჩელე თვლის, რომ იძულებით აუქციონზე მისი უძრავი ქონება გაიყიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგან მ. მ-ეს არ ჰქონდა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების დაწყების, ქონების დაყადაღების და აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანის შესახებ, შესაბამისად, მას არ მიეცა საშუალება ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების გზით თავიდან აეცილებინა ქონების იძულებითი რეალიზაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14.6, 25.6 და 25.7 მუხლებზე მითითებით მ. მ-ემ აღნიშნა, რომ აღმასრულებელმა არ მოითხოვა საფოსტო სამსახურისგან სათანადო წესით გზავნილის ჩაბარება, მიიღო არასათანადოდ შევსებული უკუგზავნილი და დაუსაბუთებლად გამოიყენა ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების საჯარო გამოქვეყნება. აღმასრულებელს აგრეთვე არ შეუდგენია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აღწერა-დაყადაღების აქტი, რითაც დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მოთხოვნები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2013წ. განჩინებით ასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო გ. ა-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.02.2014წ. გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზ-ის მიერ 30.08.2012წ. შედგენილი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადება, მ. მ-ის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ 31.12.2012წ. გამართული იძულებითი აუქციონის შედეგები და აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 04.04.2012წ. მ. მ-ესა და გ. ა-ეს შორის

დაიდო სესხის ხელშეკრულება 40 000 აშშ დოლარზე, სამი თვის ვადით, თვეში 4%-ის დარიცხვით, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრთა მ. მ-ის კუთვნილი, ქ. ბათუმში, ... ქ. №45/...ქ. №79-ში მდებარე 55,61 კვ.მ ფართის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მ. მ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 27.08.2007წ. იპოთეკარმა გ. ა-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუს ლ. ჭ-ას სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. 27.08.2012წ. ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მ. მ-ეს გადასახდელი ვალდებულება შეადგენდა სულ 52 754 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით 30.08.2012წ. წარედგინა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც იმავე დღეს შეადგინა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ და შპს „...“ მეშვეობით ორჯერ გაუგზავნა მ. მ-ეს, რომელსაც გზავნილი არ ჩაბარდა, ჩაუბარებლობის მიზეზად მიეთითა, რომ ფართი გაქირავებული იყო და მ. მ-ე იქ აღარ ცხოვრობდა. 20.09.2012წ. მ. ზ-ემ ადგილზე მისვლით მოახდინა მ. მ-ის იპოთეკით დატვირთული ქონების აღწერა და დაყადაღება, რაზეც შეადგინა შესაბამისი აქტი. მ. ზ-ემ შეადგინა ოქმი, რომელშიც აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების მოვალისათვის ჩაბარების მიზნით გამოცხადდა მოვალის მისამართზე, სადაც გაირკვა, რომ მოვალე აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს, ერთი წელია ფართი გაქირავებულია მ. დ-ზე და შენობაში ფუნქციონირებს კაფე-ბარი, მ. დ-ის განცხადებით მ. მ-ე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მ. ზ-ემ მიიჩნია, რომ მ. მ-ისათვის გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარების სხვა საშუალებები ამონაწერი იყო და 26.09.2012წ. მიიღო განკარგულება წინადადების საჯარო გამოქვეყნების შესახებ, რომელიც 27.09.2012წ. განთავსდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე. მ. ზ-ის მოთხოვნით შესრულებული 02.12.2012წ. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის თანახმად, დაყადაღებული ფართის ღირებულებამ შეადგინა 120 000 ლარი. 31.12.2012წ. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარდა იძულებითი (ონლაინ) აუქციონი, რომელზეც გატანილ იქნა მ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონება. უძრავი ქონების მესაკუთრე აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულებით გახდა კრედიტორი - გ. ა-ე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ზ-ის მიერ აღსრულების დაწყებისა და გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ წინადადების საჯარო გამოქვეყნების პერიოდ-

ში მოვალე მ. მ-ეს არ ჰქონია შეცვლილი საცხოვრებელი მისამართი და არც მისი ადგილსამყოფელი იყო უცნობი, აღმასრულებლისთვის ცნობილი იყო მოვალის მისამართი, უძრავი ნივთის მდებარეობა: ქ.ბათუმი, ... ქ.45/...ქ.79. საფოსტო უკუგზავნილში მითითებული იყო, რომ მოვალე მისამართზე არ იმყოფება, რაც სასამართლოს მოსაზრებით არ ნიშნავს მისთვის გზავნილის ჩაბარების შეუძლებლობას და სსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობას, რადგან მართალია მოვალე ფაქტობრივად არ იმყოფებოდა მისამართზე, თუმცა შეცვლილი არ ჰქონია საცხოვრებელი ადგილი, ის პერიოდულად მიდიოდა დამქირავებელთან, ამასთანავე 2012 წლის 01 სექტემბრიდან ამავე წლის 01 ოქტომბრამდე იყო ქ. ბათუმში, №52 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ აღსრულების მიმდინარეობის პერიოდში ადვოკატი ა. ბ-ა იყო მ. მ-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რადგან მინდობილობა გაცემულია 08.10.2012წ., ხოლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადება შედგენილია 30.08.2012წ. და გამოქვეყნებულია 27.09.2012წ.. ამასთანავე, მართალია ა. ბ-ა 08.10.2012წ. მივიდა კერძო აღმასრულებელთან მოვალე მ. მ-ის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, თუმცა არ წარუდგენია სათანადო მინდობილობა, მინდობილობა აღმასრულებელს მხოლოდ იძულებითი აუქციონის გამართვის შემდეგ წარედგინა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ბ-ასთვის მ. მ-ის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ შეიძლება ჩიათვალოს მოვალისათვის ინფორმაციის მიწოდებად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 14⁶, 14⁷, 25-ე, სსკ-ის 71-ე, 73.1, 70.3, 73.7, 73.8, 74.3, 78-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ უნდა შეფასდეს რამდენად არსებობდა კერძო აღმასრულებლის მიერ სსკ-ის 78-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები, რისთვისაც უნდა დადგინდეს იყო თუ არა ამონურული სსკ-ის 70-78-ე მუხლებით განსაზღვრული კორესპონდენციის ჩაბარების ყველა საშუალება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სააღსრულებო წარმოების სამართლებრივ შედეგს ხშირად წარმოადგენს მოვალის კუთვნილი უძრავი ქონების მისი საკუთრებიდან იძულებითი გამოსვლა და რეალიზაცია, რაც განსაკუთრებით ზრდის სააღსრულებო წარმოების მნიშვნელობას. შესაბამისად, აღმასრულებელი ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს მხარეთა უფლებების დაცვა იმ მხრივ, რომ მხარეს დროულად უნდა მიენოდოს ინფორმაცია

მიმდინარე სააღსრულებო მოქმედებებისა და მათი სამართლებრივი შედეგების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ზ-ის მიერ არ ყოფილა ამონაწერი სსკ-ის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული გზავნილის ჩაბარების შესაძლებლობა, რადგან განხორციელებულ მოქმედებებთან ერთად აღმასრულებელს უნდა გამოეყენებინა სხვა ღონისძიებებიც, კერძოდ, მ. ზ-ეს შეეძლო უფლებამოსილი ორგანოებისგან მოეთხოვა ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შეცვლის ან სამუშაო ადგილის შესახებ, ასევე შეეძლო დაედგინა ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა მ. მ-ე საზღვარგარეთ ან მოვალის მოძებნა დაევალებინა პოლიციის შესაბამისი განყოფილების უზნის ინსპექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. სასამართლოს მოსაზრებით აღმასრულებელს უნდა ეცადა მ. მ-ეს დაკავშირებოდა მ. კ-ას მეშვეობით, რომელიც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იყო მ. მ-ის წარმომადგენელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ამ გარემოებების გამოკვლევის შემდეგ, როდესაც დადგინდებოდა, რომ შეუძლებელია კორესპონდენციის მ. მ-ისათვის ჩაბარება, კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილი იქნებოდა გამოეყენებინა სსკ-ის 78-ე მუხლი. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არასწორად იქნა გამოყენებული სსკ-ის 78-ე მუხლი, თუმცა მიუთითა, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ აღნიშნული ქმედება არ ყოფილა ჩადენილი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალე მ. მ-ის მიმართ სააღსრულებო მოქმედებები ხელახლა უნდა იქნეს ჩატარებული.

რაც შეეხება აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულებას, სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³, 69.1, 75.3, 14⁷.7, 14⁷.8, 14⁷.12 მუხლებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011წ. №21 ბრძანებით დამტკიცებულ „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების“ 1.1 მუხლზე და აღნიშნა, რომ მ. ზ-ის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სააუქციონო მომსახურების განევის შესახებ განაცხადით მიმართვის შემდეგ, ეროვნული ბიუროს მიერ კერძო აღმასრულებლის წარდგენილ დოკუმენტაციაზე ხარვეზი არ დადგენილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იყო სრულყოფილად გამოეკვლია ყველა გარემოება, რაც უკავშირდებოდა არსებული დოკუმენტაციის კანონშესაბამისობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ზაკ-ის მე-60¹ მუხლის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ

არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან იგი მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაუცველად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.02.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, გ. ა-ემ და მ. ზ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, გ. ა-ის და მ. ზ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ სსკ-ის 78-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე საჯარო შეტყობინება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალებაა, რომელსაც უფლებამოსილმა პირმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, თუ ამონურულია მხარის ინფორმირების სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გზავნილები მ. მ-ეს გაეგზავნა მისამართზე: ქ. ბათუმი, ... ქ. №45, თუმცა მ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონების სრული მისამართია: ქ. ბათუმი, ... ქ. №45/ ...ქ. №79, ამასთან ფოსტის მუშაკის ჩანაწერებით პირველ შემთხვევაში გზავნილის მიმღებად მითითებულია მ. დ-ი, როგორც „ამხანაგი“ და „საიმედო პირი“, ხოლო იმავე თარიღის გზავნილის ეგზემპლარზე მითითებულია, რომ ფართი იყო გაქირავებული და მ. მ-ე აღნიშნულ მისამართზე არ იმყოფებოდა. აღნიშნულ მისამართზე ადრესატის არყოფნის შესახებ მითითებულია აგრეთვე მეორე გზავნილზე. პალატამ მიიჩნია, რომ ხსენებული საფოსტო დოკუმენტები არ იძლეოდა მ. მ-ის ადგილსამყოფელის შესახებ უტყუარ ინფორმაციას მათი ბუნდოვანების და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის გამო. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს სსკ-ის 73-74-ე მუხლების მოთხოვნებს, შესაბამისად კერძო აღმასრულებელს არ უნდა მიეჩნია საჯარო შეტყობინების გამოყენების წინაპირობები შესრულებულად, არ იყო ამონურული მხარის ინფორმირების ყველა რესურსი. ამასთანავე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.13წ. განკარგულების კანონშეუსაბამობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუროს გააჩნდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14⁷ მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესის

გამოყენების ვალდებულება, რის გამოც სახეზეა ზაკ-ის 60¹ მუხლის საფუძველზე მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, გ. ა-ემ და მ. ზ-ემ.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ განჩინებაში მოყვანილი არგუმენტაცია გაუგებარი და ლოგიკურ მსჯელობას არის მოკლებული, სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს და სასამართლოს დაავალა ისეთი სამართლებრივი ტვირთის ზიდვა, რომელიც სცილდება კანონმდებლობის ფარგლებს, ნერგავს რა უწყების ჩაბარების ახალ პრაქტიკას. სააპელაციო პალატას ჩიხში შეჰყავს აღსრულების და თავად სასამართლოს საქმიანობა, სასამართლო დაეყრდნო მოგონილ გარემოებებს და გასცა მონინააღმდეგე მხარისათვის მაქსიმალურად მისაღები განმარტება. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლო ცვლის საპროცესო ნორმების გამოყენების აქამდე არსებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, მოითხოვს აღმასრულებელგანისათვის ისეთი ქმედებების ჩატარებას, რომელსაც თავად სასამართლო არ ახდენს უწყების ჩაბარებისას. კასატორი თვლის, რომ ახალი სტანდარტი მორგებულია მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე.

გ. ა-ის საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, აღმასრულებელმა მ. მ-ის ადგილსამყოფლის დასადგენად განახორციელა ყველა შესაძლო ქმედება, ამონურა კანონით დადგენილი ყველა შესაძლებლობა და მხოლოდ ამის შემდგომ გამოიყენა საჯარო გამოქვეყნება, რისი უფლებაც მას მინიჭებული ჰქონდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად. სასამართლოს დასკვნები წინააღმდეგობრივია, რადგან განჩინებაში ერთი მხრივ დადგენილია, რომ მ. მ-ეს არ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი ადგილი, ხოლო მეორე მხრივ გაზიარებულია მოწმის ჩვენება, რომ მ. მ-ე მიდიოდა გაქირავებულ მისამართზე თანხის ასაღებად, რაც თავისთავად გამორიცხავს აღნიშნულ მისამართზე მ. მ-ის ცხოვრებას. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სკ-ის მე-20 მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის შესაძლებლობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე კასატორმა აღნიშნა, რომ მ. მ-ემ თავის საცხოვრებელ მისამართად მიუთითა ბათუმი, ... ქ. 45, ამდენად, სასამართლოს

დასკვნა, რომ აღმასრულებელს უნდა მოეძიებინა მ. მ-ის სხვა საცხოვრებელი მისამართი არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან და საქმის მასალებიდან. კასატორმა მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25.6, სსკ-ის 70-ე, 71-ე, 73-ე, 78-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მ. მ-ეს სარჩელში იგივე მისამართი ჰქონდა მითითებული, რომელიც აღმასრულებლისათვის იყო ცნობილი და რომელ მისამართზეც ორჯერ გაიგზავნა შეტყობინება. გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა მისამართზე მოვალის არყოფნის გამო, მითითება მისამართის უსწორობაზე გაკეთებული არ ყოფილა. ამდენად, წინმსწრები ქმედებების გათვალისწინებით, კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილი იყო საჯარო შეტყობინების გზით მოედინა მოვალის ინფორმირება. ამასთანავე, მისამართის შეცვლის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს აღმასრულებელს, თუმცა ეს ქმედება მ. მ-ეს არ განუხორციელებია, რადგან იგი განზრახ არიდებდა თავს ვალდებულების შესრულებას.

კასატორმა, კერძო აღმასრულებელმა მ. ზ-ემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. განჩინებაში ასახული სსკ-ის 70-78 მუხლების განმარტება წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ სასამართლო პრაქტიკასთან, სასამართლოს მითითებების პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელია. კასატორი მიიჩნევს, რომ მის მიერ გამოყენებული იქნა მოვალის ინფორმირების ყველა შესაძლო გზა, რაც სასამართლომ საკმარისად არ ჩათვალა, თუმცა არ მიუთითა რა ღონისძიებების გატარება იქნებოდა საკმარისი. განჩინებით კერძო აღმასრულებელს უნესდება გზავნილის ჩაბარების ისეთი სტანდარტი, რომელსაც თვითონ სასამართლო არ იცავს. საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მოსაზრება მოვალის პოლიციის მემვეობით ძებნის სავალდებულობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანო ვერ შეძლებს საკუთარი რესურსებით სასამართლოს მითითებების შესაბამისად გზავნილის ჩაბარების უზრუნველყოფას.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და მოითხოვა საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ გ. ა-ის, მ. ზ-ის და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ მ. მ-ის მიერ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 27.08.2012წ. იპოთეკარმა გ. ა-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუს ლ. ჭ-ას სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. 27.08.2012წ. ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად მ. მ-ის გადასახდელი ვალდებულება შეადგენდა სულ 52 754 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს, დადგინდა იპოთეკის საგნის: უძრავი ქონების რეალიზაცია, მოვალის საცხოვრებელ მისამართად მიეთითა: ქ. ბათუმი, ... ქ. 45. 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით 30.08.2012წ. წარედგინა კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ეს, რომელმაც იმავე დღეს შეადგინა წინადადება გადანყვეტილების ნებავყოფლობითი შესრულების შესახებ და შპს „...“ მეშვეობით ორჯერ 05.09.2012წ. და 10.09.2012წ. გაუგზავნა მ. მ-ეს, რომელსაც გზავნილები არ ჩაჰბარდა.

სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ მოვალის ინფორმირება წარმოადგენს აღმასრულებლის ინიციატივით მოვალეზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესახებ ვალდებულებას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25.7 მუხ.). აღმასრულებლის ინიციატივით მოვალეზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროის და ადგილის შესახებ აღმასრულებელს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით არ ევალება. სააღსრულებო წარმოების მხარეებს თავად შეუძლიათ გაეცნონ იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დროის და ადგილის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ზრდის აღმასრულებლის მიერ აღსრულების დაწყების შესახებ მოვალის ინფორმირების ვალდებულების ზედმიწევნით კანონის მოთხოვნათა დაცვით შესრულებას, თუმცა არ ადასტურებს აღმასრულებელზე კანონით გაუთვალისწინებელი სტანდარტების დამკვიდრებას. გადანყვეტილების აღსრულებისათვის კანონი (17.7 მუხ.) აღმასრულებელს აკისრებს ვალდებულებას მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისთვის. „სააღსრულებო წარმოებათა შესა-

ხებ“ კანონის 25.6 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების დაწყების შესახებ სააღსრულებო წარმოების მხარეთა ინფორმირება ხდება ამ მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო უწყების ჩაბარებისათვის დადგენილი წესით. სსკ-ის 71-ე მუხლის მიხედვით, უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებულ მისამართზე (1 ნაწ.), თუ პირს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება (მე-2 ნაწ.). ამავე კოდექსის 73.1 მუხლის თანახმად, თუ პირველად გაგზავნიას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. სკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, პირს შეუძლია ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება თუ იგი განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს. სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში თავად მოსარჩელე მის საცხოვრებელ ადგილად უთითებდა ქ.ბათუმში, ... ქ. №45-ში მდებარე ფართს, უკეთეს მოვალე მ. მ-ეს გააჩნდა სხვა საცხოვრებელი ადგილი, მ. მ-ეს უნდა მიეთითებია მისი მისამართი. მ. მ-ის სხვა მისამართი აღმასრულებლისათვის უცნობი იყო, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდა მ. მ-ის ამ მისამართზე არყოფნის გამო. 04.04.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარის (გამსესხებლის) მოთხოვნით ნოტარიუსი გაცემდა სააღსრულებო ფურცელს. ამდენად, მ. მ-ეს უნდა ჰქონოდა სააღსრულებო წარმოების მოლოდინი. აღნიშნულის მიუხედავად მ. მ-ეს კრედიტორისთვის არ უცნობებია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. ზ-ის მიერ წინადადება ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ მოვალე მ. მ-ეს ორჯერ (05.09.2012წ. და

10.09.2012წ.) გაეგზავნა სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მისამართზე: ქ. ბათუმი, ... ქ. 45, თუმცა ფოსტის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება იმის გამო, რომ ფართი გაქირავებულია და მ. მ-ე აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საფოსტო დოკუმენტების წინააღმდეგობრივი შინაარსის და სსკ-ის 74.3 მუხლით განსაზღვრული ფორმადაუცველობის გამო დაუშვებელია მათი სარწმუნოდ მიჩნევა. სსკ-ის 74-ე მუხლი ამოქმედების დღიდან შედგება მხოლოდ ორი ნაწილისგან, ნორმას არ აქვს მე-3 ნაწილი, რომლის დარღვევაზეც უთითებს სააპელაციო სასამართლო. სსკ-ის 74.2 მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩამბარებელმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას, არ არის იმპერატიული ხასიათის, ვინაიდან კორესპონდენციის ჩამბარებელი გზავნილის გამგზავნისთვის დაბრუნებისას უთითებს იმ მონაცემებს, რომელიც მას მიაწოდეს მისამართზე მყოფმა პირებმა. ფოსტის მუშაკს არ აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს ადრესატთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობა ან აიძულოს მესამე პირები გასცენ ასეთი ინფორმაცია, შესაბამისად, ადრესატის მისამართზე არყოფნის შემთხვევაში გზავნილის ჩამბარებელს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სსკ-ის 74.2 მუხლის მოთხოვნა და უწყების მე-2 ეგზემპლარზე მიუთითოს თუ სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას, რადგან შესაძლოა გზავნილის ჩამბარებელს მსგავსი ინფორმაცია არ მიაწოდონ, მით უფრო, რომ მ.დ-ი არ არის მ. მ-ის ოჯახის წევრი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 74.2 მუხლით დადგენილი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება გზავნილის ჩამბარებელს ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მას ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. განსახილველ შემთხვევაში საფოსტო დოკუმენტებში მიეთითა, რომ ფართი გაქირავებულია და მ. მ-ე აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საფოსტო დოკუმენტები წინააღმდეგობრივია, თუმცა ვერ უთითებს თუ რაში ვლინდება მათი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსი. მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში დაცული სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმით დგინდება, რომ გზავნილის გაგზავნის მომენ-

ტში ფართი გაქირავებული იყო მ. დ-ზე, რომლის განმარტებით მ. მ-ე იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 2012 წელს მ. მ-ის საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტზე მითითება ხდება აგრეთვე დაზარალებულად ცნობის შესახებ 28.01.2013წ. დადგენილებაში. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა კერძო აღმასრულებლისათვის დაბრუნებულ გზავნილებში ასახული ინფორმაციის საქმის მასალებთან შესაბამისობაზე. ამასთანავე, არ გაითვალისწინა, რომ მ. მ-ეს საკუთარი ახსნა-განმარტებების გარდა არ წარმოუდგენია საფოსტო დოკუმენტების არანამდვილობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

გზავნილების ორჯერ გაგზავნის შემდეგ კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე 20.09.2012წ. გამოცხადდა მოვალის მისამართზე: ... ქ./...ქ. 45/79, შეადგინა აღწერა-დაყადაღების აქტი და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ ოქმი, რომლებშიც მიეთითა, რომ ფართში განთავსებულია კაფე-ბარი, მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფებოდა, ფართი გაქირავებულია მ. დ-ზე, რომლის განმარტებით მ. მ-ეს საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ აქვს, იგი იმყოფება საზღვარგარეთ და ქირის მისაღებად თავად უკავშირდება დამქირავებელს. აღნიშნულის შემდგომ 26.09.2012წ. მ. ზ-ემ მიიღო განკარგულება გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების თაობაზე წინადადების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ, წინადადება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 27.09.2012წ. . შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უფლებამოსილმა პირმა ისე გამოიყენა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი საშუალება – საჯარო შეტყობინება (სსკ-ის 78-ე მუხ.), რომ არ იყო ამონაწერი მხარის ინფორმირების სსკ-ის 73.1 მუხლით გათვალისწინებული ყველა რესურსი. სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმის მასალების ჯეროვან ანალიზს. ამდენად, არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ დაირღვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14⁷.8 მუხლი, რომლის მიხედვით აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება აქვს მისთვის წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის საფუძველით კერძო აღმასრულებელს განაცხადის მიღებისას დაუდგინოს ხარვეზი. კერძო აღმასრულებელი მოვალის დაყადაღებული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის მიზნით მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების განევის შესახებ განაცხადით და წა-

რუდგენს მას სააუქციონო დოკუმენტაციას, მის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის მასალებს, აგრეთვე იხდის შესაბამის საფასურს („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14^{7.5} მუხლი). განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება კერძო აღმასრულებელ მ. ზ-ის მიერ წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის კანონშეუსაბამობა, ან კერძო აღმასრულებლის სააუქციონო განაცხადისათვის ხარვეზის დადგენის კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საფუძველი, შესაბამისად არ არის დასაბუთებული სააპელაციო პალატის მითითება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14^{7.8} მუხლით განსაზღვრული პროცედურების დარღვევაზე.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით უცვლელად დატოვა რა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.02.14წ. გადაწყვეტილება, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. ზ-ის მიერ არ ყოფილა ამონურული სსკ-ის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული გზავნილის ჩაბარების შესაძლებლობები, რადგან განხორციელებულ მოქმედებებთან ერთად აღმასრულებელს უნდა გამოეყენებინა სხვა ღონისძიებებიც, კერძოდ, მ. ზ-ეს შეეძლო უფლებამოსილი ორგანოებისგან მოეთხოვა ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შეცვლის ან სამუშაო ადგილის შესახებ, ასევე შეეძლო დაედგინა ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა მ. მ-ე საზღვარგარეთ ან მოვალის მოძებნა დავალებინა პოლიციის შესაბამისი განყოფილების უზნის ინსპექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 73-ე მუხლში (მე-7 და 7¹ ნაწილებში) ასახული ქმედებები, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებისთვის (უზნის ინსპექტორებისთვის), გზავნილის ჩაბარების უზრუნველყოფის დავალება წარმოადგენს აღმასრულებლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. მართალია, სააღსრულებო წარმოების სამართლებრივი შედეგი ხშირად არის უძრავი ქონების მოვალის საკუთრებიდან იძულებითი გამოსვლა და რეალიზაცია, რაც მოვალის ინტერესების დაცვის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სააღსრულებო ქმედებების მართლზომიერად და გულისხმიერად განხორციელებას, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს აღმასრულებლისათვის ისეთი მოქმედების შესრულების დავალების საფუძველს, რომელიც აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ მის მოვალეობებს. სასამართლოს მოსაზ-

რება, რომ აღმასრულებელს შეეძლო უფლებამოსილი ორგანოდან გამოეთხოვა ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შეცვლის ან სამუშაო ადგილის შესახებ, არ ქმნიდა აუქციონის შედეგების გაუქმების პირობას. სსკ-ის 73-ე მუხლის მითითება, რომ სასამართლოს (განსახილველ შემთხვევაში – აღმასრულებელს) შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული შესაძლებლობები პირის მოსაძიებლად, აღმასრულებელს აღჭურავს უფლებით, თუმცა არ აკისრებს მას ვალდებულებას. მონესრიგების დისპოზიციური ხასიათი გამოირიცხავს სააღსრულებო ქმედების გაუქმების შესაძლებლობას, რადგან უკეთუ აღმასრულებლის მიერ შესრულებულია კანონით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებების გამოუყენებლობა არ ქმნის სააღსრულებო ქმედებების გაუქმების წინაპირობებს. კანონმდებლობის მოთხოვნების ფორმალური დაცვა, სააღსრულებო ქმედებების კეთილსინდისიერად და გულისხმიერად შესრულება, მოვალის უფლებათა დაცვასთან ერთად გულისხმობს ეფექტურ და რეალურ აღსრულებას, კრედიტორის ინტერესების დაცვას. განსახილველ შემთხვევაში აღმასრულებელმა შეასრულა მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოთხოვნები, კერძოდ: ფოსტის მეშვეობით გზავნილის პირველ შემთხვევაში ჩაუბარებლობის შემდგომ, მეორედ გააგზავნა კორესპონდენცია სააღსრულებო ფურცელში მითითებულ მისამართზე, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც დამატებით კერძო აღმასრულებელი თავად გავიდა მისამართზე. მხოლოდ აღნიშნული ქმედებების შემდეგ იქნა მიღებული განკარგულება წინადადების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ. ამდენად, სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მითითებული ქმედებების (შს ორგანობისათვის ან თვითმმართველობის ორგანობისათვის მიმართვა) უშედეგობის, მ. მისათვის კორესპონდენციის ჩაუბარებლობის შემთხვევაში კერძო აღმასრულებელი იქნებოდა უფლებამოსილი გამოეყენებინა სსკ-ის 78-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო გამოქვეყნება, არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძო აღმასრულებელი, როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე მოქმედი ფიზიკური პირი („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14⁴-ე მუხ.), მოქმედებს კანონის ფარგლებში და მის საფუძველზე, შესაბამისად დაუშვებელია კერძო აღმასრულებლისათვის იმაზე მეტი ვალდებულების დაკისრება, ვიდრე ეს კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს

მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კერძო აღმასრულებლის მიერ კორესპონდენცია ადრესატისათვის არასწორ მისამართზე გაიგზავნა, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება, რომ გზავნილში უნდა მითითებულიყო არა ქ. ბათუმი, ... ქ. 45, არამედ ქ. ბათუმი, ... ქ. 45/ ...ქ. 79. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში, კერძოდ, 27.08.2012წ. სააღსრულებო ფურცელში, 04.04.2012წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში, მ. მ-ის მიერ 08.10.2012წ. გაცემულ მინდობილობაში, აგრეთვე თავად მ. მ-ის სარჩელში მ. მ-ის მისამართად მითითებულია: ქ. ბათუმი, ... ქ. 45. სწორედ ამ მისამართზე გააგზავნა აღმასრულებელმა კორესპონდენცია, რადგან არ არსებობდა მითითება საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ (სსკ-ის 76-ე მუხ.).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ – 27.08.2012წ. გაცა სააღსრულებო ფურცელი, ხოლო მოვალე მ. მ-ის მიმართ მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართა 31.12.2012წ., სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 05.01.2013წ. განკარგულებით აუქციონზე უძრავი ნივთის შემქმნი გახდა კრედიტორი გ. ა-ე. საქმეში დაცული სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შესახებ 21.10.2012წ. ოქმით დასტურდება, რომ კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე აუქციონის გამართვამდე ორი თვით ადრე – 21.10.2012წ. 13:27 სთ-ზე ესაუბრა მოვალე მ. მ-ის წარმომადგენელს ა.ბ-ას, რომელსაც განემარტა, რომ მოვალე მ. მ-ის მიმართ, მიმდინარე სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, მოსალოდნელი იყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია, მოვალის მიერ ვალდებულების დაუყოვნებლივ შეუსრულებლობის ან მხარეთა შორის მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში. უსაფუძვლოა მოწინააღმდეგე მხარის მ. მ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული საუბარი არ უნდა იქნეს მიჩნეული მოვალისათვის შეტყობინების ჩაბარებად, რადგან იმ პერიოდში აღმასრულებლისთვის არ იყო წარდგენილი ა. ბ-ას სახელზე გაცემული მინდობილობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. მ-ემ 08.10.2012წ. გასცა №121086947 მინდობილობა 1 წლის ვადით, რომლითაც ა. ბ-ას მიენიჭა უფლებამოსილება წარმოედგინა მ. მ-ე სააღსრულებო ბიუროში ან კერძო აღმასრულებელთან მიმდინარე სააღსრულებო წარმოებისას. სსკ-ის 70-ე მუხლის მიხედვით შეტყობინება ბარდება მხარეს ან მის წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს

მარნმუნებელს. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს. ამასთანავე, შეტყობინება მხარეს ან მის წარმომადგენელს შესაძლებელია ჩაბარდეს არამართო ფოსტის, არამედ ტექნიკური საშუალების (ტელეფონის, ფაქსის) გამოყენებით, რის შესახებაც უნდა შედგეს სათანადო აქტი, რომელიც ადასტურებს პირისათვის შეტყობინების ჩაბარებას (სსკ-ის 73-ე მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ აუქციონის გამართვამდე თითქმის ორი თვით ადრე კერძო აღმასრულებელი მ. ზ-ე ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა მოვალე მ. მ-ის წარმომადგენელ ა. ბ-ას და მიანოდა მას ინფორმაცია იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის და თანმდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ. სატელეფონო საუბრის დროისათვის – 21.10.2012წ. ა. ბ-ა 08.10.2012წ. მინდობილობის თანახმად უკვე იყო მ. მ-ის წარმომადგენელი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუხედავად იმისა, რომ ამ გარემოებებს მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ასახული მოსაზრებები არ ემყარება საქმეში დაცული მტკიცებულებების ყოველმხრივ შესწავლას და შეფასებას, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას მ. მ-ის საცხოვრებელი ადგილი იყო ქ. ბათუმი, ... ქ. 45, თუმცა მეორე მხრივ დაზარალებულად ცნობის შესახებ საქმეში დაცული 28.01.2013წ. დადგენილებით, ფართის დამქირავებელ მ.დ-ის და თავად მ. მ-ის ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ 2012 წელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მ. მ-ე იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ქ. მოსკოვში. იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში პირი ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ, სააპელაციო პალატას უნდა გაერკვია მ. მ-ის მისამართზე დროებით არყოფნის პერიოდი და აღნიშნულის კავშირი აღსრულების პროცესთან.

სსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულება ხორციელდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების გზით, რაც გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებასაც. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი შედგება მხოლოდ ნორმების ციტირებისაგან, განჩინება არ შეიცავს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ ციტირებული ნორმების გა-

მოყენების არგუმენტაციას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შეაფასოს შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-ის, მ. ზ-ის და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყადაღადადებული უძრავი ქონების აუქციონზე
რეალიზაციის კანონიერება**

განმარტება

№ბს-302-298(კ-15)

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ქ-მა და ნ. გ-ამ 2012 წლის 16 მარტს სასარჩელო განცხადე-
ბით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების, საქართველოს იუს-
ტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროსა და
კერძო აღმასრულებლის მ. გ-ის მიმართ. მოსარჩელებმა მათ
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ფოთი, ...
ქ. №28, ს/კ, აუქციონზე რეალიზაციის გადაწყვეტილებისა
და აუქციონის შედეგების თაობაზე საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6
მარტის №A11046353-016/001 განკარგულების ბათილად ცნო-
ბა მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სესხის აღების მიზნით ნ.
გ-ამ 2007 წლის 30 ოქტომბერს მიმართა სს „...“, რომელმაც 25
000 აშშ დოლარზე დაუმტკიცა საკრედიტო ხაზი და საიდანაც
ისარგებლა 21 000 აშშ დოლარით, რომლის უზრუნველსაყოფად
იპოთეკით დაიტვირთა ორი უძრავი ქონება, კერძოდ: ნ. გ-ას სა-
კუთრებაში არსებული ბინა-63,85 კვ.მ., მდებარე ფოთში, ... ქ.
№28, ს/კ .. და ს. გ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება,
მდებარე ქ. ფოთი, ..., №24/25 – 50,89 კვ.მ. აღებული სესხის თან-
ხის ნაწილი დროულად გადაიხადა და გადასახდელი დარჩა 15
900 აშშ დოლარი, რაც დროულად ვერ დაფარა, ობიექტური მი-
ზეზების გამო. სს „...“ მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე
ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს
მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-ას დაეკისრა

ბანკის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის გადახდა; იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული ორივე უძრავი ქონება, ხოლო ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული ბინიდან სარეალიზაციოდ მიექცა 63,85 კვ.მ. ფართი; იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნებოდა საკმარისი, აღსრულება უნდა მომხდარიყო მხოლოდ ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონებიდან.

მოსარჩელის მითითებით იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული 61,34 კვ.მ. ფართი გაუმჯობესდა და დაემატა 94,54 კვ.მ. ფართი კ. ქ-ის მიერ. აღნიშნული ფართი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რის შემდეგ რეესტრმა იპოთეკის უფლება გაავრცელა სრულ ფართზე. შესაბამისად, 2011 წლის 17 მაისის №2/34-11 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კერძო აღმასრულებლის – მ. გ-ის მიერ ყადაღა დაედო მთლიან ფართს – 155,54 კვ.მ. და აღსრულება დაიწყო 2011 წლის 15 აგვისტოდან. 2012 წლის 30 იანვარს კ. ქ-ს ჩაბარდა 2012 წლის 25 იანვრის გაფრთხილება, რითაც მოსარჩელეებისთვის ცნობილი გახდა, რომ კ. ქ-ის კუთვნილ 94,2 კვ.მ. ფართსაც ემუქრებოდა რეალიზაცია. აღნიშნული ქმედება გაასაჩივრეს, მაგრამ აუქციონი უკვე დაინიშნული იყო, რაზეც მოსარჩელეები არ ფლობდნენ ინფორმაციას. ასევე არ ფლობდნენ ინფორმაციას ქონების დაბალ ფასად შეფასების შესახებ. პირველ აუქციონზე არ გაიყიდა ქონება, რის შემდეგაც 2012 წლის 6 მარტს დაინიშნა განმეორებითი აუქციონი და სს „...“ შეიძინა ქონება 26 640 ლარად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შემფასებელ კ. ს-ის მიერ ქონება შეფასდა, როგორც ძირითადად სარემონტო ფართი, მაშინ როცა არ წარმოადგენს სარემონტო ფართს და საჭიროებს მხოლოდ მცირედ კოსმეტიკურ რემონტს. სრული ფართი შეფასდა 59 200 ლარად, მაშინ როცა მთლიანი ფართის საბაზრო ღირებულება 80 800 ლარია, მათ შორის: ნ. გ-ას საკუთრების ღირებულება 61,34 კვ.მ. – 31 896 ლარია და კ. ქ-ის საკუთრებაში არსებული 94,2 კვ.მ. ფართის ღირებულება 48 984 ლარია. მოსარჩელეების მითითებით მათთვის ცნობილი არ იყო კ. ქ-ის ქონების მოსალოდნელი რეალიზაციის შესახებ. მოსარჩელეები ვიდრე გაიგებდნენ, რომ მთლიან ქონებაზე იყო აღსრულება მიქცეული სადავო ქონება აუქციონზე გაიყიდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ას და კ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6 მარტის №A11046353-016/001 განკარგულე-

ბა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელების – ნ. გ-ასა და კ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეაფასა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მართებული იქნებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე 2011 წლის 18 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების ერთ-ერთ საშუალებად განისაზღვრა ქ. ფოთში, ... №28/2-ში მდებარე, ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის, ფართით 63,85 კვ.მ. სარეალიზაციოდ მიქცევა, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 06 მარტის №A11046353-016/00 განკარგულების შესაბამისად, მოვალეების, ნ. გ-ასა და კ. ქ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე, ფოთი, ... ქ. №28, სართული 1, ბ. 2. ფართობი: 155,54 კვ.მ. შემძენი გახდა სს „...“. მოსარჩელებმა სწორედ აღნიშნული განკარგულება გახადეს სადავოდ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითაა დადგინდეს და სამართლებრივი შეფასება მიეცეს, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით, აღნიშნული უფლება უნდა გავრცელდეს თუ არა ძირითადი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც – სახლზე განხორციელებულ მიშენებაზე. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე მითითებით მიიჩნია, რომ აღმასრულებელი არ გასცდენია სააღსრულებო ფურცლის ფარგლებს, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული 63,85 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, წარმოადგენდა საცხოვრებელი

კორპუსის პირველ სართულს, მიშენების საფუძველზე გაიზარდა 155,54 კვ.მ.-მდე, დაზუსტდა, დარეგისტრირდა მის სახელზე და დაიტვირთა იპოთეკით, ხოლო აღნიშნული მიშენების კ. ქ-ზე გასხვისების შემდეგ, საცხოვრებელი ბინა, მდებარე, ქ. ფოთი, ... ქ. 28/2, საერთო ფართით 155,54 კვ.მ., თანასაკუთრებით აღირიცხა ნ. გ-ასა და კ. ქ-ის სახელზე (ნ. გ-ას საკუთრების უფლება განისაზღვრა 61,34 კვ.მ. ფართზე, ხოლო კ. ქ-ის – 94,2 კვ.მ. ფართზე) და იპოთეკა დარეგისტრირდა 155,54 კვ.მ თანასაკუთრებაზე. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მიშენების ფართის ძირითადი ფართისგან გამოცალკევებით და სხვა პირისთვის მიკუთვნებით, იპოთეკის საგანი დაკარგავდა თავის ძირითად დანიშნულებას, რამდენადაც იპოთეკის საგანს, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვრა, წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლი მთლიანად და არა მისი რომელიმე ნაწილი. იპოთეკის საგნის სხვა საგანთან გაერთიანების, დაყოფისა და გარდაქმნის შედეგები განსაზღვრული იყო ასევე სს „...“ და ნ. გ-ას შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებითაც, რომლის 8.2. მუხლში პირდაპირაა განყრილი, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი), აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღმართება შენობა-ნაგებობა. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2011 წლის 12 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერიდან იპოთეკის საგანს წარმოადგენდა მესაკუთრების ნ. გ-ასა და კ. ქ-ის თანასაკუთრება 155,54 კვ.მ. ამდენად, პალატის აზრით, იპოთეკა უნდა გავრცელებულიყო მიშენებაზე, შენობის იმ ნაწილზეც, რომელიც იპოთეკის საგანს დაემატა. პალატამ აღნიშნა, რომ იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები, წესი და პროცედურები დამტკიცებული იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით. აღნიშნულ წესში 2012 წლის 17 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, აღსრულების ეროვნული ბიურო პირველი აუქციონის დასრულებისთანავე (გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (როდესაც საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია)) აცხადებს განმეორებით აუქციონს. განმეორებითი აუქციონი

ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. კერძო აღმასრულებლის მ. გ-ის დაკვეთით ქ. ფოთში ... №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155.54 კვ.მ ფართი შპს „ე...“ მიერ 2011 წლის 22 დეკემბერს შეფასდა 59 200 ლარად, ხოლო სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 7 მაისის დასკვნის მიხედვით – 77 770 ლარად. აუქციონის ჩატარების მომენტისათვის მოქმედი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის (დანართი 1) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ქონება გასხვისდა განმეორებით აუქციონზე, რა დროსაც მისი საწყისი ფასი შეადგენდა ნულ ლარს, მიუხედავად მისი საბაზრო ფასისა, პალატის აზრით, შპს „ე...“ მიერ კერძო აღმასრულებლის მ. გ-ის დაკვეთით 2011 წლის 22 დეკემბრის დასკვნით 59 200 ლარად შეფასება, გავლენას ვერ იქონიებდა განმეორებითი აუქციონის საწყის ფასზე, რა დროსაც 26 640 ლარად იქნა გასხვისებული აღნიშნული ქონება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება აღმასრულებლის მხრიდან იმგვარი ქმედების განხორციელება, რაც გამოიწვევდა საალსრულებო წარმოების მხარეთა და სხვა პირთა კანონიერი უფლებების დარღვევას, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6 მარტის განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომლის თანახმადაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელების, ნ. გ-ასა და კ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. ქ-მა და ნ. გ-ამ, რომლებმაც

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მათი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ კ. ქ-ისა და ნ. გ-ას კუთვნილი ფართების განცალკევება შესაძლებელია და ამით იპოთეკის საგანი – ნ. გ-ას საკუთრება არ დაკარგავს თავის ძირითად დანიშნულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების დასაბუთების დროს სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

სს „...“ და კერძო აღმასრულებელს შორის 2011 წლის 15 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით სს „...“ მოითხოვა ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 18 მაისს გაცემული №2/34-287 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება და არა იპოთეკის ხელშეკრულების 8.2 მუხლის პირობების აღსრულება. ვინაიდან აღსრულება მოხდა არა სანოტარო აქტით დადგენილი პირობებით, არამედ სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილი მოთხოვნით.

კასატორის მოსაზრებით სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლს, ამ მუხლით განსაზღვრულია აღსრულების დაწყების საფუძვლები, სადაც პირველი პუნქტის თანახმად „აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე“. ამდენად, მას შემდეგ, რაც კრედიტორი კერძო აღმასრულებელს წარუდგენს სააღსრულებო ფურცელს, მან კანონით მინიჭებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გაატაროს შესაბამისი სააღსრულებო ღონისძიება. ამასთან, მოცემული ნორმა ანესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქონების მესაკუთრე არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე ან როდესაც იპოთეკის საგანი გადადის ახალ მესაკუთრეზე, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღსასრულებლად მიქცეულია უძრავი ქონება, რომლის მესაკუთრეს სააღსრულებო წარმოების დასრულებამდე წარმოადგენდა ნ. გ-ა, ხოლო კ. ქ-ის სახელზე აღირიცხა ქონების ის ნაწილი, რომელიც გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, არ ყო-

ფილა მიქცეული სარეალიზაციოდ. ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 20 ოქტომბრის №158349 წერილით კერძო აღმასრულებელს ეცნობა, რომ ნ. გ-ას უფლების ობიექტზე განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, უძრავი ქონების ფართობი და ფიზიკური საზღვრები არ შეცვლილა. მიუხედავად საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მტკიცებულებებისა, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კ. ქ-ის მიმართ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რადგან 2012 წლის 30 იანვარს მას წინადადება ჩაბარდა კანონის დარღვევით. წინადადებას არ ჰქონდა შტრიხკოდი, რის გამოც კ. ქ-ი მოკლებული იყო სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. 2012 წლის 1 თებერვალს საჯარო რეესტრს მიმართეს კ. ქ-მა და ნ. გ-ამ ქონების ნატურით გაყოფის მოთხოვნით, რაზედაც უარი ეთქვათ 2012 წლის 7 თებერვალს აღმასრულებლის მიერ ქონებაზე ყადაღის დადების გამო და არა იმის გამო, რომ ქონების გაყოფა შეუძლებელი იყო. ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით კ. ქ-მა მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს. ქონებაზე ყადაღის დადების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა მთავრდებოდა 2012 წლის 7 მარტს, აღმასრულებელი ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ კ. ქ-ი დავობდა დაყადაღებული ქონების ამორიცხვაზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ხსენებულ ვადაში ჩაატარა ორი აუქციონი და გაყიდა ქონება უკანონოდ. კ. ქ-ი წინადადებაზე შტრიხკოდის არქონის გამო ვერ ახერხებდა კონტროლის განწევას მის ქონებაზე, რაც ადასტურებს იმას, რომ კერძო აღმასრულებელმა შეგნებულად უკანონოდ შეადგინა კ. ქ-ზე 2012 წლის 30 იანვრის წინადადება.

ქონება გაიყიდა არა ნულოვან აუქციონზე, როგორც სასამართლო გადანყევტილებაშია მითითებული, არამედ მეორე აუქციონზე. ქონება კანონის დარღვევით, არასწორად იყო შეფასებული, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით და ამაზე არ მსჯელობს სასამართლო. აღმასრულებლის მიერ მიღებული აუდიტორული დასკვნით ქონება 59.200 ლარად იყო შეფასებული და პირველ აუქციონზე გავიდა შეფასებული ქონების 75%-ით ნაკლებად, რაც არ გაიყიდა, მეორე აუქციონი განმეორებით ჩატარდა მესამე დღეს და გასაყიდად გავიდა პირველი აუქციონის შეფასების 50%-ით ნაკლებად მეორე აუქციონზე შეიძინა სს „...“, თვითონ კრედიტორმა, იცოდა, რომ ქონების მთლიან ფართზე 155,55 კვ.მ. მოთხოვნის უფლე-

ბა არ ეკუთვნოდა მას სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და შესაბამისად, ჩატარებული აუქციონი უკანონო იყო. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით 2012 წლის თებერვალ-მარტში ნულოვანი აუქციონი არ არსებობდა და თუ მეორად აუქციონზე არ გაიყიდებოდა ქონება კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა ნატურის სახით, მაგრამ რადგანაც კანონით ვერ მოითხოვდა ნატურის სახით 155,55 კვ.მ.-ს, ამიტომ არჩია აუქციონის გზით შეგნებულად უკანონოდ გამხდარიყო სადავო ქონების მესაკუთრე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უტყვევლად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი არა აქვს კანონის არასწორ გამოყენებასა თუ მის მცდარ განმარტებას, სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით განსაზღვრული საფუძველები.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ნ. გ-ა 1993 წლიდან წარმოადგენს ქ. ფოთში, ... ქ. №28-ში მდებარე №2 ბინის მესაკუთრეს. 2007 წლის 30 ოქტომბერს სს „...“ და ნ. გ-ას შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნ. გ-ას ბანკმა გაუხსნა საკრედიტო ხაზი სალიმიტო თანხით 25 000 აშშ დოლარი, 10 წლის ვადით. საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, 2007 წლის 30 ოქტომბერს სს „...“ და ნ. გ-ას შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ფოთი, ... ქ. №28/2 ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული 63,85 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა, საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის შესაბამის წილთან ერთად. ამავე ხელშეკრულების 8.2 მუხლით განმარტებულია იპოთეკის საგნის სხვა საგანთან გაერთიანების, დაყოფისა და გარდაქმნის შედეგი. კერძოდ, ნი-

ნამდებარე ხელშეკრულებით დადგენილია, რომ იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი), აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა ვრცელდება იპოთეკის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 20 ოქტომბრის №158349 წერილით დგინდება, რომ ნ. გ-ას საკუთრების უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2002 წლის 25 თებერვალს დარეგისტრირდა ქ. ფოთში, ... ქ. 28/2-ში მდებარე 63,85 კვ.მ. საცხოვრებელ ბინაზე. აღნიშნული უფლების ობიექტი 2008 წლის 24 აპრილის №... რეგისტრაციით მიშენების საფუძველზე გაიზარდა 155,54 კვ.მ.-მდე, ხოლო 2011 წლის 7 აპრილს მიშენების გასხვისების შემდეგ ნ. გ-ას საკუთრების უფლება განისაზღვრა 61,34 კვ.მ. ფართზე. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი მოპასუხეების ნ. გ-ასა და ს. გ-ას მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე დაკმაყოფილდა. მოპასუხე ნ. გ-ას სს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით სარეალიზაციოდ მიექცა ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე 63,85 კვ.მ. უძრავი ქონება და ს. გ-ას საკუთრებაში არსებული ქ. ფოთში, ... №24/25-ში მდებარე 50,89 კვ.მ. უძრავი ქონება. 2011 წლის 7 აპრილს ნ. გ-ასა და კ. ქ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნ. გ-ამ კ. ქ-ს საკუთრებაში გადასცა ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155,54 კვ.მ. ფართიდან 94,2 კვ.მ. ფართი. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 12 აპრილს ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე უძრავი ქონების 94,2 კვ.მ. ფართზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა კ. ქ-ის თანასაკუთრების უფლება. 2011 წლის 12 აპრილის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად დადგენილია, რომ ნ. გ-ასა და კ. ქ-ის სახელზე თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულ – 155.54 კვ.მ. ფართზე (განცხადების რეგისტრაციის №..., 30/10/2007, №...-ა იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, რეესტრის №..., დამონშების თარიღი 30/10/2007) დარეგისტრირ-

და იპოთეკა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე 2011 წლის 17 მაისს ამავე სასამართლოს მიერ კრედიტორ სს „...“ სასარგებლოდ გაიცა №2/34-11 სააღსრულებო ფურცელი. მითითებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სს „...“ და კერძო აღმასრულებელ მ. გ-ეს შორის 2011 წლის 15 აგვისტოს დაიდო სააღსრულებო მომსახურების ხელშეკრულება. კერძო აღმასრულებელმა მ. გ-ემ ნ. გ-ას, ს. გ-ასა და კ. ქ-ს მიმართა წინადადებით 7 დღის ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, რომლითაც მოვალეებს განემარტათ გადანყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და აღმასრულებლის მიერ განსახორციელებელი საპროცესო მოქმედებების შესახებ. 2011 წლის 22 აგვისტოს კერძო აღმასრულებელმა მ. გ-ემ შეადგინა მოვალის, ნ. გ-ას ქონების აღწერისა და დაყადალების შესახებ აქტი, რომლის თანახმად, ყადაღა დაედო ნ. გ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ფოთი, ... ქ. №28/2, 61,35 კვ.მ. ფართი საცხოვრებელი ბინა და ს. გ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ფოთი, ... №24.25-ში 50,89 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა.

სარეგისტრაციო სამსახურმა, კერძო აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე, 2011 წლის 29 აგვისტოს ნ. გ-ასა და ს. გ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე დაარეგისტრირა ყადაღა. კერძო აღმასრულებელმა მ. გ-ემ 2012 წლის 10 თებერვალს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, კ. ქ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე, ქ. ფოთი, ... ქ. №28/2, საერთო ფართი 155,54 კვ.მ. (საკადასტრო კოდი ...), მის მიერ დადებული ყადაღის რეგისტრაცია მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით კერძო აღმასრულებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. დადგენილია, რომ ქ. ფოთში ... №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155.54 კვ.მ. ფართი შპს „ე...“ მიერ 2011 წლის 22 დეკემბერს შეფასდა 59 200 ლარად. კერძო აღმასრულებელმა მ. გ-ემ ნ. გ-ას, ს. გ-ასა და კ. ქ-ს მიმართა წინადადებით 7 დღის ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, რომლითაც მოვალეებს განემარტათ გადანყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და აღმასრულებლის მიერ განსახორციელებელი საპროცესო მოქმედებების შესახებ, მათ შორის იმის თაობაზე, რომ პირველ აუქ-

ციონზე ნივთის სანჯისი ფასი შეადგენდა აღსრულების პროცესში დადგენილი საბაზრო ფასის 50%, ხოლო განმეორებით აუქციონზე (ასეთის ჩატარების შემთხვევაში) ნივთის სანჯისი ფასი იქნებოდა ნული ლარი.

ნ. გ-ასა და კ. ქ-ს აღმასრულებლის მიმართვა ჩაბარდათ 2012 წლის 30 იანვარს. 2012 წლის 10 თებერვლის მიმართვის საფუძველზე ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155.54 კვ.მ-ზე დარეგისტრირდა ყადაღა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ასა და კ. ქ-ს უარი ეთქვათ 2012 წლის 1 თებერვლის განცხადებაზე ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ყადაღის გამო. კერძო აღმასრულებელმა მ. გ-ემ სააუქციონო მომსახურების განევის შესახებ განაცხადით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა მოვალეთა ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2012 წლის 17 თებერვალს მოვალის ნ. გ-ასა და კ. ქ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოცხადდა ონლაინ აუქციონი. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2012 წლის 27 თებერვალს გამოცხადდა განმეორებითი აუქციონი, რომელზეც მოვალის ქონების შემძენი 26 640 ლარის შეთავაზებით გახდა სს „...“. შემძენმა საფასური დაფარა სრულად, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6 მარტის №A11046353-016/001 განკარგულებით მოვალეების, ნ. გ-ასა და კ. ქ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე, ქ. ფოთი, ... ქ. №28, სართული 1. ბ. 2. ფართობი: 155,54 კვ.მ. შემძენი გახდა სს „...“. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 7 მაისის დასკვნის მიხედვით ქ. ფოთში ... №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155.54 კვ.მ ფართი შეფასდა 77 770 ლარად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2007 წლის 30 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულებით დატვირთული იყო მხოლოდ 63,85 კვ.მ. და იგი არ ვრცელდებოდა 155.54 კვ.მ. მთლიან ფართზე. ნ. გ-ასა და სს „...“ შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებით განისაზღვრა იპოთეკის საგანი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული მესაკუთრის უძრავი ქონება, კერძოდ, ქ. ფოთში, ... ქ. 28/2-ში მდე-

ბარე ნ. გ-ას ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული 63,85 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი ბინა, საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის შესაბამის წილთან ერთად. 2008 წლის 24 აპრილის რეგისტრაციით აღნიშნული ფართი მიშენების საფუძველზე გაიზარდა 155,54 კვ.მ.-მდე. 2011 წლის 7 აპრილს აღნიშნული მიშენება გასხვისდა და ნ. გ-ას საკუთრების უფლება განისაზღვრა 61,34 კვ.მ. ფართზე, ხოლო კ. ქ-ის საკუთრება – 94,2 კვ.მ. ფართზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე 2011 წლის 18 მაისს გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ იქნა მიქცეული ქ. ფოთში, ... ქ. №28/2-ში მდებარე, ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, ფართით 63,85 კვ.მ., ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6 მარტის №A11046353-016/00 განკარგულების შესაბამისად, მოვალეების, ნ. გ-ასა და კ. ქ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე ქ. ფოთი, ... ქ. №28, სართული 1, ბ. 2. ფართობი: 155,54 კვ.მ. შემძენი გახდა სს „...“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით, აღნიშნული უფლება მართებულად გავრცელდა ძირითადი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც – სახლზე განხორციელებულ მიშენებაზე. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოქმედი კანონმდებლობა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას ითვალისწინებს ნივთის ნაწილის კავშირს ძირითად ნივთთან, მის ბრუნვაუნარიანობას, სამეურნეო დანიშნულებას. ცალკე უფლების ობიექტად შემადგენელი ნაწილის განხილვისთვის შესაძლებელი უნდა იყოს მისი ძირითადი ნივთისაგან გამოცალკევება განადგურების, დანიშნულების მოსპობის, სარგებლიანობის დაკარგვის გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ პირობებში თუ მხარე მიზნად ისახავდა კ. ქ-ის საკუთრებაში არსებული 94,2 კვ.მ. ფართის იპოთეკის საგნისაგან გამიჯვნას, ამ შემთხვევაში 94,2 კვ.მ. ფართი დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო ცალკე უფ-

ლების ობიექტად. „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამონაწერი შეიძლება გაიცეს მინის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია რამდენიმე დამოუკიდებელი უფლების ობიექტი. ასეთ შემთხვევაში ამონაწერი უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრიდან უნდა ასახავდეს ინფორმაციას მინის ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფართის, მინის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმის, უფლებრივი დატვირთვისა და საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების შესახებ. წინამდებარე შემთხვევაში საკასაციო სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ იპოთეკის ხელშეკრულებაში, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებასა და შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში იპოთეკის საგანს წარმოადგენს ქ. ფოთში, ... ქ. 28/2-ში მდებარე 63,85 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა. როგორც უკვე აღინიშნა, იმ პირობებში, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულება ითვალისწინებდა იპოთეკის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გავრცელებას, იმისათვის, რომ უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი ჩაითვალოს იპოთეკისაგან თავისუფლად, მისი გასხვისება და ჩამოცილება უნდა მოხდეს ნივთის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოვალე კარგავს მასზე უფლებას. რამდენადაც კ. ქ. ის საკუთრებაში არსებული 92,2 კვ.მ. ფართი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით არ იქცა ცალკე უფლების ობიექტად ის, როგორც იპოთეკის საგნის – 63,85 კვ.მ. ბინის არსებითი შემადგენელი ნაწილი, გადაჰყვა იპოთეკის საგანს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებისას გაყიდული ქონების ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში ამ ქონების ფლობასთან ან/და ამ ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებთან მიმართებაში, რომლის თანახმად ბინა მრავალბინიან სახლში განიხილება, როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსები, იზოლირებული სა-

თავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებლად, მათ შორის, კომერციული მიზნებისთვის. ინდივიდუალურ საკუთრებას კი მრავალბინიან სახლში წარმოადგენს ბინის ან/და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრება, აგრეთვე ამ ფართობის შემადგენელი ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება გადაკეთდეს, მოსცილდეს ან/და დაემატოს ისე, რომ ამით გაუმართლებლად არ შეილახოს საერთო საკუთრება ან ინდივიდუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა რომელიმე ბინის მესაკუთრის უფლება. ამდენად, ინდივიდუალური საკუთრების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის ფართი, რომელიც შეიძლება მოსცილდეს ბინის საერთო ფართის ისე, რომ ამით გაუმართლებლად არ შეილახოს სხვა მესაკუთრის უფლებები. განსახილველ შემთხვევაში, ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული 63,85 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, წარმოადგენდა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულს, მიშენების საფუძველზე გაიზარდა 155,54 კვ.მ.-მდე, რაც დაზუსტებული სახით დარეგისტრირდა მის სახელზე და მთლიან ფართზე გავრცელდა იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. მიშენებული ფართის კ. ქ-ზე გასხვიების საფუძველზე ქ. ფოთში, ... ქ. 28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა საერთო ფართით 155,54 კვ.მ. თანასაკუთრებით აღირიცხა ნ. გ-ასა და კ. ქ-ის სახელზე (ნ. გ-ას საკუთრების უფლება განისაზღვრა 61,34 კვ.მ. ფართზე, ხოლო კ. ქ-ის საკუთრების უფლება განისაზღვრა – 94,2 კვ.მ. ფართზე). შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება გავრცელდა მთლიან – 155.54 კვ.მ თანასაკუთრებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მიშენების ფართის ძირითადი ფართისგან გამოცალკევებით და სხვა პირისთვის მიკუთვნებით, იპოთეკის საგანი დაკარგავდა თავის ძირითად დანიშნულებას, რადგან იპოთეკის საგანი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად იყო განსაზღვრული, მთლიანად იყო საცხოვრებელი სახლი და არა მისი რომელიმე ნაწილი. ამასთან, საგულისხმოა, რომ იპოთეკის საგნის სხვა საგანთან გაერთიანების, დაყოფისა და გარდაქმნის შედეგები განსაზღვრულია სს „...“ და ნ. გ-ას შორის 2007 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის 8.2. მუხლი ითვალისწინებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი),

აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ სარეალიზაციოდ უნდა მიქცეულიყო მხოლოდ ნ. გ-ას საკუთრებაში არსებული ფართი და არა მთლიანად საცხოვრებელი ბინა, ვინაიდან 2011 წლის 12 აპრილს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი თავი იპოთეკის საგანს წარმოადგენდა მესაკუთრების – ნ. გ-ასა და კ. ქ-ის თანასაკუთრება 155.54 კვ.მ. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღმასრულებელს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი უარი ეთქვა კ. ქ-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგნის სარეალიზაციოდ მიქცევაზე. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც თავად კასატორებიც აღიარებენ, რომ ყადაღა დაედო სრულ ფართს, მათ ვერ მოასწრეს აღნიშნული ფართების ნატურით გამოიჯვნა, რის თაობაზეც წარდგენილი ჰქონდათ განცხადება სარეგისტრაციო სამსახურში 2012 წლის 1 თებერვალს, მაგრამ უარი ეთქვათ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული ყადაღის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კ. ქ-ის მიმართ გავრცელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის უფლებამონაცვლედ ყოფნის პრეზუმფცია და სააღსრულებო ბიუროს მიერ კანონის შესაბამისად გაიცა განკარგულება ნ. გ-ასა და კ. ქ-ის თანასაკუთრებაში არსებული ფართის სს „...“ (კრედიტორის) მიერ შეძენის თაობაზე. პალატა მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. თუ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით ან რეგისტრირებული გირავნობით, იძულებითი აღსრულება წარმოებს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების მესაკუთრე არ არის სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებული მოვალე. ასეთ შემთხვევაში ქონების რეგისტრირებული მესაკუთრის მიმართ მოქმედებს მოვალის უფლებამონაცვლედ ყოფნის პრეზუმფცია, სანამ სხვა რამ არ დამტკიცებულა. ვინაიდან, უდავოა, რომ იპოთეკით დატვირთული ნ. გ-ას სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ფოთი, ... ქ. 28/2., (63,85 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი) მიშენების საფუძველზე გაიზარდა 155,54 კვ.მ.-მდე და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა კ. ქ-ზე თანასაკუთრების უფლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-

ე მუხლის თანახმად, კ. ქ-ის მიმართ გავრცელდა მოვალის უფლებამონაცვლედ ყოფნის პრეზუმფცია.

საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ნ. გ-ას ჩაბარდა აღმასრულებლის „წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“ 7 დღის ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, რომელშიც მითითებული იყო ნ. გ-ას მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შედეგები. შეტყობინება ასევე გაეგზავნა და ჩაბარდა კ. ქ-საც. იპოთეკის საგნის ორივე თანამესაკუთრეს განემარტათ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და აღმასრულებლის მიერ განსახორციელებელი საპროცესო მოქმედებების შესახებ, რაც მათ ჩაბარდათ 2012 წლის 30 იანვარს. 155.54 კვ.მ. ფართზე ყადაღის არსებობის შესახებ, რომ ცნობილი იყო მოსარჩელეებისათვის ასევე დასტურდება იმითაც, რომ აღნიშნულის გამო თანამესაკუთრეებს რეესტრის მიერ უარი ეთქვათ იპოთეკის საგნის ნატურით გაყოფის შესახებ 2012 წლის 1 თებერვლის განცხადებაზე. ამდენად, მოსარჩელეებს გააჩნდათ შესაძლებლობა ესარგებლათ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით, როგორც მოვალეებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პრეტენზიას, რომ კ. ქ-ისათვის ცნობილი არ იყო მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების დაყადაღებისა და სარეალიზაციოდ მიქცევის შესახებ, რითაც დაირღვა მისი უფლება. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პრეტენზიას იმასთან დაკავშირებითაც, რომ დამატებითი ინფორმაცია აუქციონის დანიშვნისა და ჩატარების შესახებ არ მიუღიათ, რაც წარმოადგენს აღმასრულებლის მხრიდან კანონდარღვევას, რამდენადაც საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად: მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება, რაც ასევე განმარტებული იყო კერძო აღმასრულებლის მიერ ნ. გ-ასათვის გაგზავნილ „წინადადებაში გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“ და კ. ქ-ისათვის გაგზავნილ მიმართვა/წინადადებაში. შესაბამისად, აღმასრულებელს ვალდებულება დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებინა მოსარჩეეებისათვის, არ გააჩნდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აუქციონის ჩატარების მომენტისათვის მოქმედი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი უფლებამოსილი იყო სარეალიზაციო ბინის ღირებულების შესაფასებლად

მიემართა აუდიტისათვის, რამდენადაც მითითებული ნორმა ანიჭებს უფლებამოსილებას აღმასრულებელს ქონების ღირებულება განსაზღვროს აუდიტის დასკვნის საფუძველზე, თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, რაზეც მიუთითა მან უძრავი ქონების აღწერა-დაყადაღების აქტში. დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს, რომ უძრავი ქონება გასხვისდა განმეორებით აუქციონზე. საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 61-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი. ამავე კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 71-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები, წესი და პროცედურები დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით. აღნიშნულ წესში 2012 წლის 17 იანვარს განხორციელებული ცვლილებებით, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, აღსრულების ეროვნული ბიურო პირველი აუქციონის დასრულებისთანავე (გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (როდესაც საბაზრო ღირებულება 5000 ლარზე ნაკლებია)) აცხადებს განმეორებით აუქციონს. განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. კერძო აღ-

მასრულებლის მ. გ-ის დაკვეთით ქ. ფოთში ... №28/2-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 155.54 კვ.მ ფართი შპს „ე...“ მიერ 2011 წლის 22 დეკემბერს შეფასდა 59 200 ლარად, ხოლო სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 7 მაისის დასკვნის მიხედვით – 77 770 ლარად. აუქციონის ჩატარების მომენტიდან მოქმედი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამტკიცებული იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის (დანართი 1) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. შესაბამისად, სადავო უძრავი ქონების განმეორებით აუქციონზე გასხვისების გამო, რა დროსაც მისი საწყისი ფასი შეადგენდა ნულ ლარს, მიუხედავად მისი საბაზრო ფასისა, შპს „ე...“ მიერ კერძო აღმასრულებლის, მ. გ-ის დაკვეთით 2011 წლის 22 დეკემბრის დასკვნით 59 200 ლარად შეფასება, გავლენას ვერ იქონიებდა განმეორებითი აუქციონის საწყის ფასზე, რადგან იპოთეკის საგანი 26 640 ლარად იქნა გასხვისებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პოლატას არ გააჩნია შესაძლებლობა გაიზიაროს კასატორების პრეტენზია აღმასრულებლის ქმედებასთან მიმართებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ დასტურდება აღმასრულებლის მხრიდან იმგვარი ქმედების განხორციელების ფაქტი, რასაც შესაძლოა გამოენვია სააღსრულებო წარმოების მხარეთა და სხვა პირთა კანონიერი უფლებების დარღვევა, რის გამოც არ არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 6 მარტის განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობის შესაძლებლობა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მითითებას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ სადავო სააღსრულებო წარმოების პროცესის კანონდარღვევით ჩატარების თაობაზე და თვლის, რომ აუქციონი განხორციელებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ რაც კ. ქ-მა შეიძინა 94,2 კვ.მ. ფართზე საკუთრების უფლება, მან დაიკავა ძველი მესაკუთრის ადგილი და გახდა ყველა იმ უფლებისა და ვალდებულების მატარებელი, რაც მის მიერ შეძენილ უძრავ ნივთს უკავშირდებოდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო აქტის გამოცემის პროცესში არ დაურ-

ღვევია მატერიალური სამართლის ნორმები და სახეზე არ არის აქტის ბათილობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ქ-ისა და ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ინფორმაციის თავისუფლების საკითხი
სააღსრულებო ნარმოების მიმართ**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელმწიფოს სახელით**

№ბს-687-680(კ-16)

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატამ

შემადგენლობით: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ნ-მა 2015 წლის 29 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 30 ოქტომბრის №81558 გადაწყვეტილებისა და 2014 წლის 26 დეკემბრის №3677 ბრძანების ბათილად ცნობა და 2008-2010 წლებში გამოცემული განკარგულებების ან გადაწყვეტილებების, სადაც ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე დანყებული სააღსრულებო წარმოება ხანდაზმულობის გამო შეწყდა, მოპასუხისათვის გაცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის პირველ ოქტომბერს გ. ნ-ის წარმომადგენელმა – ნ. კ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ თავმჯდომარეს და მოითხოვა 2008-2009-2010 წლების მიხედვით აჭარის სააღსრულებო ბიუროს ან/და ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე გადაწყვეტილება, რა დროსაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე დაკისრებული ჯარიმები გაუქმდა ანუ სააღსრულებო საქმე შეწყდა ხანდაზმულობის საფუძველზე. აღნიშნულ განცხადებაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმისწარმოებისა და საინფორმაციო სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის №81558 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში დაცული იყო საქმეები, რომლებზეც წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის გამო და განემარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებელი არ წარმოადგენდა აღსრულების პროცესში მონაწილე პირს, ხოლო განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას და სცდებოდა ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებს, აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიენოებინა სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბა-

თილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 30 ოქტომბრის №81558 გადაწყვეტილება, 2014 წლის 26 დეკემბრის №3677 ბრძანება და დაევალა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს გასცეს აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივიდან 2008-2010 წლებში გამოცემული განკარგულება ან გადაწყვეტილება, სადაც ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, რომლის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის იმ დანაწესიდან გამომდინარე, რომ ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან, რომელთა შორის ერთ-ერთ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ აღსრულებას დაქვემდებარებულ აქტად მიჩნეულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არ არის უფლებამოსილი გასცეს ინფორმაცია აღნიშნული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები ინფორმაციის გაცემის შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ცალკეული ქმედებების შედეგებთან (მოცემულ შემთხვევაში – ხანდაზმულობის საფუძველით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ ქმედებებთან) მიმართებაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად უმნიშვნელოვანესია ის უდავო გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, იმდენად, რამდენადაც ის ეხება აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივიდან აღსრულების ბიუროს მიერ 2008-2010 წლებში გამოცემული იმ აქტის დაშტრიხული სახით გადაცემას, რომლითაც ხანდაზმულობის საფუძველით, ადმინისტრაციული ჯარიმის ამოღების საქმეზე სააღსრულებო წარმოება არის შეწყვე-

ტილი; ასევე უდავოა, რომ აღნიშნული ინფორმაცია აღსრულების ეროვნულ ბიუროს გააჩნია; სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული საჯარო ინფორმაცია, სახეზეა მისი გაცემის ვალდებულება, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ასევე საერთაშორისო აქტებში დეკლარირებული ნორმების საფუძველზე ადამიანის ძირითად და განუსხვისებელ უფლებათა პატივისცემისა და მათი განხორციელების უზრუნველყოფის ფარგლებში. არ არსებობს ისეთი მოქმედი საკანონმდებლო აქტი, რომელიც საჯარო დაწესებულებას ათავისუფლებს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან, მიუხედავად იმისა, მისი საქმიანობის პროცედურები რეგულირდება თუ არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას; ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა და წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს პირის უფლებას თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. კონსტიტუციის 41-ე მუხლი კი განამტკიცებს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იგივე შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი; ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას, თუ ის არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალეობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი თუ

ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას, თუ კანონშეუსაბამობას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის თანახმად, კოდექსის მოქმედების სფერო არ ვრცელდება ამავე მუხლში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოებზე, გარდა III თავისა, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლებას. ამავე კოდექსის 10.1 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და მოთხოვნილი ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ.წ-ს გააჩნია ლეგიტიმური უფლება და მიზანი მიიღოს ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივიდან 2008-2010 წლებში გამოცემული განკარგულების ან გადანყვეტილების შესახებ, რომელიც ეხება ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე დანყვეტილი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას ხანდაზმულობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. კასატორმა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს კოდექსის მოქმედების გავრცელებას ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად, ამავე დროს ადგენს გამონაკლისებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონკრეტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. ერთ-ერთ საქმიანობად მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობა. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების იმ საქმეებთან, რომლებზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება და წარმოებისათვის დადგენილი ცალკეუ-

ლი მოქმედებების განხორციელებისას აღმასრულებელი მოქმედებდა სწორედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კასატორის მოსაზრებით, სწორედ აქედან გამომდინარე, მითითებულ ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლში მოცემულია სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა ჩამონათვალი, ხოლო მე-18 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებულია კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი და სააღსრულებო საქმის მასალების გაცნობა და მათი ასლების გადაცემის წესი. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2014 წლის 30 ოქტომბრის №81558 წერილით მოსარჩელეს სწორედ ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე აცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში დაცული იყო საქმეები, რომლებზეც შეწყდა წარმოება ხანდაზმულობის გამო და იქვე განემარტა, რომ ვინაიდან განმცხადებელი არ წარმოადგენდა აღსრულების პროცესში მონაწილე პირს და განმცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიენოებინა მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საა-

პელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, რაც საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომ განსახილველ საქმეზე გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 – „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის დებულებები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. თუმცა, აღნიშნული დანაწესის განვრცობისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს „გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო პრინციპები“, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს გამოხატვის პრინციპი – გამოხატვის უფლება – ითვალისწინებს, რომ საჯარო დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოთხოვნა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია გამოხატვის უფლებას განეკუთვნება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ასევე იმეორებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსს, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილი ითვა-

ლისწინებს პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების კანონის საფუძველზე შეზღუდვის შესაძლებლობას. იგივე შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის („ინფორმაციის თავისუფლება“) 28-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლზე, რომელიც ადგენს ამავე კოდექსის გავრცელების სფეროს სახელმწიფო ორგანოებზე. აღნიშნული მუხლის ნაწილები აკონკრეტებენ იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა და მათ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ შეზღუდვით ან არ ვრცელდება აღნიშნული კოდექსის ნორმები. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს იმ სახელმწიფო ორგანოთა ჩამონათვალს, რომელთა საქმიანობაზეც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება, გარდა მე-3 თავისა: ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; ბ) საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოები; გ) საქართველოს სახალხო დამცველი; დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები; ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; ვ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი; ზ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. მითითებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია: ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან

და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან; გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან; გ¹) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან; დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს; ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ი“ და „პ“ ქვეპუნქტებითა და მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან; ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს კოდექსის მოქმედების გავრცელებას ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად; მეორე ნაწილი აზუსტებს იმ ორგანოების ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება კოდექსის მოქმედება გარდა მე-3 თავისა; ამავე მუხლის მე-4 პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი გამონაკლისები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონკრეტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. ერთ-ერთ ასეთ საქმიანობად, აღნიშნული პუნქტის „გ¹“ ქვეპუნქტში მითითებულია საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, აღსრულებას დაქვემდებარებულ აქტად, კანონის მეორე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მიჩნეულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ. შესაბამისად, უდავოა, რომ აღნიშნული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილი აღმასრულებელი

ხელისუფლების ორგანოს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი საქმიანობას ახორციელებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილი ინფორმაცია დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იმ საქმეებთან, რომლებზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება და შესაბამისად, წარმოებისათვის დადგენილი ცალკეული მოქმედებების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. ამრიგად, ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მითითებულ ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. კერძოდ, ინფორმაციის გაცემის შესახებ ნორმები არ შეიძლება გავრცელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ცალკეული ქმედებების შედეგებთან (მოცემულ შემთხვევაში – ხანდაზმულობის საფუძველით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ ქმედებებთან) მიმართებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციალური ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებლობამ ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მოაწესრიგა ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებსა და იმ სუბიექტებს შორის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს (ან მიმდინარეობდა) სააღსრულებო წარმოება, როგორც სპეციალური ურთიერთობა, სადაც დაწესებულებებს ცალმხრივად დაუდგინდათ წარდგენილ ინფორმაციათა საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლში მოცემულია სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა ჩამონათვალი: ა) კრედიტორი და მოვალე; ბ) აღმასრულებელი; გ) კერძო აღმასრულებელი; დ) სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ სააღსრულებო წარმოების პროცესში). ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაეხსნონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები, გარდა კო-

მერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას. მე-19 მუხლის თანახმად კი, ანალოგიური უფლებებით სარგებლობენ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები იმ შეზღუდვის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ გაცნონ მხოლოდ იმ საქმის მასალებს, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენენ მათ უფლებებზე და ინტერესზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს „დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №220 ბრძანების მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, არქივში დაცული, დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები გაცივმა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემაზე უარ დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემის ვალდებულება შეზღუდული იყო კანონმდებლობით და დაუშვებელი იყო ასეთი სახის დოკუმენტაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. კერძოდ, მოსარჩელის წარმომადგენელს – ნ. კ-ას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმისწარმოებისა და საინფორმაციო სამსახურის 2014 წლის 30 ოქტომბრის №81558 წერილით ეცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში დაცული იყო საქმეები, რომლებზეც წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის გამო და განემარტა, რომ ვინაიდან განმცხადებელი არ წარმოადგენდა აღსრულების პროცესში მონაწილე პირს და განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეწოდებინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

საქმეზე დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, სცდება ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებს და წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისს, რის შესაბამისადაც, მოთხოვნილი

ინფორმაციის მითითებულ ნაწილზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის – გ. წ-ის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივიდან ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა, მისი შინაარსისა და მოთხოვნის წარმდგენი პირის ვინაობის გათვალისწინებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური წესიდან გამომდინარე, ვერ დაკმაყოფილდებოდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს, მოსარჩელის არგუმენტების გაზიარებისა და მოპასუხისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალდებულების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. წ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე

სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, გ. წ-მა კასატორ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. წ-ს დაეკისროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები **ადმინისტრაციული აქტების მოქმედების შეჩერება,** **როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება**

განჩინება

№ბს-930-922(2კ-16)

30 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. მ-ის შუამდგომლობა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ გამოარკვია:

2015 წლის 8 იანვარს ი. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ამხანაგობა „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩა-

ებნენ ამხანაგობა „...“ დამფუძნებელი წევრები – ი. გ-ი, ნ. ჩ-ი, ბ. ზ-ი, ი. დ-ე, ა. მ-ი, მ. ნ-ე, ლ. ჭ-ე, მ. ზ-ი, გ. ჯ-ა, თ. კ-ე, ა. ჭ-ა, მ. ა-ი, ნ. კ-ო, მ. ბ-ი, ქ. ჩ-ე, გ. ა-ი, გ. ბ-ე, ვ. ვ-ი, რ. გ-ი, ი. ჩ-ე, მ. ნ-ე, ს. ზ-ი, მ. ნ-ე, შ. ბ-ი, მ. ნ-ე, თ. ა-ა, ი. ფ-ი, მ. ო-ე, ნ. ვ-ა, დ. ქ-ე, დ. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულება, ასევე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული და საქმისათვის სხვა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტების გამოცემა დაევალათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „...“ და დ. ს-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ამხანაგობა „...“ და დ. ს-ის საკასაციო საჩივრები.

საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. მ-ემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის დასაბუთება-საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. მ-ის შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება, ანუ სარჩელის სასამართლოში შეტანა არ ატარებს სუსპენზიურ ეფექტს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ი. მ-ე ითხოვს გასაჩივრებული – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანების (რომლითაც შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ... №16-ში, ... ქ. №17-ში, ... ქ. №19-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №...) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და დადგინდა მშენებლობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემა) და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების (რომლითაც ქ. თბილისში, ..., №16-სა და ... ქუჩა №17-19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...) მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა $k_1=0,5$; $k_2=8,0$) მოქმედების შეჩერებას. გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტები, რომელთა მოქმედების შეჩერებას ითხოვს კასატორი, შედის იმ შემთხვევათა ჩამონათვალში, როდესაც სარჩელის მიღება სასამართლოში ავტომატურად არ აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.2 მუხლი).

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული უფლების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც შესაძლოა მოჰყვეს აქტის შეჩერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებისას სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება უფლების დროებით დაცვაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულება, ასევე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული და საქმისათვის სხვა არსებითი მნიშვნელობის გარემოე-

ბების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტების გამოცემა დაევალათ.

ი. მ-ის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანიშნული იქნა გამოტანიდან დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს სამშენებლო პროცესი, რაც გახდა მისთვის საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გასაჩივრებული აქტების შეჩერების მოთხოვნით შუამდგომლობის აღძვრის საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის არა არქიტექტურული პროექტის თავდაპირველი შეთანხმების შესახებ აქტის, არამედ სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდისა და კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო აქტების გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, გასაჩივრებული აქტების საფუძველზე მიმდინარეობს მშენებლობა, ამდენად, ი. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება.

ამასთან, ი. მ-ეს უნდა დაუბრუნდეს წარმოდგენილ შუამდგომლობაზე დ. გ-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 ლარი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე-285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. შეჩერდეს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
3. ი. მ-ეს დაუბრუნდეს წარმოდგენილ შუამდგომლობაზე დ. გ-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 ლარი;
4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, როგორც სასაჩალოს უზრუნველყოფის ღონისძიება

განჩინება

№ბს-930-922(2კ-16)

13 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობები სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერებით ამხანაგობა „...-ისთვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 8 იანვარს ი. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ამხანაგობა „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაენბნენ ამხანაგობა „...-ის“ დამფუძნებელი წევრები – ი. გ-ი, ნ. ჩ-ი, ბ. ზ-ი, ი. დ-ე, ა. მ-ი, მ. ნ-ე, ლ. ჭ-ე, მ. ზ-ი, გ. ჯ-ა, თ. კ-ე, ა. ჭ-ა, მ. ა-ი, ნ. კ-ო, მ. ბ-ი, ქ. ჩ-ე, გ. ა-ი, გ. ბ-ე, ვ. ვ-ი, რ. გ-ი, ი. ჩ-ე, მ. ნ-ე, ს. ზ-ი, მ. ნ-ე, შ. ბ-ი, მ. ნ-ე, თ. ა-ა, ი. ფ-ი, მ. ო-ე, ნ. ვ-ა, დ. ქ-ე, დ. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულება, ასევე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული და საქმისათვის სხვა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტების გამოცემა დაევალათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „...-მა“ და დ. ს-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ამხანაგობა „...-ის“ და დ. ს-ის საკა-საციო საჩივრები.

საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. მ-ემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ი. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2017 წლის 24 იანვარს ამხანაგობა „...-მა“ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებით ამხანაგობა „...-ს“ მიაღებდა ზიანი, კერძოდ, ამხანაგობა ვერ შეძლებს მშენებლობის დასრულებას სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც ამხანაგობა ვერ ისარგებლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით და ამხანაგობას მოუწევს დღგ-ს და მოსაკრებლის ზედმეტად გადახდა. ასევე ამხანაგობას გააჩნია ვადიანი და პროცენტისანი სასესხო ვალდებულებები. ამასთან, გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების პირობებში, დავის მათ სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში ამხანაგობას ფინანსური სახსრების გამო მშენებლობის დასრულების შესაძლებლობა აღარ ექნება. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 199-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ რამდენადაც გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ზიანს აყენებს ამხანაგობა „...-ს“, მხარეთა ინტერესების გათანაბრების მიზნით, აუცილებელია ი. მ-ემ წარმოადგინოს უზრუნველყოფის გარანტია, რათა ამხანაგობამ შეძლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებით მიყენებული ზიანის რეალურად ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ

გაუმართლებელი გამოდგება გამოყენებული ღონისძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობა „...-მა“ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერებით ამხანაგობა „...-ისთვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით ი. მ-ისთვის 9 341 227.98 ლარის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების დავალება მოითხოვა.

2017 წლის 26 იანვარს ამხანაგობა „...-მა“ კვლავ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობები სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერებით ამხანაგობა „...-ისთვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის

ლონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ სახეობას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

ამხანაგობა „...“ წარმოდგენილი შუამდგომლობით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 199-ე მუხლებზე მითითებით ითხოვს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერებით ამხანაგობა „...-ისთვის“ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით ი. მ-ისთვის 9 341 227.98 ლარის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების დავალებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ი. მ-ემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე და შუამდგომლობა სადავო აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე ეფუძნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე

მუხლით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას; ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე დააკმაყოფილა ი. მ-ის შუამდგომლობა და შეაჩერა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში რეგლამენტირებულია როგორც ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ აქტის მოქმედების შეჩერებას, მათ შორის, სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივრის დაშვება, აქტების მოქმედების შეჩერების გაუქმება და ა.შ. ამასთან, მითითებული ნორმა არ უშვებს აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე ამხანაგობა „...-ის“ სასარგებლოდ ი. მ-ისთვის უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის დავალებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. როდესაც ესა თუ ის საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის მონესრიგებული იგი შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, თუმცა, აუცილებლად ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების დაცვით. ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი საერთოდ არ იცნობს აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში 29-ე მუხლთან მიმართებაში აღნიშნული ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 199-ე მუხლებით გათ-

ვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება და-საშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ შემთხვევებში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.2011წ. განჩინება საქმეზე №1468-1450(3კ-უს-11), 09.01.2012წ. განჩინება საქმეზე №1295-1280(კ-11), 06.02.2012წ. განჩინება საქმეზე №98-98(უს-12)) საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევებზე მიუთითებდა, სადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე იყო მოთხოვნილი და არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე, 31-ე მუხლების შესაბამისად.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული აქტების მოქმედება შეჩერდა ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება, ანუ სარჩელის სასამართლო-

ში შეტანა არ ატარებს სუსპენზიურ ეფექტს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ი. მ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანების (რომლითაც შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ... №16-ში, ... ქ. №17-ში, ... ქ. №19-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №...) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და დადგინდა მშენებლობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემა) და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების (რომლითაც ქ. თბილისში, ..., №16-სა და ... ქუჩა №17-19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...) მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა $k_1=0,5$; $k_2=8,0$) მოქმედების შეჩერება. გასაჩივრებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა მოქმედების შეჩერებას ითხოვდა კასატორი, შედის იმ შემთხვევათა ჩამონათვალში, როდესაც სარჩელის მიღება სასამართლოში ავტომატურად არ აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.2 მუხლი).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარის მოთხოვნით შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. სასამარ-

თლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემონმების შედეგად.

საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ აღნიშნული უფლების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც შესაძლოა მოჰყვეს აქტის შეჩერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებისას სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება უფლების დროებით დაცვაზე.

ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას; ინტერესთა ბალანსი დგინდება სარჩელის პერსპექტიულობის გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია სამართლებრივი მდგომარეობის შემონმებით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე ინტერესის უპირატესობა აშკარაა, თუ სარჩელს აქვს წარმატების ნაკლები პერსპექტივა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინაალმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მართლმსაჯულების რეალურ განხორციელებას ემსახურება, რათა მართლმსაჯულებას ფორმალური ხასიათი არ მიეცეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის აღსრულების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ამასთან, მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეექმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ი. მ-ის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა სამშენებლო პროცესი, რაც გახდა მისთვის საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გასაჩივრებული აქტების შეჩერების მოთხოვნით შუამდგომლობის აღძვრის საფუძველი. საკასაციო სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია ი. მ-ის დასაბუთება და ჩათვალა, რომ სადავო აქტების გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებდა მხარეს, ამიტომ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ი. მ-ის შუამდგომლობის საფუძველზე სადავო აქტების შეჩერება მართლზომიერია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამხანაგობა „...“ წარმოდგენილ შუამდგომლობაში არ მიუთითებს რომელ ნორმაზე დაყრდნობით ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმებას, რომლითაც შეჩერდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შემთხვევებს, კერძოდ, 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ხოლო 29-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებულია მხარის უფლება მოითხოვოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების გაუქმება 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი შეჩერებულია ავტომატურად 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტების გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებდა მხარეს, გასაჩივრებული აქტების საფუძველზე მიმდინარეობდა მშენებლობა, ამდენად, ი. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედება. ამდენად, სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წანამძღვრები.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორს არ მიუთითებია რომელიმე ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობის შესახებ, რაც გამოორიცხავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

მიიჩნევს, რომ ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე-285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ამხანაგობა „...-ის“ შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №1176181 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 8 ივნისის №1184 განკარგულების მოქმედების შეჩერების შესახებ;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება,
როგორც სასაჩაღის უზრუნველყოფის ღონისძიება**

განჩინება

№ბს-60-59(3კს-17)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
მოქმედების შეჩერების კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 8 აპრილს დ. ბ-მა, ნ. კ-ემ, ნ. ხ-მა და დ. ფ-ემ სა-
სარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის –
სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითეს – შპს „...“.

მოსარჩელებმა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
2013 წლის 16 აპრილის №624827 და 2015 წლის 17 თებერვლის
№1739376 ბრძანებების ბათილად ცნობა მოითხოვეს. ამასთან,
მოსარჩელებმა გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერე-
ბის თაობაზე იშუამდგომლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით დ. ბ-ის, ნ. კ-
ის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ის შუამდგომლობა სსიპ თბილისის არქი-
ტექტურის სამსახურის 2013 წლის 16 აპრილის №624827 და 2015
წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანებების მოქმედების შე-
ჩერების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეჩერდა სსიპ
თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერ-
ვლის №1739376 ბრძანების მოქმედება სასამართლოს მიერ საქ-
მეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; დ. ბ-ის, ნ. კ-ის,
ნ. ხ-ისა და დ. ფ-ის შუამდგომლობა სსიპ თბილისის არქიტექ-
ტურის სამსახურის 2013 წლის 16 აპრილის №624827 ბრძანების
მოქმედების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით საქართვე-
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის

მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის, ნ. კ-ის, ნ. ხ-ის და დ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ბ-მა, ნ. კ-ემ, ნ. ხ-მა და დ. ფ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

2016 წლის 29 ნოემბერს შპს „...“ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერებით შპს „...“ უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით დ. ბ-ისთვის, ნ. კ-ისთვის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ისთვის სასამართლოს ანგარიშზე 276 469 ლარის განთავსების დავალება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე შეჩერებული იქნა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2015 წლის №1739376 ბრძანების მოქმედება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალდაკარგულად გამოცხადების თაობაზე) აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებების და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებულ ნორმაში რეგლამენტირებულია როგორც ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ აქტის მოქმედების შეჩერებას, მათ შორის, მოპასუხე მხარის უფლება გაასაჩივროს განჩინება კერძო საჩივრით, მოითხოვოს შეჩერების გაუქმება და ა.შ; ამასთან, მითითებული ნორმა არ უშვებს აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ მხარის მოთხოვნის საფუძველზე დავის დასრულებამდე; სააპელაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული არ ართმევს მხარეს უფლებას დავის დასრულების შემდეგ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში საერთო საფუძველზე მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის გამოყენების წანამძღვრები; შესაბამისად, შპს „...“ მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ არ ეფუძნება საპროცესო კანონმდებლობას და დაუსაბუთებელია.

2016 წლის 13 დეკემბერს შპს „...“ კვლავ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებულია მხარის უფლება მოითხოვოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების გაუქმება მხოლოდ 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეჩერებულია აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წანამძღვრები; შესაბამისად, შპს „...“ მოთხოვნა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის №3/2552-15 განჩინების გაუქმების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2016 წლის 21 დეკემბერს შპს „...“ კვლავ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, სადავო აქტის გაუქმების მოტივად დამატებით მიუთითა ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხ-

ლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების შეცვლა ან გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის დასახელებული ნორმით გათვალისწინებული პირობის არსებობა, ვინაიდან მხარის მიერ მითითებული გარემოება (სასამართლომ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებამდე დააკმაყოფილა სარჩელში დაყენებულ შუამდგომლობა) არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახლად აღმოჩენილად და განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძველად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი უშვებს შესაძლებლობას, რომ მხარის შუამდგომლობა აქტის შეჩერების თაობაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდეც, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს სარჩელის წარმოებაში მიღებამდე, მათ შორის ხარვეზის შევსებამდე შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. შუამდგომლობის ავტორი უთითებს აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეულ ზიანზე. სააპელაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ აღმჭურველი აქტის მოქმედების შეჩერება როგორც წესი იწვევს დაინტერესებული მხარისთვის ზიანის მიყენებას, თუმცა ეს გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შე-

ჩერების შესაძლებლობას. სწორედ ამ ნორმის საფუძველზეა შეჩერებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის №3/2552-15 განჩინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის №3/2552-15 განჩინების გაუქმების წინაპირობები, ამდენად, შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9, 16 და 26 დეკემბრის განჩინებები კერძო საჩივრებით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებით შპს „...“ ადგება ზიანი, კერძოდ, შპს „...“ მშენებლობის განხორციელება 1683 კვ.მ უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, ... ქუჩა №31/... ქუჩა №10 (ს/კ ...) დაუკვეთა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების გამო ვერ განახორციელა სამუშაოების დასრულება სამშენებლო სამუშაოების შესახებ 2015 წლის 15 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რის გამოც, შპს „...“ შპს „...“ წარუდგინა პრეტენზია, რომლითაც აღნიშნული ხელშეკრულების მოშლა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...“ მოუწევდა შპს „...“ პირგასამტეხლოს ანაზღაურება აუთვისებელი თანხის 5%-ის ოდენობით. ასევე, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერებით ვერ მოხერხდა სამუშაოების დაწყება და შესაბამისად, ვერ დაიწყო მშენებარე ბინების გაყიდვები, რამაც წარმოშობილი ამოცანების გადასაწყვეტად შპს „...“ იძულებული გახადა სხვა გზით მოეპოვებინა ფინანსები და აეღო კრედიტი. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ რამდენადაც გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ზიანს აყენებს შპს „...“, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და დ. ბ-ს, ნ. კ-ეს, ნ. ხ-სა და დ. ფ-ეს უნდა დაევალოთ შპს „...“ უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზ-

რუნველყოფის მიზნით სასამართლოს ანგარიშზე 276 469 ლარის განთავსება. კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივს და მიუთითებს, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონის ანალოგიით.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებით შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მუხლით შეაჩერა სასამართლომ ადმინისტრაციული აქტი. მაშინაც კი, თუ ჩავთვლით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეაჩერა, მაინც შესაძლებელია 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, რადგან 29-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონი აჩერებს ადმინისტრაციულ აქტს და თუ სასამართლოს უფლება აქვს ასეთი შეჩერება გააუქმოს 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მაშინ მას მით უფრო აქვს უფლება, რომ გააუქმოს 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამოყენებული შეჩერება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თუ ასეთი დასკვნა პირდაპირ არ გამომდინარეობს 29-ე მუხლიდან, მაშინ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონის ანალოგიით და დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებს აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეულ ზიანზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება შეაჩერა იმ პირობებში, როდესაც სარჩელზე ხარვეზი იყო დადგენილი. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობს არა სარჩელის აღძვრამდე შუამდგომლობა, არამედ სარჩელში დაყენებული შუამდგომლობა ბრძანების შეჩერების თაობაზე, შესაბამისად, მოსამართლეს მანამ არ უნდა ემსჯელა შუამდგომლობაზე, სანამ არ გამოსწორდებოდა ხარვეზი. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ასევე კანონის და სამართლის ანალოგიის გათვალისწინებით უნდა დაკმაყოფილდეს მათი საჩივარი და გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრისა და 20 თებერვლის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ კერძო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით დ. ბ-ის, ნ. კ-ის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ის შუამდგომლობის საფუძველზე შეჩერდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის, ნ. კ-ის, ნ. ხ-ის და დ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ბ-მა, ნ. კ-ემ, ნ. ხ-მა და დ. ფ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

2016 წლის 29 ნოემბერს შპს „...“ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერებით შპს „...“ უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით დ. ბ-ისთვის, ნ. კ-ისთვის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ისთვის სასამართლოს ანგარიშზე

276 469 ლარის განთავსების დავალება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 13 დეკემბერს და 21 დეკემბერს შპს „...“ კვლავ განცხადებებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 და მე-8 ნაწილების საფუძველზე სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის და 26 დეკემბრის განჩინებებით შპს „...“ შუამდგომლობები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გა-

დანყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ სახეობას, როგორც არის გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“ საქართველოს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლზე მითითებით მოითხოვა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერებით შპს „...“ უკვე მიყენებული და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით დ. ბ-ისთვის, ნ. კ-ისთვის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ისთვის სასამართლოს ანგარიშზე 276 469 ლარის განთავსების დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დ. ბ-მა, ნ. კ-ემ, ნ. ხ-მა და დ. ფ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვეს არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე და შუამდგომლობა სადავო აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე ეფუძნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას; ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე დააკმაყოფილა დ. ბ-ის, ნ. კ-ის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ის შუამდგომლობა და შეაჩერა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში რეგლამენტირებულია როგორც ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს გასაჩივრებული აქტის მოქმედე-

ბის შეჩერება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ აქტის მოქმედების შეჩერებას, მათ შორის, სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივრის დაშვება, აქტების მოქმედების შეჩერების გაუქმება და ა.შ. ამასთან, მითითებული ნორმა არ უშვებს აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც გამორიცხავდა მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე შპს „...“ სასარგებლოდ დ. ბ-ის, ნ. კ-ის, ნ. ხ-ისა და დ. ფ-ისთვის უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის დავალებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. როდესაც ესა თუ ის საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის მონესრიგებული იგი შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, თუმცა, აუცილებლად ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების დაცვით. ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი საერთოდ არ იცნობს აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში 29-ე მუხლთან მიმართებაში აღნიშნული ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 199-ე მუხლებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული აქტების მოქმედება შეჩერდა ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად შეაფასა მოცემული ვითარება, როდესაც არ დააკმაყოფილა შპს „...“ შუამდგომლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონის-

ძიების გამოყენების შესახებ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს შპს „...“ კერძო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 და 26 დეკემბრის განჩინებების გაუქმების თაობაზე. აღნიშნული განჩინებებით შპს „...“ უარი ეთქვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება, ანუ სარჩელის სასამართლოში შეტანა არ ატარებს სუსპენზიურ ეფექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობებში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 და მე-8 ნაწილების საფუძველზე მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინების გაუქმება, რომლითაც შეჩერდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შემთხვევებს, კერძოდ, 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან

ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ხოლო 29-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებულია მხარის უფლება მოითხოვოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების გაუქმება 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი შეჩერებულია ავტომატურად 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის №1739376 ბრძანების მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინამძღვრები.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეულ ზიანზე და ასევე, იმ ფაქტზე, რომ საქალაქო სასამართლომ სარჩელზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებამდე დააკმაყოფილა სარჩელში დაყენებული შუამდგომლობა აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძველად, რაც გამოორიცხავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული

განჩინებების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 29-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9, 16 და 26 დეკემბრის განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება,
როგორც სარჩალის უზრუნველყოფის ღონისძიება**

განჩინება

№ბს-935-927(კს-16)

9 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.2014წ. №000659 დადგენილებით, სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე კაპიტალური ნაგებობის მიშენებისა და აივნის მოწყობისათვის, ვ. ლ-ე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სა-

მართლდარღვევის ჩადენისათვის დაჯარიმდა 10 000 ლარით, მასვე დაევალა უნებართვოდ მიშენებული კაპიტალური ნაგებობისა და უნებართვოდ მოწყობილი აივნის დემონტაჟი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 27.04.2015წ. №273 ბრძანებით ვ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ვ. ლ-ემ 22.05.15წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 27.04.15წ. №273 ბრძანებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.04.16წ. გადაწყვეტილებით ვ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ვ. ლ-ემ 20.09.16წ. განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და მოითხოვა სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 28.11.14წ. გაცემული №000659 დადგენილების მოქმედების სრულად შეჩერება. ამასთან, აპელანტმა მოითხოვა თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში ვ. ლ-ის მიმართ არსებული საქმისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 12.09.16წ. გადაწყვეტილების ნებაცემით შესრულების შესახებ №A15015173-005/001 წინადადების შეჩერება. აპელანტმა აღნიშნა, რომ ტერიტორია, რომელზეც ნაგებობებია განთავსებული, იმყოფება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაში. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი აღნიშნულ ტერიტორიასთან დაკავშირებით აწარმოებს სამინისტროსთან მოლაპარაკებას ტერიტორიის მის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, გასაჩივრებული სადავო აქტის აღსრულება (ნაგებობების დემონტაჟი) პირდაპირ, უშუალო და არსებით ზიანს მიაყენებს მას და გართულებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.16წ. განჩინებით ვ. ლ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, საქ-

მეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილება როგორც დაჯარიმების, ისე დემონტაჟის ნაწილში. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდა აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 12.09.16წ. №A15015173-005/001 წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილება ვ. ლ-ის დაჯარიმების ნაწილში, სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, შეჩერებულად ითვლება სარჩელის მიღების მომენტიდან, ვინაიდან იგი არ არის მოცული სასკ-ის 29.2 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო ჩამონათვალით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილების დემონტაჟის ნაწილში შეჩერებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასკ-ის 29.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით სარჩელის მიღებით აქტი დემონტაჟის ნაწილში ავტომატურად არ ჩერდება, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის თანახმად, დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში. ამასთანავე, სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დემონტაჟის ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილების გადაუდებელი აღსრულებით შეიძლება არსებითი ზიანი მიადგეს აპელანტს და შეუძლებელი გახდეს მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა. კერძოდ, უნებართვოდ მიშენებული კაპიტალური ნაგებობისა და უნებართვოდ მოწყობილი აივნის დემონტაჟის შემთხვევაში აზრს დაკარგავს სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განხილვა და სარჩელის დაკმაყოფილებისა და აქტების ბათილად

ცნობის შემთხვევაშიც კი ველარ აღსრულება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 12.09.16წ. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ №A15015173-005/001 წინადადების შეჩერებასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან სააღსრულებო წარმოება დაწყებულია დემონტაჟის შესახებ გამოცემული სადავო დადგენილების აღსრულების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილებასთან ერთად უნდა შეჩერდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 12.09.16წ. №A15015173-005/001 წინადადებაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.16წ. განჩინება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო პალატის 21.09.16წ. განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია. ყოველგვარი რეალური დოკუმენტის არსებობის გარეშე სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს აქტის ბათილობისა და მის კანონიერებაში ეჭვის შეტანის ალბათობა. განჩინების კანონიერ ძალაში დატოვება ხელს შეუწყობს არასწორი და ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიუღებელი პრაქტიკის დამკვიდრებას და პირდაპირ ეწინააღმდეგება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის დანაწესს, უგულებელყოფს რა ამ სფეროში სპეციალური კანონის არსებობას, აკნინებს სამშენებლო სამართლის ფუნქციას და მისგან განსხვავებულ გარემოებას ანებს. სამშენებლო სამართალი დამყარებულია საჯარო ინტერესის პრინციპზე. ამ სფეროში განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით და სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს წესრიგის დამყარება, რათა მოქალაქეების მიერ არ მოხდეს მათი უფლებების ბოროტად გამოყენება.

სააპელაციო პალატის 11.18.16წ. განჩინებით საჩივარი განსახილველად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას საჯარო ხელისუფლების მიმართ მისი უფლების ეფექტურ დაცვაზე. ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა.

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების დროებითი დაცვის დუალისტურ სისტემას – სასკ-ის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით. სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება – გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, ხოლო სასკ-ის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება სხვა სახის სარჩელთან მიმართებით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება და მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების აღმოფხვრას, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მონინალმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაო-

ბაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად არის გამართლებული მისი გამოყენება და გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და აღსრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობის საკითხი.

ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების, არსებობა, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება, კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება ხდება კანონისმიერად – ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენა ავტომატურად, მხარის შუამდგომლობის გარეშე და მოსამართლის ნებისგან დამოუკიდებლად იწვევს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერებას (სასკ-ის 29.1 მუხლი). ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ სახეს, როგორებიცაა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (სასკ-ის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (სასკ-ის 31-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში სადავოა სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლო წარმოებაში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთან, მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება. ყველა საგამონაკლისო შემთხვევაში საჯარო ინტერესების დაცვაა წინა პლანზე წამოწეული და სწორედ მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო კანონ-

მდებლობა არ უშვებს ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატურად შეჩერების შესაძლებლობას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს მიანც შეუძლია შეაჩეროს ასეთი აქტის მოქმედება თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. აღნიშნული უფლების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანამდევნი შედეგი, რაც შესაძლოა მოჰყვეს აქტის შეჩერებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილება ვ. ლ-ის დაჯარიმების ნაწილში, სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად შეჩერებულად ითვლება სარჩელის მიღების მომენტიდან, ხოლო დემონტაჟის ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილების შეჩერება ექცევა სასკ-ის 29.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის ფარგლებში (აქტის მოქმედება არ ჩერდება თუ ეს გათვალისწინებულია კანონით), ვინაიდან, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის თანახმად, დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ერთმანეთს უპირისპირდება მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი და მხარის ინტერესი, ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემ-

თხვევაში ორივე მხარის კანონიერი ინტერესი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შეზღუდვით იმ გონივრულ ფარგლებში, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემონმების შედეგად, რაც გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებას. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება მოსარჩელის უფლება მშენებლობის განხორციელებაზე, მაგრამ არ არის გამორიცხული კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტზე უფლების მოპოვების თვალსაზრისით ან სადავო აქტის გაუქმება პროცედურული მოსაზრებებით. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სადავო აქტის გადაუდებელი აღსრულება უკავშირდება მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელ პირობებს, სადავო აქტის მოქმედების შედეგად შეუძლებელი გახდება მოსარჩელის უფლების ან ინტერესის დაცვა. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, მათ შორის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. ამდენად, ის გარემოება, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.4 მუხლის თანახმად, დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში, არ გამორიცხავს სადავო აქტის შეჩერების შესაძლებლობას სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე,

უკეთეს მხარის მოთხოვნა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეჩერების თაობაზე შეიცავს მითითებას იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის გამოც მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს მიაყენებს მას ან შეუძლებელს გახდის მისი უფლების ან ინტერესის დაცვას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე აზრს დაკარგავს სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) განხილვა და სარჩელის დაკმაყოფილებისა და აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში ვეღარ აღსრულდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ვინაიდან, აღარ იარსებებს სადავო მიშენებები. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შემთხვევაში მოხდება სადავო ნაგებობის დემონტაჟი, რაც, თავისთავად, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელს შექმნის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებისა და მხარეთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, წარმოიშობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი და 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე-285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.16წ. განჩინება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 28.11.14წ. №000659 დადგენილების სრულად შეჩერებისა და გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 12.09.16წ. №A15015173-005/001 წინადადების მოქმედების შეჩერების შესახებ.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყადაღის დადება, რომორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება

განჩინება

№ბს-451-448(უს-17)

8 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ე. წ-მა მოპასუხეების – შპს „კ...“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ხოლო მესამე პირებად მიუთითა ს/ს „...“ და შპს „ჯ...“.

მოსარჩელემ 2002 წლის 19 თებერვლის №58/220ა საკუთრების დამადასტურებელი მონუმენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2003 წლის 19 აგვისტოს უძრავ ქონებაზე განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერის (საკადასტრო კოდით: №...), 1999 წლის 7 ოქტომბრის №220 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 1999 წლის 17 სექტემბრის №126 მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა და ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სოფელ ... სასმელი წყლის წყალშემკრები ცენტრალური ავზისათვის 2 აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების

(სამი სარტყელის) მოწყობისა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ე. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა სოფელ ... სასმელი წყლის ობიექტის წყალშემკრები ცენტრალური ავზისათვის აუცილებელი, სანიტარული დაცვის ზონების (სამი სარტყელი) მოწყობა და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფა. დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში ე. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. წ-მა და ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ე. წ-ის და ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად.

2016 წლის 15 თებერვალს აპელანტმა – ე. წ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ყადაღა დადებოდა შპს „კ...“ სახელზე, ... საკადასტრო კოდით, რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინებით ე. წ-ს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი მონინალმდეგე მხარის შპს „კ...“ ქონების შესახებ უახლესი მონაცემებით ინფორმაციის (ამონაწერი/ცნობა საჯარო რეესტრიდან) წარსადგენად და მითითებული ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს განესაზღვრა 5-დღიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით ე. წ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე ე. წ-

მა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის განჩინებით ე. წ-ის საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ე. წ-ის მიერ წარდგენილ საჩივარში ვერ იქნა მითითებული ისეთი ახალი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესახებ, რაც საჩივრის დაკმაყოფილებას შესაძლებელს გახდიდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. წ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის – ე. წ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „კ...“ სახელზე, ... საკადასტრო კოდით, რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნ-

ველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე, განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამდენად, აღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შედეგად შეიძლება შეიქმნას საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თვალსაზრისით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ე. წ-ს შუამდგომლობაზე სააპელაციო სასამართლომ დაუდგინა ხარვეზი მოწინააღმდეგე მხარის შპს „კ...“ ქონების შესახებ უახლესი მონაცემებით ინფორმაციის (ამონაწერი/ცნობა საჯარო რეესტრიდან) წარსადგენად და მითითებული ხარვეზის შესავსებად განმცხადებელს განუსაზღვრა 5-დღიანი ვადა, ხოლო ე. წ-ის მიერ ვერ იქნა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შპს „კ...“ ახალი ამონაწერი/ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომლის ქონებაზეც ითხოვდა ყადაღის დადებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა შუამდგომლობა განუხილველად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. წ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ნ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლისა და 2017 წლის 13 აპრილის განჩინებები;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უკრაინის უზენაესი სასამართლოს აპელაციის, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-279-277(უს-17)

13 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. ხ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლისა და 2017 წლის 7 მარტის განჩინებებზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კ. დ-მა 2014 წლის 7 ივლისს სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების ნ. ხ-ის, შპს „...“ და სს „...“ მიმართ. მოსარჩელემ სარ-

ჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს (ყაზბეგის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების გამგის) მიერ 1993 წლის 10 ნოემბერს ნ. ხ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №48/2 მოწმობა, 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნ. ხ-ისთვის გაცემის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის“ 2006 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება (საალრიცხვო ბარათი) ნ. ხ-ისთვის 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის“ 2011 წლის 28 აპრილის (№...) გადაწყვეტილება ნ. ხ-ისთვის 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით კ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ყაზბეგის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების გამგის მიერ 1993 წლის 10 ნოემბერს ნ. ხ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №48/2 მოწმობა, 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნ. ხ-ისთვის გაცემულ ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის“ 2006 წლის 29 დეკემბრის საალრიცხვო ბარათი (განცხადების №286/2006) კ. დ-ის კუთვნილი 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნ. ხ-ის სახელზე რეგისტრაციის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის“ 2011 წლის 28 აპრილის №... გადაწყვეტილება კ. დ-ის კუთვნილი 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნ. ხ-ის სახელზე რეგისტრაციის ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურმა და ნ. ხ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებით კ. დ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კ. დ-ის შუამდგომლობა ნ. ხ-ის სახელზე რიცხულ ქონებაზე, (მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ... , ს.კ. ...) ყადაღის დადების და ნ. ხ-ისათვის სამშენებლო სამუშაოების წარმოების აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა; კ. დ-ის შუამდგომლობა საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა უძრავ ქონებაზე მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ... , ს.კ. ... , შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ დავის განხილვის ამ ეტაპისათვის კ. დ-ის სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია, ამასთან, წარმოდგენილია უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე ინტერნეტ ქსელიდან ამოღებული განცხადება, რომელიც ადასტურებს ქონების გასხვისების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ პირობებში სააპელაციო პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის საბოლოოდ დადასტურების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება ვერ აღსრულდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება გაასაჩივრა ნ. ხ-მა. საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კ. დ-ის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული განჩინებით შეიზღუდა არა მარტო მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება, არამედ მესამე პირის – ნ. ხ-ის უფლება განკარგოს მის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც არ არის სადავო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორის მოსაზრებით მასზე გავრცელდა მოპასუხის ვალდებულებები, რაც არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განჩინებით ნ. ხ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2017 წლის 17 თებერვლის განჩინებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივარში ნ. ხ-ს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, რაც გააბათილებდა სასამართლოს მიერ განჩინებაში მითითებულ საფუძვლებს და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდი-

ნარე სამართლებრივ შეფასებებს. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს შეზღუდვა შეეხო იმ მიწის ნაკვეთსაც, რომელიც არ წარმოადგენს დავის საგანს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული პრევენციული ღონისძიება ეფუძნება ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების აკრძალვას. კონკრეტულ საკადასტრო კოდექსში რიცხული ქონების მონაცემის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმჯელოს ქმედების ნაწილობრივ შეზღუდვაზე, რამდენადაც ასეთ პირობებში განჩინება ტექნიკურად ვერ აღსრულდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის, რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა კ. დ-მა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა: ყადაღა დაედოს ნ. ხ-ის სახელზე რიცხულ ქონებას, მდებარე: ყაზბეგის რაიონი, ... , ს.კ. 74.02.13.139; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალოს რეგისტრირებულ უფლებაზე შემდგომი რეგისტრაციისა და ცვლილების განხორციელება; ნ. ხ-ს აეკრძალოს სამშენებლო სამუშაოების წარმოება სადავო ტერიტორიაზე.

მოსარჩელე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა იმ დასაბუთებით, რომ ინტერნეტ ქსელში განთავსებული ინფორმაცია ნ. ხ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის – „უნივერსალური კომერციული ფართის“ გაყიდვის შესახებ. ამდენად, შესაძლოა ნ. ხ-მა სადავო უძრავი ქონება გაასხვისოს, რის გამოც შეუძლებელი გახდება სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულია დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხისათვის სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებაში გარკვეული მოქმედებების აკრძალვის შესახებ, რადგან რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ქმედებების: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებების განხორციელების აკრძალვის პირობებში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს ერთმევა შესაძლებლობა გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ის უძრავი ქონება, რომლებზეც შესაძლოა მოსარჩელის უფლებების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულდება ან შეუძლებელი გახდება კეთილსინდისიერი შემქმნის უფლებების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიე-

ბის მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფას. რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალიზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხროციელდეს. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სათანადო ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებით მოითხოვს სადავო უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მიზნის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ხ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლისა და 2017 წლის 7 მარტის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. უფლებამონაცვლეობის დადგენა

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

№ბს-494-483(2კს-14)

16 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლეობის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 28 ივნისს მ. ხ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის, სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის მიმართ და მოითხოვა 1. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №124-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას;

3. სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი 0.52-ის ნაცვლად განისაზღვროს 0.5-ით, ხოლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ნაცვლად 3.04-ისა განისაზღვროს 1.5-ით;

4. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

2013 წლის 16 აგვისტოს მ. ხ-ამ შუამდგომლობით მიმართა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.3 მუხლის საფუძველზე საქმის განხილვის დასრულებამდე ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აგვისტოს განჩინებით მ. ხ-ას შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის დასრულებამდე ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის თანახმად ჩაბმულ იქნა კ. ა-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის თანახმად ჩაბმულ იქნა შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ, შპს „...-მა“ და სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის

– ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე, დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის, შპს „...-ის“ და სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

შპს „...-მა“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შპს „...-ის“ შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 9 დეკემბერს შპს „...-მა“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 დეკემბრის განჩინებით შპს „...-ის“ განცხადება მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 10 დეკემბერს გ. კ-ის წარმომადგენელმა დ. ა-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად გ. კ-ის მესამე პირად ჩართვა იმ მოტივით, რომ დავის საგანი ეხება თბილისი, ... ქ. №124-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გაცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას. სადავო აქტები გაცემულია გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც 2013 წლის 10 იანვარს შპს „...-თან“ გაფორმებულია აღნაგობის ხელშეკრულება. სადავო აქტები ეხება გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2

მუხლის შესაბამისად ჩაბმულ იქნა გ. კ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ხ-ას სასარჩელო განცხადებაზე – ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ და ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ხ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 20 მარტს გ. კ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა მოთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინებით გ. კ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით გ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის განჩინებით მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომაზე გ. კ-ის წარმომადგენელმა დ. ა-ემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის თ. კ-ის ჩაბმის თაობაზე და წარადგინა სანოტარო აქტი სამკვიდროს გახსნის შესახებ.

მ. ხ-ას წარმომადგენელმა ბ. შ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება საქმეში მესამე პირის – გ. კ-ის გარდაცვალების გამო საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომაზე მ. ხ-ას წარმომადგენელმა ა. მ-ემ იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით გ. კ-ის წარმომადგენლის დ. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით მ. ხ-ას წარმომადგენლის ბ. შ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ განსახილველ საქმეში არსებობდა არა უფლებამონაცვლეობის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების, არამედ საქმეში მესამე პირის – ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის თ. კ-ის ჩაბმის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით მ. ხ-ას წარმომადგენლის ა. მ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით გ. კ-ის წარმომადგენლის დ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. საქმეში მესამე პირის ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა მისი მეუღლე – თ. კ-ე იმ მოტივით, რომ საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 24 ივნისის სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობა, რომლითაც დასტურდება, რომ თ. კ-ის მიერ მისი ან გარდაცვლილი მეუღლის გ. კ-ის სამკვიდროს მიღება და როგორც სამკვიდროს კანონისმიერ მმართველს უფლება აქვს: მართოს სამკვიდრო – სამკვიდრო მასაში შემავალი აქტივები (ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე – ნივთები, მოთხოვნები, აქციები, წილები და სხვა უფლებები) და პასივები (ვალდებულებები).

შესაბამისად, სამკვიდროს მართვის ფარგლებში სამკვიდროს კანონისმიერი მმართველი უფლებამოსილია, წარმოადგინოს მამკვიდრებლის სამკვიდრო მასა ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლის მონაწილეც იყო მამკვიდრებელი, მათ შორის, სამკვიდრო მასა წარმოადგინოს სასამართლო/ადმინისტრაციული საქმის წარმოებაში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლისა და 2014 წლის 24 ივნისის სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობის საფუძველზე მიიჩნია, რომ ან გარდაცვლილი გ. კ-ის მეუღლე თ. კ-ე, როგორც სამკვიდროს მმართველი უფლებამოსილია, სასამართლოში წარმოადგინოს და დაიცვას გარდაცვლილი მეუღლის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

შესაბამისად, საქმეში მესამე პირის ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმული უნდა იქნეს მისი მეუღლე თ. კ-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება, საქმეში ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ თ. კ-ის ჩაბმის თაობაზე, კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ 2014 წლის 23 ივნისის გარდაიცვალა საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩაბმული გ. კ-ე, რომელიც საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად სას.კ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად იმ საფუძველით, რომ იგი წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ანუ იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელზედაც განხორციელდა სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი და საოფისე) განთავსე-

ბის მიზნით.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე, 281-ე და 92-ე მუხლები და განეხორციელებინა ის საპროცესო ქმედება, რაც ამ მუხლებითაა დადგენილი – შეეჩერებინა საქმის წარმოება და კანონით დადგენილი წესით საქმეში ჩაება გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას.

სააპელაციო სასამართლომ საქმის წარმოებისას შეჩერების ნაცვლად საქმეში უფლებამონაცვლის სახით ჩააბა თ. კ-ე, რომელიც უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპი – კანონიერების პრინციპი, რაც მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას განუხრელად ხელმძღვანელობდეს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმებით. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს ზუსტ შესაბამისობაში მატერიალურ სამართალთან იმ პირობით, რომ მკაცრად იქნება დაცული საპროცესო სამართლის ნორმები.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, მნიშვნელოვანია, რომ შუამდგომლობა სამკვიდროს მმართველის უფლებამონაცვლის სახით საქმეში ჩართვის თაობაზე დაყენებული იქნა მისი ადვოკატების სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ, ანუ ადვოკატებს არ მიეცათ შესაძლებლობა გამოეხატათ საკუთარი მოსაზრება ამ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

სხდომაზე მონაწილეობდა ან გარდაცვლილი გ. კ-ის წარმომადგენელი, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. ერთ-ერთი მისი ადვოკატის სხდომის დარბაზიდან გაძევება სწორედ ამ საკითხზე მითითებამ გამოიწვია.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, უფლებამონაცვლეობა ნიშნავს სამართალურთიერთობების ერთი სუბიექტისაგან უფლებების და ვალდებულებების გადასვლას სხვა სუბიექტზე. უფლებამონაცვლე იკავებს მისი წინამორბედის (სამართალურთიერთობიდან გასული პირის) ადგილს ყველა ურთიერთობაში, რომელშიც დაიშვება უფლებამონაცვლეობა.

უფლებამონაცვლეობა არის უნივერსალური და სინგულარული. უნივერსალური უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამო-

ნაცვლე იკავებს თავისი წინამორბედის ადგილს ყველა სამართალურთიერთობაში, გარდა ისეთი სამართალურთიერთობისა, რომელშიც უფლებამონაცვლეობა არ დაიშვება კანონით.

სინგულარული უფლებამონაცვლეობის დროს, უფლებამონაცვლე იკავებს წინამორბედის ადგილს იმ სამართალურთიერთობის ნაწილში, რომელზედაც ვრცელდება უფლებამონაცვლეობა. მაგ: მოთხოვნის დათმობა. შესაბამისად, სამკვიდროს მმართველი პირი უფლებამონაცვლედ უნდა ვცნოთ იმ შემთხვევაში, თუკი მასზე გადავიდა გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები (მთლიანად ან ნაწილობრივ).

სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლის თანახმად, თუ სამკვიდრო მართვას საჭიროებს, აგრეთვე, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი, სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. მმართველი არ დაინიშნება, როდესაც თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, ან თუ დანიშნულია ანდერძის აღმასრულებელი. 1489-ე მუხლი მოქცეულია მე-13 თავში, რომელსაც ეწოდება სამკვიდროს დაცვა.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 77-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ ნოტარიუსი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში იღებს ზომებს ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს.

შესაბამისად, სამკვიდროს მმართველი ინიშნება სამკვიდროს დაცვის მიზნით და ის არ წარმოადგენს გარდაცვლილის უფლებამონაცვლეს. სამკვიდროს მმართველზე გარდაცვლილი პირის უფლებები და ვალდებულებები არ გადადის, მაგ: სამკვიდროს მმართველი არ არის ვალდებული გარდაცვლილის კრედიტორებს გადაუხადოს თანხა, იგი არ არის უფლებამოსილი გარდაცვლილი პირის ნაცვლად დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ და ა.შ.

მოქმედი კანონმდებლობის არცერთ მუხლში არ არის მითითებული, რომ სამკვიდროს მმართველზე გადადის გარდაცვლილი პირის უფლებები და მოვალეობები.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამკვიდროს მმართველი ინიშნება ნოტარიუსის დადგენილებით, განსაზღვრული

ვადით და სამკვიდროს მმართველი მომსახურების სანაცვლოდ ღებულობს გასამრჯელოს, რომლის ოდენობა გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს სამკვიდროს მასის ღირებულებასა და შესრულებულ სამუშაოსთან. შესაბამისად, სამკვიდროს მმართველი არ წარმოადგენს იმ პირის უფლებამონაცვლეს, რომლის სამკვიდროს დაცვის მიზნითაც იგი დანიშნული იქნა სამკვიდროს მმართველად.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით უფლებამონაცვლედ საქმეში ჩააბა არა უფლებამონაცვლე, არამედ პირი – თ. კ-ე, რომელზედაც გარდაცვლილის უფლებები და მოვალეობები არ გადასულა.

2014 წლის 24 ივნისს გაცემული სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობაში პირდაპირაა მითითებული, რომ თ. კ-ეს წინამდებარე მოწმობის პირველ პუნქტში მითითებული განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით არ შეუძენია მემკვიდრის უფლებები, რაც ნიშნავს, რომ სასამართლო დაეყრდნო უფლებამონაცვლეობის საკითხის გადანყვეტისას სანოტარო აქტს, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ თ. კ-ე უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ უფლებამონაცვლედ ჩართო და პროცესში დაუშვა არა სამკვიდროს მმართველი, არამედ ფიზიკური პირი თ. კ-ე, მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლში მითითებულია სამკვიდროს მმართველზე, როგორც სპეციალური უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირზე. ამდენად, თუკი სასამართლო 1498-ე მუხლით ხელმძღვანელობდა, რაც ასევე არასწორია, მას საქმის განხილვაში უნდა ჩაება გ. კ-ის სამკვიდროს მმართველი, როგორც სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი და არა ფიზიკური პირი თ. კ-ე.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, თუკი საქმის განხილვა გაგრძელდება 6 თვეზე მეტი ვადით და გ. კ-ის ქონება გადავიდა მის მემკვიდრეებზე, სახელმწიფოზე ან კანონით განსაზღვრულ სხვა სუბიექტზე. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ საქმეში მესამე პირად ჩართული იქნება სამკვიდროს მმართველი, რომელიც არ არის გ. კ-ის ქონების მესაკუთრე და საქმეში არ იქნება ჩართული ის პირი, რომელიც ამ ქონების მესაკუთრე გახდება.

შესაბამისად, ან გარდაცვლილი გ. კ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში ჩართული უნდა ყოფილიყო ის პირი, რომელიც მოიპოვებდა საკუთრებას ამ მიწის ნაკვეთზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ პუნქტში მითითებულია, რომ მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთნაირი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი (პირი, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში – სახელმწიფო ან შესაბამისი ორგანიზაცია ან სხვა უფლებამონაცვლე). ასევე უცნობია, დატოვა თუ არა გ. კ-ემ ანდერძი, ამიტომ ობიექტურად შეუძლებელია იმ პირთა წრის პროგნოზირება, რომლებიც იქნებიან გ. კ-ის უფლებამონაცვლეები. არასწორი იქნება იმის თქმა, რომ გ. კ-ის უფლებამონაცვლეები იქნებიან მისი პირველი რიგის მემკვიდრეები, რადგან დასახელებულ პირებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლი არის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა და არა საპროცესო ნორმა, რომელიც არ ითვალისწინებს, თუ რა საპროცესო ქმედება უნდა განახორციელოს სასამართლომ საქმეში მონაწილე პირის გარდაცვალებისას. ასეთ საპროცესო მოქმედებას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. შესაბამისად, არავითარი ლოგიკური ახსნა არ გააჩნია საპროცესო ქმედების განხორციელებას სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლის საფუძველზე, რომელიც საპროცესო ქმედების შინაარსს არ განსაზღვრავს და არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე, რომელიც ასეთი ქმედების შინაარსს პირდაპირ განსაზღვრავს და თანაც იმპერატიულად.

სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლი განსაზღვრავს სამკვიდროს მმართველის დანიშვნის ორ წინაპირობას – ესაა სამკვიდროს დაცვა და მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ სარჩელის წარდგენა.

სხდომაზე სააპელაციო სასამართლომ ყურადღება სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა, რომ რაკილა მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ სარჩელის წარდგენა სამკვიდროს მმართველის დანიშვნის საფუძველია, მაშასადამე, სამკვიდროს მმართველი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. იმდენად, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში მამკვიდრებლის კრედიტორებს მამკვიდრებლის მიმართ სარჩელი წარდგენილი არ აქვთ (დავის საგანია ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა), ამ მუხლის გამოყენების პირობა არ არსებობს. ანუ თუკი სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლს იმგვარად განმარტავს, რომ თუ მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი, მაშინ საქმის წარმოება არ უნდა შეჩერდეს

და საქმეში უნდა ჩაერთოს სამკვიდროს მმართველი, რასაც კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ქმედება ამ შემთხვევაშიც არასწორი იქნებოდა, რადგან ასეთ შემთხვევას ობიექტურად ადგილი არ აქვს. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის პირველ მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსის დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღრულების დროს. სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის მეხამე ნაწილში იმპერატიულად არის განსაზღვრული, რომ უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად, რომლის „ა“ ქვეპუნქტში კი მითითებულია, რომ მოქალაქის გარდაცვალებისას სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ კი კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა. სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლი არც პირდაპირ და არც ირიბად არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლომ არ შეასრულოს კანონის იმპერატიული მოთხოვნები და უარი თქვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენებაზე.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა თ. კ-ე.

მონინალმდეგე მხარეებს კერძო საჩივარზე შეპასუხება არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ხ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე – გ. კ-ის წარმომადგენლის – დ. ა-ის შუამდგომლობა ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლო შემდეგ გა-

რემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დარღვევით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა და გადაწყვიტა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით. ამასთანავე, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები არ შეესაბამება მატერიალური სამართლის ნორმებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორი დასკვნა გამოიტანა საქმეში წარმოდგენილი სანოტარო აქტიდან, რომელიც საფუძვლად დაედო გარდაცვლილი საპროცესო მონაწილის საპროცესო უფლებამონაცვლედ თ. კ-ის ჩართვას, ასევე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა სამოქალაქო სამართლის ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის: 1. სამკვიდროს მმართველის და 2. უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით, შედეგად ჩამოაყალიბა სამართლებრივად მცდარი დასკვნა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით ამ ინსტიტუტების დადგენისა და მოწესრიგების არსსა და მიზანს.

საქმის მასალების მიხედვით, მ. ხ-ას სარჩელის საგანს წარმოადგენს:

1. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №124-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას;

3. სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე („იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი 0.52-ის ნაცვლად განისაზღვროს 0.5-ით,

ხოლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ნაცვლად 3.04-ისა განისაზღვროს 1.5-ით“);

4. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად ჩაბმულ იქნა გ. კ-ე, შემდეგი მოტივაციით: დავის საგანი ეხება თბილისი, ... ქ. №124-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გაცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას. სადავო აქტები გაცემულია გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც 2013 წლის 10 იანვარს შპს „...-თან“ გაფორმებულია აღნაგობის ხელშეკრულება. სადავო აქტები ეხება გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირის ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა მისი მეუღლე თ. კ-ე.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტავს, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალწარმოება აგებულია ნეგატიური დათქმის პრინციპზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი კი არ ადგენს საპროცესო უფლებამონაცვლის ინსტიტუტის თაობაზე განსხვავებულ წესებს, ადმინისტრაციულ დავათა განხილვისას გამოიყენება სსსკ-ით განსაზღვრული საპროცესო წესები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა, როგორც საპროცესო მოქმედება შესრულდება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო უფლებამონაცვლეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარის (წინამორბედის) საპროცესო უფლებები და მოვალეობები გადადის სხვა პირზე, რომელიც მანამდე საქმეში არ მონაწილეობდა და რომელიც ხდება ამ მხარის (წინამორბედის) უფ-

ლებამონაცვლე სამოქალაქო დავაში.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა ნიშნავს საპროცესო უფლება-მოვალეობების ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადასვლას, მისი წინამორბედის პროცესუალური სტატუსის შექმნას, რაც უმნიშვნელოვანესი პროცესუალური მოქმედებაა და მისი განხორციელება უშუალოდ არის დამოკიდებული მატერიალურ-სამართლებრივ ვითარებაზე, რაც ლოგიკურად, მისი შედეგების გათვალისწინებით, კანონით მკაცრად და ზუსტად რეგლამენტირებულ წესს ექვემდებარება, კერძოდ, საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია მხარის ან მესამე პირის მატერიალური უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა სხვა პირებზე პროცესის განმავლობაში. საპროცესო უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალურ სამართალურთიერთობებში. თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალურთიერთობებში უშვებს ერთი პირის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას მეორეზე, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველი შეიძლება იყოს ყოფილი მხარის ან მესამე პირის გარდაცვალება, რა დროსაც გარდაცვლილი მხარის მემკვიდრე (თუ ჰყავს გარდაცვლილს მემკვიდრეები) იქნება უფლებამონაცვლე, ანუ საპროცესო უფლებამონაცვლეობის წესით მემკვიდრეზე (ან მემკვიდრეებზე) გადავა ყველა მატერიალური უფლება და ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო (მატერიალურ) სამართალში ცნობილია ორი სახის უფლებამონაცვლეობა: 1. უნივერსალური (ზოგადი) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა სამოქალაქო უფლება და მოვალეობა. მაგ. მემკვიდრეობის დროს, იურიდიული პირის რეორგანიზაციის დროს და 2. სინგულარული, ანუ კერძო მონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეობა ხდება იმ შემთხვევაში, როცა კანონით დაიშვება ცალკეულ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა გადასვლა. მაგ. სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის შემთხვევაში, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა. აღნიშნულ საკითხს საპროცესო სამართალი სპეციფიკურად აწესრიგებს. საპროცესო უფლებამონაცვლეობა ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა საპროცესო უფლება-მოვალეობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობა უნდა განვასხვავოთ უფლებამო-

ნაცვლეობისგან მატერიალურ სამართალში. სამოქალაქო საპროცესო უფლებამონაცვლეობა, სამოქალაქო მატერიალური უფლებამონაცვლეობისაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი (უნივერსალური), ვინაიდან უფლებამონაცვლე მთლიანად ცვლის წინამორბედებს და მასზე სრული მოცულობით გადადის თავისი წინამორბედის ყველა საპროცესო უფლება და მოვალეობა. სამოქალაქო პროცესში დაუშვებელია ნაწილობრივი უფლებამონაცვლეობა.

მატერიალური უფლებამონაცვლეობა იმთავითვე არ იწვევს საპროცესო უფლებამონაცვლეობას. გახდება თუ არა ის პროცესუალური მონაწილე, ეს დამოკიდებულია თვით უფლებამონაცვლის ნებაზე. სასამართლოში უფლებამონაცვლის მიერ უფლებამონაცვლედ დაშვების თაობაზე განცხადების შეტანის შემთხვევაში, მის საპროცესო ვალდებულებას განეკუთვნება – სასამართლოს წარუდგინოს მატერიალურ სამართლებრივად თავისი უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი მტკიცებულება (მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ დოკუმენტი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი უნივერსალური უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, რაც სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ 2014 წლის 24 ივნისის სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობის საფუძველზე თ. კ-ე წარმოადგენს ან გარდაცვლილი გ. კ-ის სამკვიდროს მმართველს, რომელიც უფლებამოსილია სასამართლოში წარმოადგინოს და დაიცვას გარდაცვლილი მეუღლის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლის შესაბამისად, საქმეში ან გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩააბა მისი მეუღლე თ. კ-ე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო კოდექსის VI წიგნი ადგენს და აწესრიგებს მემკვიდრეობის სამართლის ინსტიტუტებს, განსაზღვრავს ამ სამართლის ცნებებს, მემკვიდრეობის წარმოშობის საფუძვლებს და ა.შ., მითითებული წიგნის მე-13 თავით განსაზღვრულია სამკვიდროს დაცვის ცნება, წინაპირობები, უფლებამოსილი ორგანო და დაცვის ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული თავის 1495-ე მუხლით დადგენილი სამკვიდროს დაცვის დეფინიციის მიხედვით განმარტავს, რომ:

1) სამკვიდროს დაცვის ღონისძიებების განმახორციელებელ სუბიექტად დადგენილია სანოტარო ორგანო;

2) ამგვარი დაცვის ღონისძიებების განხორციელება უნდა გამომდინარეობდეს ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დაცვის მიზნიდან;

3) სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი სამკვიდროს დაცვისთვის აუცილებელ ზომებს იღებს:

ა) დაინტერესებული პირების,

ბ) ანდერძის აღმსრულებლის,

გ) თავისი ინიციატივით.

ამავე ნორმის მიხედვით განსაზღვრულია სამკვიდროს დაცვისთვის აუცილებელი ზომების განხორციელების დრო, ვადა, კერძოდ, ზომები გაგრძელდება: 1) ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე; 2) სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.

ამავე თავის 1498-ე მუხლი ითვალისწინებს სამკვიდროს მმართველის ინსტიტუტს (ფორმა – სანოტარო ორგანოს მიერ დანიშვნა) შემდეგი დათქმით:

1. სამკვიდრო საჭიროებს მართვას;

2. მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი.

აქვე, ნორმით გათვალისწინებულია სამკვიდროს მმართველის დანიშვნის გამომრიცხავი გარემოებები:

1. თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო;

2. დანიშნულია ანდერძის აღმსრულებელი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეში უნდა ჩაება ან. გარდაცვლილი გ. კ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ ის პირი, რომელიც მოიპოვებდა საკუთრებას ამ მიწის ნაკვეთზე და არა ფიზიკური პირი თ. კ-ე, ვინაიდან „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 77.1 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მონმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. ამავე ინსტრუქციის

83.5 მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს მმართველი ინიშნება ნოტარიუსის დადგენილებით. დადგენილებაში უნდა მიეთითოს:

- ა) დადგენილების მიღების თარიღი;
- ბ) დადგენილების მიმღები ნოტარიუსის სახელი და გვარი, სანოტარო ბიუროს მისამართი;
- გ) დადგენილების მიღების საფუძვლები;
- დ) მმართველის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, პირადი ნომერი;
- ე) სამკვიდროს მართვის ვადა.

განსახილველ საქმეში წარმოდგენილია სანოტარო ორგანოს 2014 წლის 24 ივნისის „სამკვიდროს მიღების თაობაზე თ. კ-ის განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობა“, რომელშიც მითითებულია, რომ ეს მოწმობა არ წარმოადგენს სამკვიდრო მოწმობას, რაც გაიცემა მომავალში – მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის ვადის ამონაწერის შემდეგ. შესაბამისად, განმცხადებელს – თ. კ-ეს მითითებული განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით არ შეუძენია მემკვიდრის უფლებები.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია, გასცეს მოწმობა, რომლითაც დადასტურდება სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის ფაქტი, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოწმობა არ არის სამკვიდრო მოწმობა და მას ვერ მოჰყვება სამკვიდრო მოწმობის გაცემის იდენტური სამართლებრივი შედეგები, რამდენადაც აღნიშნულ სანოტარო აქტს სხვა ფუნქცია აკისრია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით თ. კ-ის, გარდაცვლილი პროცესუალური მონაწილის – მესამე პირის გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმა, იმ ვითარებაში, როცა თ. კ-ე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის მისი მეუღლის მემკვიდრე, სამოქალაქო კოდექსით სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგ გაიცემა მხოლოდ სამემკვიდრეო მოწმობა და სწორედ ამ მომენტიდან არის სახეზე მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობა, ეწინააღმდეგება სამემკვიდრეო სამართლის ლოგიკას. შესაბამისად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამონაცვლეობის შედე-

გია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო საპროცესო სამართალურთიერთობა მოაწესრიგა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით, კერძოდ, არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძვლების დადგენი ნორმა, რის შედეგადაც საპროცესო უფლებაუნარიანობა შეიძინა პირმა, რომელმაც არ შეიძინა წინამორბედის (გარდაცვლილი მეუღლის) მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი, რითაც საფრთხე ექმნება არსებითად სამემკვიდრეო სამართლისთვის მნიშვნელოვან წესრიგს, რამდენადაც გ. კ-ის მემკვიდრეობის სხვა პირზე (პირებზე) გადასვლის შემთხვევაში, გაურკვეველია რა საპროცესო მოქმედებით გაიყვანს სასამართლო პროცესიდან სამკვიდროს მმართველს თ. კ-ს, ან/და მასთან ერთად ან მის გარეშე როგორ შეიძენენ ისინი გ. კ-ის საპროცესო უფლებამონაცვლის სტატუსს, რაზედაც სავესებით დასაბუთებულად მოჰყავს შესაძლო მაგალითები (ვერსიები) კერძო საჩივრის ავტორს, მოქმედი კანონმდებლობის ნორმების სწორი გაგება-განმარტების საფუძველზე.

წინამდებარე განჩინების დადგენისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №ბს-435-424(კს-13) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო საჩივრისა გამო მოწინააღმდეგე მხარის – ნ. მ-ის მიმართ, 2013 წლის 19 ნოემბრის განჩინებაში საქმის წარმოების შეჩერების საპროცესო ინსტიტუტთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და განმარტებას:

„საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებისას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო-სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებით, როგორიცაა საქმის წარმოების შეჩერება, დაუსაბუთებელი სასამართლო დასკვნა განავითარა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე გარემოებათა გამო, შესაძლებელია შეიქმნას იმგვარი ფაქტობრივი ვითარება, რომელთა არსებობის პირობებში შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი მოცემული სამართლის დავის განხილვა და გადაწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დიფერენცირებას ახდენს შემთხვევებისა, როცა სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, საპროცესო კოდექ-

სით პირდაპირ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას და როცა სასამართლო არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია შეაჩეროს საქმის წარმოება. საქმის წარმოების შეჩერების ფაქულტატიური შემთხვევებისას, სასამართლოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რა დროსაც ობიექტური შეფასების საფუძველზე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია კანონით გათვალისწინებული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 279-ე მუხლით დადგენილი საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძვლების განაღობების შედეგად განმარტავს, რომ ჩამოთვლილი, მაგ: ა), ბ) და გ) პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საქმის წარმოების შეჩერება ემსახურება პროცესუალური მონაწილის უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფას, რათა მან სრულფასოვნად მოახდინოს თავისი პროცესუალური უფლებების რეალიზება და მისი მეშვეობის შედეგად სადავო მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვა.

„ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი – სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლების რეალიზება გამოორიცხავს საქმის განხილვის შესაძლებლობას, რამდენადაც სასამართლო ამ უფლებამოსილებას იყენებს მართლმსაჯულების მიზნიდან გამომდინარე, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტუროს ან უარყოს მოსამართლის ვარაუდი, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე.

„დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი: „თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო ხასიათი მდგომარეობს შემდეგში:

სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია პარალელურად მიმდინარეობდეს სხვა საქმის განხილვა, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით, რომლის გადაწყვეტამდე, შეუძლებელია მოცემული საქმის განხილვა.

ნორმატიული დათქმა – საქმის განხილვის შეუძლებლობა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, გამომდინარეობს სასამართლო დავის განხილვის სამართლებრივი ბუნების ლოგიკიდან, კერძოდ, ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლო-

ში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

მითითებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ისეთ საპროცესო ინსტიტუტთან, როგორიცაა მტკიცების ტვირთი და ემსახურება ფაქტების დამტკიცების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების მიზანს. სამართალწარმოების ერთ-ერთი პრინციპის – პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა.

სხვა სამართალწარმოებით საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა რიგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას, რამდენადაც ფაქტები, რომლებიც უნდა დადგინდეს სამოქალაქო, სისხლის ან სხვა ადმინისტრაციული წესით განხილვისას, ვერ იქნება გამორკვეული, შეფასებული და დადგენილი კონკრეტული საქმის წარმოებისას, ამავდროულად, ამ ფაქტების დადგენამდე შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული საქმის განხილვა“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებულ განჩინებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საპროცესო ინსტიტუტის – საპროცესო უფლებამონაცვლის დანიშნულებიდან, მეტიც, ამგვარი გადაწყვეტა საკითხისა – სამკვიდროს მიღებაზე განცხადების შეტანის შესახებ მოწმობის გაცემის – სანოტარო აქტის სამკვიდროს მმართველად მიჩნევა, როცა ამგვარი სანოტარო აქტი საქმეში არ არსებობს და მისი საპროცესო უფლებამონაცვლედ ჩაბმა, საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების ინსტიტუტის არგამოყენება, შეუსაბამოა, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო მართლმსაჯულების პრაქტიკასთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა კანონით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედების განხორციელებისას სწორი შეფასება უნდა მისცენ კონკრეტულ საპროცესო სამართალურთიერთობას, მისი კანონით მკაცრად დადგენილი წესით მოწესრიგების მიზნით, ხოლო ის

საპროცესო მოქმედებები, რომელთა განხორციელება დამოკიდებულია და გამომდინარეობს შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტებიდან და მათ საპროცესო-სამართლებრივ რეზულტატს წარმოადგენს, შეუძლებელია განხორციელდეს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში დამდგარი ფაქტების სწორი კვალიფიკაციის გარეშე, რაც უსათუოდ გამოიწვევს პროცესუალური უფლებებით არასათანადო პირის აღჭურვას და რაც ცალსახად ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს – სამართალწარმოების განხორციელებას კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა კერძო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, საქმე გ. კ-ის წარმომადგენლის დ. ა-ის შუამდგომლობის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური საფუძველი, კანონით დადგენილი საპროცესო მოქმედების კანონშესაბამისი შესრულების მიზნით, წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნების გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 279-ე, 281-ე 390-ე, 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ხ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე გ. კ-ის წარმომადგენლის, დ. ა-ის შუამდგომლობის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქმეზე სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლეობის დადგენა

განჩინება

№ბს-689-597-კ-04

9 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ნ. სხირტლაძე

განიხილა ნ. ა-ისა და გ. ფ-ის წარმომადგენლის – თ. ყ-ის განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 8 ოქტომბრის №ბს-689-597-კ-04 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოვალე – დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლის დადგენის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კასატორების: ა. თ-ის, გ. ფ-ის და ნ. ა-ის წარმომადგენლის ვ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება დუშეთის რაიონის გამგეობისათვის ა. თ-ის, გ. ფ-ისა და ნ. ა-ის სასარგებლოდ 2002 წლის 1 ნოემბრიდან 2003 წლის 11 სექტემბრამდე ყოველთვიური სარჩოს დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. თ-ის, გ. ფ-ის და ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დუშეთის რაიონის გამგეობას დაეკისრა:

ა) მოსარჩელე ა. თ-ის სასარგებლოდ 2001 წლის 11 დეკემბრიდან 2003 წლის 11 სექტემბრამდე ყოველთვიური სარჩოს სახით 120 (ას ოცი) ლარის გადახდა, ხოლო 2003 წლის 11 სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 36 (ოცდათექვსმეტი) ლარის გადახდა;

ბ) მოსარჩელე გ. ფ-ის სასარგებლოდ 2001 წლის 11 დეკემბრიდან 2003 წლის 11 სექტემბრამდე ყოველთვიური სარჩოს სახით 120 (ას ოცი) ლარის გადახდა, ხოლო 2003 წლის 11 სექ-

ტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 36 (ოცდათექვსმეტი) ლარის გადახდა.

გ) მოსარჩელე ნ. ა-ის სასარგებლოდ 2001 წლის 11 დეკემბრიდან 2003 წლის 11 სექტემბრამდე ყოველთვიური სარჩოს სახით 140 (ას ორმოცი) ლარის გადახდა, ხოლო 2003 წლის 11 სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 42 (ორმოცდაორი) ლარის გადახდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გ. ფ-ისა და სხვათა წარმომადგენლის – ვ. რ-ის განცხადების საფუძველზე 2007 წლის 11 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2007 წლის 14 სექტემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა გ. ფ-ისა და სხვათა წარმომადგენელმა – ვ. რ-მა და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის თითოეული კრედიტორის სასარგებლოდ ცალ-ცალკე ამოწერა, რამდენადაც მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო წარმოებაში არ იღებდა წარდგენილ, 2007 წლის 11 სექტემბრის სააღსრულებო ფურცელს.

2007 წლის 21 სექტემბერს თითოეული კრედიტორის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცლები, რომლებიც გაიგზავნა მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროში.

აღნიშნულის მიუხედავად, 2014 წლის 9 ივლისს გ. ფ-ისა და ნ. ა-ის წარმომადგენელმა – თ. ჟ-მა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროსაგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2007 წლის 21 სექტემბერს გაცემული და სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნილი სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე აღსრულებული იყო თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება სრულად კრედიტორების – გ. ფ-ისა და ნ. ა-ის ნაწილში, როგორც 2001 წლის 11 დეკემბრიდან 2003 წლის 11 სექტემბრამდე, ასევე 2003 წლის 11 სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდის თაობაზე. სააღსრულებო ბიუროს მიერ საკასაციო სასამართლოს ეცნობა, რომ მითითებული სააღსრულებო ფურცლები არ იყო რეგისტრირებული სააღსრულებო ბიუროში. ასევე ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების სრულად აღსრულების ფაქტი არ იქნა დადასტურებული.

აღნიშნულის შესაბამისად, 2014 წლის 8 სექტემბერს საკასაციო სასამართლოს მიერ ნ. ა-ისა და გ. ფ-ის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცლების დუბლიკატები.

2014 წლის 12 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. ა-ისა და გ. ფ-ის წარმომადგენელმა – თ. ყ-მა, რომელმაც მოითხოვა მოვალე დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლის დადგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და მიაჩნია, რომ დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ფიზიკური პირების – ნ. ა-ის, გ. ფ-ისა და ა. თ-ის სასარგებლოდ სარჩოს გადახდა დაეკისრა დუშეთის რაიონის გამგეობას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი გაიცა დუშეთის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ. წარმოდგენილი მასალების თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების მიზნით შეტყობინება გაეგზავნა მოვალეს, თუმცა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 18 ნოემბრის №637 წერილით სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ წარმოდგენდა დუშეთის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრეს. შესაბამისად, მოვალის უფლებამონაცვლის დასადგენად კრედიტორთა წარმომადგენელმა მომართა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმობათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანაღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი

ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს განწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის 16 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი არის იმ ქალაქის სამართალმემკვიდრე, რომელიც 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

მითითებული კანონის 65¹-ე მუხლის (ადგილობრივი მმართველობის ორგანოსა და თვითმმართველი ერთეულის ლიკვიდაცია) პირველ ნაწილის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულად ჩაითვალა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის 16 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონის 65-ე და 65¹-ე მუხლების საფუძველზე, ამ კანონის ამოქმედებიდან გაუქმდა დუშეთის რაიონის გამგეობა და მის მაგივრად შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა. შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის 16 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების შემდეგ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენდა დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლეს, რის გამოც დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ უნდა იქნეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. დუშეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამონაცვლეობის დადგენა

განჩინება

№ბს-1853-1807(კ-10)

5 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

განიხილა სს „...“ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოვალე – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „...“ საკასაციო საჩი-

ვარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება მისი გამოცემის მომენტიდან და უფლებამონაცვლეს – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაეკისრა სს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი (100, 150, 300) 550 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე 2012 წლის 6 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2015 წლის 13 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა სს „...“ და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცლის გაცემა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში.

საკასაციო სასამართლოს მიერ ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურიდან იმის თაობაზე, აღსრულებული იყო თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სრულად, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ნაწილშიც. ამასთან, მითითებულ სამსახურს ეთხოვა ინფორმაციის მოწოდება სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით, თუმცა საკასაციო სასამართლოს მიმართვაზე პასუხი არ იქნა გაცემული.

2015 წლის 15 მაისს საკასაციო სასამართლოს მომართა სს „...“, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის

თის სამსახურის უფლებამონაცვლის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 დეკემბრის №3270 მიმართვა, რომლის შესაბამისად, სამინისტრომ იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე. მითითებული მიმართვის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და მიაჩნია, რომ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამსახური შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება მისი გამოცემის მომენტიდან და უფლებამონაც-

ვლეს – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაეკისრა სს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი (100, 150, 300) 550 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ. ამდენად, მითითებული გადაწყვეტილებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი 2012 წლის 6 მარტს გაიცა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის წინააღმდეგ, თუმცა გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი არ დასტურდება სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და მით უფრო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის დანაწესის მიუხედავად, რომლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

წარმოდგენილი მასალების თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2015 წლის 8 მაისის აქტით კრედიტორს მიეცა წინადადება მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის მოვალის უფლებამონაცვლის დასადგენად. აღნიშნულის შესაბამისად, სს „...“ მოვალის უფლებამონაცვლის დასადგენად მომართა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმობათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანაღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონა ნოტარიუსმა. თუ საჭი-

რო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს განწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის №93 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეორგანიზებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – ეროვნულ სატყეო სააგენტოდ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გამგებლობაში შეიქმნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

დადგენილების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რეორგანიზებული საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ფუნქციები კანონმდებლობით მინიჭებული მათი უფლებამოსილებების (ფუნქციების) ფარგლებში გადანაწილდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაზე – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტზე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – ეროვნულ სატყეო სააგენტოზე და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – გარემოს ეროვნულ სააგენტოზე.

მე-5 პუნქტის თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ჩაითვალა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში (გარ-

და ამ მუხლის მე-7-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ჩაითვალა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება მათ მიერ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში დავა ეხებოდა მწვანე ნარგავების დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის ფარგლებში სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამსახური.

აღნიშნულთან დაკავშირებით სს „...“ მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 დეკემბრის №3270 მიმართვა, რომლის თანახმად, წინამდებარე დავასთან დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, მოვალის – სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამსახური და

მოვალის უფლებამონაცვლე პირის მიმართ გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის უფლებამონაცვლედ დადგინდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამსახური;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მუნიციპალიტეტის საქმეზე უფლებამონაცვლედ
ცნობა**

განჩინება

№ბს-782-768(კს-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: უფლებამონაცვლეობის კანონიერება;

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 8 მაისს მ. კ-ამ სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 აპრილის

№7/1-112 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 აპრილის №7/1-112 ბრძანება მ. კ-ას თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. კ-ას სამსახურში აღდგენის თაობაზე; მოპასუხე – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა 2014 წლის 16 აპრილიდან მ. კ-ას სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქმეში მოპასუხის (აპელანტის) – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ (აპელანტად) მოწვეულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და 152-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადებები: ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „თელავის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ თელავში.

„მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თე-

მეზის – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 04.04.2014 წლის №2205-III დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-12 პუნქტისა და 151-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე საქართველოს პარლამენტი ადგენს: ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტი გაიყოს, თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნას თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვროს ქალაქი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თვითმმართველი ქალაქის – თელავის ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა 2014 წლის 02 აგვისტოს (იხილეთ [informacia http://telavi-gov.ge/?p=7090#more-7090](http://telavi-gov.ge/?p=7090#more-7090)); ასევე, დადგენილია, რომ თვითმმართველი ქალაქის – თელავის საკრებულოს 03.08.2014 წლის №2 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი ქალაქის – თელავის გამგეობის (მერიის) დებულება (იხილეთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა ჩატარდა 2014 წლის 02 აგვისტოს (იხილეთ ინფორმაცია <http://telavi-temi.ge/?p=1171#more-1171>, საკრებულოს 02.08.2014 წლის პირველი სხდომის ოქმი №1); ასევე, დადგენილია, რომ თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.08.2014 წლის №2 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება (იხილეთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის – მ. კ.-ს ადმინისტრაციული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დასრულებიდან ამავე საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრებამდე დროის შუალედში, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, თვითმმართველმა ერთეულმა – თელავის მუნიციპალიტეტმა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, 2014 წლის 02 აგვისტოს მდგომარეობით შენ-

ყვიტა არსებობა და მის ნაცვლად შეიქმნა ორი სხვადასხვა სა-ჯარო სამართლის იურიდიული პირი (ანუ, ერთი ერთეულის ნაც-ვლად შეიქმნა ორი ერთეული) – თვითმმართველი ქალაქი – თე-ლავი და თვითმმართველი თემი – თელავის მუნიციპალიტეტი; ორივე ერთეულს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარ-მომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია, გამგეობა) ორგანოები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არც საქართველოს ორგანულ კანონში – ადგილობრივი თვითმმარ-თველობის კოდექსში, ასევე არც „მუნიციპალიტეტების გაყო-ფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექ-მნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებაში, არც „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 04.04.2014 წლის №2205-III დადგენილებაში, ასევე არც თვითმმართველი ქალაქის – თე-ლავის და თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტე-ტის გამგეობების დებულებებში არ არსებობს რაიმე სახის ნორ-მატიული ჩანაწერი მასზედ, თუ რომელი უფლებებისა და მოვა-ლეობების, რომელი ურთიერთობების ნაწილში, რომელი თვით-მმართველი ერთეული (თვითმმართველი თემი თუ თვითმმარ-თველი ქალაქი) უნდა იყოს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებამდე არსებული თვითმმართველი ერთეულის – თელავის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლე.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმარ-თველობის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალი-ტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემ-ში. მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი არის ქა-ლაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბა-მისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტა-ტუსი. მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი თემი არის რამ-დენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შე-საბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმარ-თველობის კოდექსის 151-ე მუხლის (თვითმმართველი ქალაქე-ბი და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები – ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არ-ჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული აქვთ და ამ კანონით ენიჭებათ ქალაქებს: თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, თელავს, ოზურგეთს, ზუგდიდს, გორს, ამბროლაურს, მცხეთასა და ახალციხეს. იმავე 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტის (გარდა თვითმმართველი ქალაქისა) ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგ არჩევნებამდე არსებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. იმავე 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ ამ კანონის 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრები განისაზღვრება ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად.

თვითმმართველი ქალაქის – თელავის საკრებულოს 03.08.2014 წლის №2 დადგენილებით დამტკიცებული თვითმმართველი ქალაქის – თელავის გამგეობის (მერიის) დებულების, ასევე თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.08.2014 წლის №2 დადგენილებით დამტკიცებული თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ორივე თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოები (მერია, გამგეობა) როგორც სტრუქტურით, ისე – ფუნქციებით ერთმანეთის იდენტური ორგანოებია, ასევე ორივე ახალი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოები (მერია, გამგეობა) თავისი სტრუქტურით და ფუნქციებით მანამდე არსებული თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იდენტურია.

სამართლებრივი აქტების – „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების, ასევე „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 04.04.2014 წლის №2205-III დადგენილების თანახმად ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გაიყო ორ ნაწილად ისე, რომ თვითმმართველი ქალაქის – თელავის გამგებლობაში გადავიდა საკუთრივ ქალაქ თელავის ტერიტორია, ხოლო თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლობაში დარჩა თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილი ტერიტორია ქალაქ თელავის ტერიტორიის გამოკლებით.

მანამდე არსებული სუბიექტის – სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებანი განისაზღვრებოდა იმ ტერიტორიით, ანუ მუნიციპალიტეტის საქმიანობა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკავშირდებოდა იმ ტერიტორიას, რომლის საზღვრებშიც არსებობდა თვითმმართველი ერთეული – მუნიციპალიტეტი; დღეის მდგომარეობით თუმცა აღარ არსებობს პირვანდელი სუბიექტი – სსიპ თელავის მუნიციპალიტეტი, ამ უკანასკნელის გამგებლობას დაქვემდებარებული ტერიტორია იმავე, ანუ უცვლელი გარე საზღვრებით გაიყო და გადაეცა ორ თვითმმართველ ერთეულს; შესაბამისად, თუკი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მმართველობითი საქმიანობა, მაშასადამე, ამ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების შრომით-სამართლებრივი საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიასთან, იგულისხმება, რომ იმავე ტერიტორიის შიგნით შექმნილი ორივე თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების წრელში თანაბრად აგებენ პასუხს იმ ვალდებულებებისთვის და თანაბრად სარგებლობენ იმ უფლებებით, რომლებიც არსებობდა ძველი თვითმმართველი ერთეულის გაუქმებამდე, ახალი ერთეულების შექმნამდე.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ (მონინა აღმდეგე მხარემ) – მ. კ.-ამ თავის საქმეში მოპასუხის უფლებამონაცვლედ აირჩია, დაასახელა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა. რის გამოც, პალატამ მართებულად მიიჩნია მ. კ.-ას შუამდგომლობის დაკმაყოფილება და საქმეში თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ (აპელანტად) ჩართო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ მოტივით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 151-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტების გაყოფის და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებით გათვალისწინებული წარდგინების და „მუნიციპალიტეტების გაყოფის და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექ-

მნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის №2205 დადგენილების შესაბამისად, 2014 წლის 2 აგვისტოს მოხდა თელავის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაცია, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ორი სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი, მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

უკვე გაუქმებული თელავის მუნიციპალიტეტი გაიყო ორ ნაწილად, ანუ ქალაქის ტერიტორიაზე შეიქმნა თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი და ქალაქის გარდა დარჩენილ ტერიტორიაზე – თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სამართლებრივ აქტებში არსად არაა ნახსენები სამართალმემკვიდრეობის – უფლებამონაცვლეობის საკითხი, თუ რომელი მუნიციპალიტეტია უკვე გაუქმებული თელავის მუნიციპალიტეტის სამართალმემკვიდრე ან/და უფლებამონაცვლე. მათ მიერ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია, ვინაიდან თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის – როგორც თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოხდა 2014 წლის 12 აგვისტოს, მიენიჭათ ახალი საიდენტიფიკაციო კოდი და ახლიდან მოხდა ბანკში ანგარიშის გახსნა, ანუ ისინი არ არიან გაუქმებული თელავის მუნიციპალიტეტის არც სამართალმემკვიდრეები და არც უფლებამონაცვლეები.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საქმეზე უფლებამონაცვლედ ცნობა დაასაბუთა მხოლოდ იმით, რომ თვითონ მხარემ – მ. კ-ამ აირჩია თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა მოპასუხედ და მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე, „მუნიციპა-

ლიტეტიცის გაყოფის და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებით გათვალისწინებულ წარდგინებაზე და „მუნიციპალიტეტების გაყოფის და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის №2205 დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ არც ერთ სამართლებრივ აქტში არ არის რაიმე სახის ნორმატიული ჩანაწერი მასზე, თუ რომელი უფლებების და ვალდებულებების, რომელი ურთიერთობების ნაწილში, რომელი თვითმმართველი ერთეული (თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი) უნდა იყოს 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარებამდე არსებული თვითმმართველი ერთეულის – თელავის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლე.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სასამართლოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა კი არ უნდა ეცნო უფლებამონაცვლედ, არამედ უნდა შეენწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან ვერ დგინდება გაუქმებული მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად დაადგინა მოპასუხე თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ-თვითმმართველი თემის-თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ეს უკანასკნელი ჩართო საქმეში საპროცესო უფლებამონაცვლედ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა იქნეს გაზიარებული უსაფუძვლოების გამო.

საკასაციო სასამართლო ცალსახად მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა როგორც დღეს, ასევე მანამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გულისხმობს საქარ-

თველოს მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში, თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი, თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. ორივე ერთეულს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერის, გამგეობა) ორგანოები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებაზე, რომლითაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და 152-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადება ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „თელავის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ თელავში. ახლად შექმნილი თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის თელავის საზღვრები ემთხვევა თელავის მუნიციპალიტეტების არსებულ საზღვრებს თელავის არსებული საზღვრების გამოკლებით.

„მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების თანახმად, ქალაქ თელავისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტი გაიყო, თელავის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნა თვითმმართველი თემი – თელავის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქალაქი თელავი. საქმის მასალებით

დადგენილია, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა გაუქმებული მუნიციპალიტეტის – თელავის გამგეობასთან, რომლის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტივ-თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 აპრილის №7/1-112 ბრძანების საფუძველზე განთავისუფლდა სამსახურიდან, იგი ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად ითხოვს სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესი; ამ წესმა მონაწილე მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისთვის გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების (გადაცემა/უფლებამონაცვლის განსაზღვრა) ძირითადი პრინციპები და პროცედურები. მოცემული წესის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, გარდა ძირითადი ადმინისტრაციული შენობისა/შენობებისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთისა, საკუთრების უფლება გადაეცა იმ ახალ მუნიციპალიტეტს – თვითმმართველ თემს/თვითმმართველ ქალაქს, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც ექცევა შესაბამისი უძრავი ნივთი, თუ ამ წესით განსხვავებული რეგულირება არ არის დადგენილი. ამავე წესმა დაარეგულირა ვალდებულებების განაწილების წესიც, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ვალდებულების უფლებამონაცვლეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მოექცევა შესაბამისი უძრავი ნივთი, ხოლო გასაუქმებელ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის მომსახურების განწევასთან დაკავშირებული ვალდებულების უფლებამონაცვლეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მცხოვრებ მოსახლეობასაც უკავშირდება/უკავშირდებოდა მომსახურების განწევა. ამავე დადგენილებით მოწესრიგდა გაუქმებული მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და ვალდებულებების განაწილების სხვადასხვა საკითხები თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემის მუნიციპალიტეტებს შორის. საგულისხმოა, რომ მოცემული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ახალი მუნიციპა-

ლიტეტი – თვითმმართველი თემი, თუ შეუძლებელია უფლება-მონაცვლის განსაზღვრა, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ანუ აღნიშნული ნორმის დანაწესით, თუ შეუძლებელია ტერიტორიული პრინციპით პასუხისმგებლობისა და ვალდებულების განაწილება, მაშინ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს თვითმმართველი თემი.

ამდენად, სახეზეა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ სსიპ თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიჩნევის წინაპირობა, რადგან გაუქმებული მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა უკავშირდება იმ ტერიტორიას, რომლის საზღვრებშიც წარმოიშვა ახალი მუნიციპალიტეტი, თუმცა საკითხის სადავოობის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის განსაზღვრის შეუძლებლობისას, გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების უფლებამონაცვლედ განისაზღვრა თვითმმართველი თემი. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სამართლებრივი აქტები, რომლითაც განისაზღვრა ახალი მუნიციპალიტეტის შექმნა და ძველი მუნიციპალიტეტის გაუქმება, პირდაპირ არ უთითებს სამართალმემკვიდრეობას მსგავს სადავო სამართალურთიერთობებზე, არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეობის გამომრიცხველ ფაქტორს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. კ-ა მუშაობდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 აგვისტოს №2 დადგენილებით დამტკიცებული თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის დადგენილების თანახმად, გამგეობა შედგება გამგეობის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების – გამგეობის სამსახურებისაგან. გამგეობის სამსახური არის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც შესაბამისი სფეროს მიხედვით უზრუნველყოფს გამგებლის გადაწყვეტილებების შესრულებას და გამგებლის დავალებით – საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას. გამგეობის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამსახური, რომელში აღდგენასაც ითხოვს მოსარჩელე. ამდენად, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის გაუქმებას, ბუნებრივია, არ გამოუწვევია ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და ამოცანების გაუქმება, ძველი მუნიციპალიტეტის საზღვრებში შექ-

მნიშვნელოვანია ორმა მუნიციპალიტეტმა საერთო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად განაგრძო მმართველობითი საქმიანობა გაუქმებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაყოფით წარმოშობილ ახალ ტერიტორიულ საზღვრებში, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ სადავო სამართალურიერთობაში სსიპ თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის, როგორც იგივე ფუნქციურ-მმართველობითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამართალმემკვიდრედ მიჩნევას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ მართებულად დაადგინა სსიპ თვითმმართველი თემის – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თვითმმართველი თემი – თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლეობის დადგენა

ბანრინება

№ბს-651-626(კ-13)

2 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

განიხილა ი. კ-ისა და ი. პ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოვალე – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. პ-ისა და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; არარად იქნა აღიარებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 28 თებერვლის №1-123 ბრძანება და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №1-121 ბრძანება; ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ი. კ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე; ი. პ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე; ი. პ-სა და ი. კ-ს აუნაზღაურდეთ იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაზე 2014 წლის 4 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, მოვალეს წარმოადგენდა გორის მუნიციპალი-

ტეტის საკრებულო.

2014 წლის 1 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ 2014 წლის 2 აგვისტოს ლიკვიდირებულ იქნა გორის მუნიციპალიტეტი, ხოლო ახალი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ ჩამოყალიბდა ორი ახალი მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ქალაქი – გორის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი – გორის მუნიციპალიტეტი. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით განისაზღვრა მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისათვის გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესი. აღნიშნული დადგენილებით არ განსაზღვრულა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში ლიკვიდირებული გორის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლეობის საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რამდენადაც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების განმარტების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები სახეზე არ იყო, ხოლო უფლებამონაცვლეობის დადგენის საკითხი სცილდებოდა გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს.

2015 წლის 24 აპრილს ი. კ-მა და ი. პ-მა განცხადებით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე.

გორის რაიონული სასამართლო 2015 წლის 20 მაისის განჩინებით ი. კ-ისა და ი. პ-ის განცხადება, მოვალის უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და მიაჩნია, რომ მოცემულ სადავო სამართალურთიერთობასთან მიმართებაში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს თვითმმართველი თემის

– გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 9 თებერვლის მიმართებით კრედიტორებს განემარტათ, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად უნდა მიემართათ სასამართლოსათვის ვალდებული ორგანოსა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია, ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ან დაამონმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა როგორც ამჟამად, ასევე მანამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გულისხმობს საქართველოს მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოანესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა,

რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. ორივე ერთეულს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერის, გამგეობა) ორგანოები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულებაზე, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და 152-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადება ქალაქ გორისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და გორის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემის – „გორის მუნიციპალიტეტის“ შექმნის შესახებ, ადმინისტრაციული ცენტრით ქალაქ გორში. ახლად შექმნილი თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების საზღვრები ემთხვევა მუნიციპალიტეტების არსებულ საზღვრებს, შესაბამისი დასახლებების, ქალაქების არსებული საზღვრების გამოკლებით.

„მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილების თანახმად, ქალაქ გორისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გორის მუნიციპალიტეტი გაიყო, გორის მუნიციპალიტეტის დარჩენილ ტერიტორიაზე შეიქმნა თვითმმართველი თემი – გორის მუნიციპალიტეტი და მის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქალაქი გორი.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კრედიტორები შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ გაუქმებული მუნიციპალიტეტის – გორის გამგეობასთან (ი. პ-ი დასაქმებული იყო გორის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიულ ორგანოში, ხოლო ი. კ-ი – ... ტერიტორიულ ორგანოში). მოსარჩლეებთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე, რის გამოც მოპასუხე მხარედ საქმეში მონაწილეობდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით არარად იქნა აღიარებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები ი. კ-ისა და

ი. პ-ის გათავისუფლების შესახებ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, ანუ იურიდიული ძალის არმქონეა, არ შეუძლია, შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა“. აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა იმ სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა, რაც არსებობდა სადავო აქტების გამოცემამდე. საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს მითითებას, რომ „ი. კ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე; ი. პ-ი აღდგენილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე; ი. პ-სა და ი. კ-ს აუნაზღაურდეთ იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო ვთვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამონაცვლის დადგენა, რაც არ გამოირიცხავს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციას, გადაწყვეტიტოს ი. კ-ისა და ი. პ-ის შრომით უფლებებში აღდგენის საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესი. ამ წესმა მოანერგა მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისთვის გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების (გადაცემა/უფლებამონაცვლის განსაზღვრა) ძირითადი პრინციპები და პროცედურები. მოცემული წესის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე, გარდა ძირითადი ადმინისტრაციული შენობისა/შენობებისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთისა, საკუთრების უფლება გადაეცა იმ ახალ მუნიციპალიტეტს – თვითმმართველ თემს/თვითმმართველ ქალაქს, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც ექცევა შესაბამისი უძრავი ნივთი, თუ ამ წესით განსხვავებული რეგულირება არ არის დადგენილი.

ამავე წესმა დაარეგულირა ვალდებულებების განაწილების წესიც, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ვალდებულების უფლებამონაცვლეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მოექცევა შესაბამისი უძრავი

ნივთი, ხოლო გასაუქმებელ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის მომსახურების განევასთან დაკავშირებული ვალდებულების უფლებამონაცვლეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოსახლეობასაც უკავშირდება/უკავშირდებოდა მომსახურების განევა. ამავე დადგენილებით მოწესრიგდა გაუქმებული მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და ვალდებულებების განაწილების სხვადასხვა საკითხები თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემის მუნიციპალიტეტებს შორის. საგულისხმოა, რომ მოცემული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ახალი მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი თემი, თუ შეუძლებელია უფლებამონაცვლის განსაზღვრა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ანუ აღნიშნული ნორმის დანაწესით, თუ შეუძლებელია ტერიტორიული პრინციპით პასუხისმგებლობისა და ვალდებულების განაწილება, მაშინ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს თვითმმართველი თემი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ სადავო სამართალურთიერთობასთან მიმართებაში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ უნდა იქნეს თვითმმართველი თემის – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლედ დადგინდეს თვითმმართველი თემის – გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სოციალური და ზღვევის სამსახურის უფლებამონაცვლეობის დადგენა

განჩინება

№ბს-132-110-კ-04

20 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

განიხილა აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა
კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 7 მაისის №ბს-132-110-
კ-04 განჩინების აღსრულების მიზნით, მოვალე – აჭარის ა/რ სო-
ციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაი-
ონული განყოფილების უფლებამონაცვლის დადგენის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 7 მაისის გან-
ჩინებით კასატორის, აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის ერ-
თიანი სახელმწიფო ფონდის, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყო-
ფილდა; უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სა-
აპელაციო პალატის 2004 წლის 13 იანვრის განჩინება; აჭარის ა/
რ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელ-
ვაჩაურის რაიონულ განყოფილებას დაეკისრა სახელმწიფო ბა-
ჟის გადახდა 20 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 7 მაისის განჩინებაზე, სა-
ხელმწიფო ბაჟის გადახდევინების ნაწილში განჩინების აღსასრუ-
ლებლად, 2004 წლის 10 ივნისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2015 წლის 21 მაისს საკასაციო სასამართლოს განცხადებით
მომართა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც საქარ-
თველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კა-
ტეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 7 მაისის განჩინების აღ-
სრულების მიზნით, აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელ-
მწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების უფლე-
ბამონაცვლის დადგენა და უფლებამონაცვლე ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოს მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და მიაჩნია, რომ სსიპ აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2004 წლის 7 მაისის განჩინებით აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 20 (ოცი) ლარის ოდენობით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებული განჩინების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი გაიცა აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების წინააღმდეგ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანაღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“ წარმოადგენდა სსიპ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს“ უფლებამონაცვლეს ყველა სახის ურთიერთობაში, აგრეთვე სსიპ „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ უფლებამონაცვლეს სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქ-

მებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების (ე.წ. რეგრესული პენსიები) – მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების და სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის №298/ნ ბრძანების თანახმად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ განისაზღვრა სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტოს“ უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 7 მაისის განჩინების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების უფლებამონაცვლედ უნდა დადგინდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილება და უფლებამონაცვლედ პირის მიმართ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ აჭარის ა/რ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების უფლებამონაცვლედ დადგინდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონული განყოფილება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

ბანძინება

№ბს-635-610(კს-13)

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-
დაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარე-
მოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 9 აგვისტოს ს. ჩ-მა და ლ. დ-ემ სარჩელით მიმარ-
თეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქ. ბა-
თუმის მერიისა და მ. დ-ის მიმართ ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის
20 ივლისის №6 საოქმო დადგენილების არარა ადმინისტრაცი-
ულ აქტად აღიარების თაობაზე.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №4/
16-ში მდებარე ბინა ს. ჩ-ს შეძენილი ჰქონდა ნ. დ-ესთან ქორწი-
ნების პერიოდში და წარმოადგენდა ამ ქონების თანამესაკუთ-
რეს. ამასთან, არარა აქტით განიკარგა სამკვიდრო ქონება, რო-
მელსაც მოსარჩელები მიიღებდნენ ნ. დ-ის გარდაცვალების
შემდეგ.

ს. ჩ-ის განმარტებით, მან ნ. დ-ესთან იქორწინა 1987 წლის 14
აგვისტოს. ქორწინება რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მმარის
განყოფილებაში. 1986 წლის 05 თებერვალს მათ შეეძინათ შვი-
ლი – ლ. დ-ე. ნ. დ-ეს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა შვილი მ.
დ-ე. 1992 წელს ნ. დ-ემ შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდე-
ბარე საცხოვრებელი ბინა, ხოლო 2000 წელს განცხადებით მი-
მართა ქ. ბათუმის მერიას და მოითხოვა ნებართვა აღნიშნული
ბინის, ... რაიონი სოფელ ... მდებარე იმ საცხოვრებელ სახლში
გაცვლაზე, რომელიც მის შვილს, მ. დ-ეს ეკუთვნოდა. ნ. დ-ე
გარდაიცვალა 2001 წლის 31 ოქტომბერს.

მოსარჩელების აღნიშვნით, ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის

20 ივლისის №6 საოქმო დადგენილებით ნ. დ-ეს ნება დაერთო მისი კუთვნილი ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში, გაეცვალა მ. დ-ისათვის, ... რაიონის, სოფ. ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე. საოქმო დადგენილება, რეგისტრაციის მიზნით, 2000 წლის 22 ივლისს გაეგზავნა ქ.ბათუმის მერიის ტექ.ინვენტარიზაციის სამსახურს. ქ.ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილების საფუძველზე, ტექ.ინვენტარიზაციის ბიუროში მ. დ-ე დარეგისტრირდა ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ. მ. დ-ეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ აქვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არარა ადმინისტრაციულ აქტად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქუჩა №4/16-ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-მა, ლ. დ-ემ და მ. დ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, არარა ადმინისტრაციულ აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდებარე ბინის 2/3 ნაწილში, ხოლო მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

2013 წლის 6 ივნისს მ. დ-ის წარმომადგენელმა ა. ც-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმო-

ჩენილ გარემოებათა გამო, ამავე სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მ. დ-ისათვის ცნობილი გახდა ისეთი მტკიცებულება, რომელიც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ასეთ მტკიცებულებად განმცხადებელს მიაჩნია დედის – ნ. გ-ის (დ-ის) მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან, რომლის მიხედვით ნ. დ-ე იმყოფებოდა ნ. დ-თან რეგისტრირებულ ქორწინებაში ს. ჩ-თან დაქორწინებამდე და მასთან განქორწინება არ მომხდარა ნ. დ-ის გარდაცვალებამდე. შესაბამისად, განმცხადებელს ბათილად მიაჩნია ქორწინება ნ. დ-ესა და ს. ჩ-ს შორის, რადგან ერთ-ერთი მეუღლის წინა ქორწინება არ ყოფილა შეწყვეტილი, ამიტომ ს. ჩ-ის კანონიერ უფლებასა და ინტერესს არ აყენებდა ზიანს ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება. ეს ფაქტი ცნობილი რომ ყოფილიყო საქმის განხილვის დროს, სასამართლო არ ცნობდა 2/3 ნაწილში არარა აქტად ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილებას.

განმცხადებლის მტკიცებით, მ. დ-ისათვის მხოლოდ 2013 წლის 15 მაისს გახდა ცნობილი, რომ დედ-მამა ნ. და ნ. დ-ეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ნ. დ-ის ს. ჩ-თან ქორწინების მომენტიდან. შესაბამისად, ს. ჩ-ს მემკვიდრის უფლებები არ გააჩნდა და ეს გარემოება ცნობილი რომ ყოფილიყო სასამართლოსათვის, სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

2013 წლის 10 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. დ-ემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ იგი მხარედ უნდა ყოფილიყო მიწვეული საქმის განხილვაზე, რადგან ნ. დ-ის მეუღლე და მისი პირველი რიგის მემკვიდრე იყო. მისი ქორწინება ნ. დ-ესთან არ იყო შეწყვეტილი ამ უკანასკნელსა და ს. ჩ-ს შორის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და ქორწინება შეწყდა მხოლოდ ნ. დ-ის გარდაცვალების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელს მიაჩნია, რომ ს. ჩ-სა და ნ. დ-ეს შორის ქორწინება ბათილია და მისი მოწვევა ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებული საქმის განხილვის პროცესში სავალდებულო იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით მ. და ნ. დ-ების განცხადებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. დ-ის განცხადებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, აღნიშნული გარემოება, რომ მისთვის 2013 წლის 15 მაისს გახდა ცნობილი დედ-მამის, ნ. დ-ის და ნ. დ-ის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი და რომ ისინი არ ყოფილან განქორწინებულნი ნ. დ-ისა და ს. ჩ-ის ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის, ვერ ჩათვლება ისეთ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რომლის შესახებ მითითება და შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა სასამართლოში, ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებული საქმის განხილვისას, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ შეეძლო.

რაც შეეხება ნ. დ-ის განცხადებას, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირის განცხადებით. სასამართლოში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოება დაიწყო ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით. მოპასუხეებად მიუთითეს ქ. ბათუმის მერია და მ. დ-ე. მათ მოითხოვეს ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმოდ დგენილების (რომლითაც ნება დაერთო ნ. დ-ეს მის სახელზე რიცხული, ს. ჩ-თან ქორწინების პერიოდში შეძენილი, საცხოვრებელი ბინა გაეცვალა მ. დ-ისათვის ... რაიონი, სოფელ ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე) არარა ადმინისტრაციულ აქტად აღიარება იმ საფუძველზე, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდებარე ბინა ს. ჩ-ს შეძენილი ჰქონდა ნ. დ-ესთან ქორწინების პერიოდში და წარმოადგენდა არა მხოლოდ ნ. დ-ის საკუთრებას, არამედ მეუღლეთა თანასაკუთრებას. მოსარჩელე ლ. დ-ე კი იყო ნ. დ-ის შვილი (მემკვიდრე), ისევე როგორც მოპასუხე მ. დ-ე (შვილი პირველი ქორწინებიდან).

მ. დ-ე მონაწილეობდა საქმის განხილვაში – იგი ნ. დ-ის (ამჟამინდელი განმცხადებლის) და 2001 წლის 31 ოქტომბერს გარდაცვლილი ნ. დ-ის შვილია. მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-ემ. საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც არაა ადმინისტრაციულ აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქუჩა №4/16-ში მდებარე ბინის 2/3 ნაწილში, ხოლო მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (საქმე №ბს-1344-1329 (კ-11)).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ნ. დ-ე არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მხარეს, რაზედაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებაა გამოტანილი, ამასთან მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ არ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, იგი მხარედ არ უნდა ყოფილიყო მოწვეული ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებულ საქმეში.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მ. დ-ე და ნ. დ-ე არიან დედა-შვილი. მ. დ-ე მონაწილეობდა მოპასუხე მხარედ იმ საქმეში, რომელზე მიღებული გადაწყვეტილების (2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება) ბათილად ცნობასაც ითხოვს ნ. დ-ე, შესაბამისად, ამ უკანასკნელის განმარტება, რომ მისთვის 2013 წლის 24 მაისამდე არ ყოფილა ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია სარწმუნოდ. ამდენად, პალატამ აღნიშნა, რომ ნ. დ-ის განცხადება სასამართლოში შეტანილია სსკ 426-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი-

თა და 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც მ. დ-ესა და ნ. დ-ეს განცხადებების დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვათ უარი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. და ნ. დ-ების წარმომადგენელმა ა. ც-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადებების დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა მ. დ-ეს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი, ვინაიდან მ. დ-ისათვის 2013 წლის 15 მაისს გახდა ცნობილი დედ-მამის, ნ. დ-ისა და ნ. დ-ის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი და რომ ისინი არ ყოფილან განქორწინებულები ნ. დ-ისა და ს. ჩ-ის ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის. დედა-შვილი, მ. დ-ე და ნ. დ-ე ერთად არ ცხოვრობდნენ არც სასამართლო დავის პერიოდში, როდესაც იხილებოდა ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებული საქმე და არც დღეს ცხოვრობენ ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, მ. დ-ისათვის 2013 წლის 15 მაისამდე არ იყო ცნობილი დედ-მამის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი, რის გამოც აღნიშნული მტკიცებულება ვერ იქნებოდა წარდგენილი ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებული სასამართლო დავის პერიოდში.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, მეუღლე ითვლება პირველი რიგის მემკვიდრედ თუ იგი კანონიერად არის რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამავე კოდექსის 1140-ე მუხლის შესაბამისად, ქორწინება ბათილია თუ დარღვეულია 1120-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1120.1 მუხლის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან. მოცემულ შემთხვევაში, ს. ჩ-მა იქორწინა ნ. დ-ესთან ამ უკანასკნელის ნ. დ-ესთან რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, რის გამოც ს. ჩ-ის ქორწინება ნ. დ-ესთან ბათილია.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად უთხრა უარი ნ. დ-ეს განცხადების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ნ. დ-ის მიერ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება მის კანონიერ უფლებებს ეხებოდა. ნ. დ-ე არის ნ. დ-ის მეუღლე რეგისტრირებული ქორწინებით და პირველი რიგის მემკვიდრე და მისი სასამართლო სხდომაზე მიწვევისა და რო-

გორც მხარედ ჩართვის შემთხვევაში გამოირიცხებოდა ს. ჩ-ის მოსარჩელედ ყოფნის ფაქტი, ვინაიდან ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება ს. ჩ-ს უშუალოდ ზიანს ვერ მიაყენებდა, რადგან მემკვიდრედ ითვლებოდა ნ. დ-ე და არა ს. ჩ-ი.

2014 წლის 13 თებერვალს ს. ჩ-მა და ლ. დ-ემ მოსაზრებით მომართეს საკასაციო სასამართლოს და მოითხოვეს, არ დაკმაყოფილდეს მ. და ნ. დ-ეების კერძო საჩივარი, ძალაში დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. დ-ესა და ნ. დ-ე (გ-ეს) შორის ქორწინება შეწყდა 1982 წლის 26 მარტის ... რაიონის სახალხო სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე (გადაწყვეტილება საქმეშია).

1987 წლის 14 აგვისტოს ს. ჩ-მა იქორწინა ნ. დ-ესთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნ. დ-ეს 1987 წლიდან დღემდე არ მოუთხოვია ნ. დ-ისა და ს. ჩ-ის ქორწინების ბათილობა.

მ. დ-ე არის ნ. დ-ის შვილი, რომლებიც ცხოვრობენ ერთად და ნ. დ-ისათვის ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელის საფუძველზე მიმდინარე დავა სარჩელის შეტანის დღიდანვე იყო ცნობილი.

მ. დ-ე წარმოადგენდა მხარეს ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის მიერ აქტის არარად აღიარების თაობაზე აღძრულ სარჩელზე და შესაბამისად, შესაძლებლობა ჰქონდა, მოეპოვებინა ყველა მტკიცებულება, რაც მის სასარგებლოდ მტკიცებულებად შეიძლებოდა მიჩნეულიყო და წარედგინა იგი სასამართლოში. ნ. დ-ეს შეეძლო აღნიშნულ განცხადებაში მითითებული საფუძვლით მიემართა სასამართლოსათვის პირველ ინსტანციაში, აპელაციასა და კასაციაში საქმის განხილვის დროს, რაც მას არ განუხორციელებია.

ორივე მხარისათვის ცნობილია, რომ ნ. დ-ე განქორწინდა ნ. დ-ესთან ... სახალხო სასამართლოში და აგრეთვე აღნიშნულ სასამართლოში განხილული იქნა ალიმენტის დაკისრებაზე მოთხოვნაც. სასამართლომ ნ. დ-ეს დააკისრა ალიმენტი შვილის მ. დ-ის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. და ნ. დ-ეების წარმომად-

გენლის ა. ც-ის, კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. ჩ-მა და ლ. დ-ემ სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს. მოპასუხეებად მიუთითეს ქ. ბათუმის მერია და მ. დ-ე. მათ მოითხოვეს ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილების (რომლითაც ნება დაერთო ნ. დ-ეს მის სახელზე რიცხული, ს. ჩ-თან ქორწინების პერიოდში შექმნილი, საცხოვრებელი ბინა გაეცვალა მ. დ-ისათვის ... რაიონი, სოფელ ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე) არარა ადმინისტრაციულ აქტად აღიარება იმ საფუძველით, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდებარე ბინა ს. ჩ-ს შექმნილი ჰქონდა ნ. დ-ესთან ქორწინების პერიოდში და წარმოადგენდა არა მხოლოდ ნ. დ-ის საკუთრებას, არამედ მეუღლეთა თანასაკუთრებას. მოსარჩელე ლ. დ-ე კი იყო ნ. დ-ის შვილი (მემკვიდრე), ისევე როგორც მოპასუხე მ. დ-ე (შვილი პირველი ქორწინებიდან).

მ. დ-ე მონაწილეობდა საქმის განხილვაში – იგი ნ. დ-ის (ამჟამინდელი განმცხადებლის) და 2001 წლის 31 ოქტომბერს გარდაცვლილი ნ. დ-ის შვილია. მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-ემ. საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც არაა ადმინისტრაციულ აქტად იქნა აღიარებული ქ. ბათუმის მე-

რის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება ქ. ბათუმში, ... ქ. №4/16-ში მდებარე ბინის 2/3 ნაწილში, ხოლო მ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (საქმე №ბს-1344-1329 (კ-11)).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სსსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423.3 მუხლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძვლით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სსსკ-ის 264-265-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

განსახილველ შემთხვევაში, მ. დ-ე განცხადებით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას იმ საფუძვლით, რომ მისთვის 2013 წლის 15 მაისს გახდა ცნობილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი

სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და ასეთ მტკიცებულებად განმცხადებელს მიაჩნია ბათუმის სამოქალაქო რეესტრის 2013 წლის 8 მაისის №68/97745 წერილი, რომლის თანახმად ნ. დ-ესა და ნ. დ-ეს შორის ქორწინების აქტის ჩანაწერი შეწყვეტილია ნ. დ-ის გარდაცვალების გამო. შესაბამისად, განმცხადებელს ბათილად მიაჩნია ნ. დ-ისა და ს. ჩ-ის ქორწინება, რადგან იგი განხორციელდა ერთ-ერთი მეუღლის წინა ქორწინებაში ყოფნის პერიოდში, ამიტომ განმცხადებლის მითითებით, ს. ჩ-ის კანონიერ უფლებასა და ინტერესს ზიანს არ აყენებდა გასაჩივრებული ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ დედა-შვილი მ. დ-ე და ნ. დ-ე არც სასამართლო დავის პერიოდში, როდესაც იხილებოდა ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის სარჩელით წარმოებული საქმე და არც დღეის მდგომარეობით, ერთად არ ცხოვრობენ, რის გამოც მ. დ-ისათვის ცნობილი არ იყო დედ-მამის, ნ. დ-ისა და ნ. დ-ის ქორწინების ფაქტი შესაბამისად, ვერ იქნებოდა აღნიშნული მტკიცებულება მოპოვებული და წარდგენილი სასამართლოში დავის არსებობისას და განმარტავს, რომ მ. დ-ე მონაწილეობდა მოპასუხე მხარედ ს. ჩ-ისა და ლ. დ-ის მიერ ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივნისის №6 საოქმო დადგენილების არარა ადმინისტრაციულ აქტად აღიარების თაობაზე აღძრულ სასარჩელო დავაში, როგორც გარდაცვლილი ნ. დ-ის მემკვიდრე შვილი პირველი ქორწინებიდან. შესაბამისად, იგი ვალდებული იყო მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა ყველა მტკიცებულება, რაც მის მოთხოვნებს ადასტურებდა, ხოლო კერძო საჩივრის ავტორის მიერ ბრალის გამომრიცხავ გარემოებად იმაზე მითითება, რომ დედა-შვილი მ. და ნ. დ-ეები ერთად არ ცხოვრობდნენ და არც დღეს ცხოვრობენ ერთად, საკასაციო სასამართლო აღნიშნულს ვერ მიიჩნევს იმ გარემოებად, რის გამოც მათ სასამართლო დავის პერიოდში ვერ მოიპოვეს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურიდან ზემოაღნიშნული მტკიცებულება. კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, არც შესაბამისი არგუმენტაცია, თუ რატომ, რა მიზეზებით ვერ შეძლეს განმცხადებლებმა ამ მტკიცებულების მოპოვება ან რამ შეუშალათ ხელი მის მოპოვებაში (ადმინისტრაციული ორგანოს უარი, ან რაიმე ბიუროკრატიული დაბრკოლება), რაც სსსკ-ის 423.3 მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 422.1 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება

შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული საფუძვლით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებში.

განმცხადებელი ნ. დ-ე ითხოვს კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ იგი არის პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება და არ იყო მხარედ მონვეული საქმის განხილვისას, როგორც გარდაცვლილი ნ. დ-ის მეუღლე და პირველი რიგის მემკვიდრე. ნ. დ-ესა და ს. ჩ-ს შორის ქორწინება განხორციელდა ნ. დ-ის კანონიერი ქორწინების პერიოდში, რის საფუძვლზეც ს. ჩ-ისა და ნ. დ-ის ქორწინება ბათილია და შესაბამისად, ს. ჩ-ს სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება არ გააჩნდა. სასამართლოს ნ. დ-ე თავისი ინიციატივით უნდა ჩაერთო მხარედ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ს. ჩ-ი და ლ. დ-ე სარჩელით ითხოვდნენ ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 20 ივლისის №6 საოქმო დადგენილების (რომლითაც ნება დაერთო ნ. დ-ეს მის სახელზე რიცხული, ს. ჩ-თან ქორწინების პერიოდში შექმნილი, საცხოვრებელი ბინა გაეცვალა მ. დ-ისათვის ... რაიონი, სოფელი ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე) არაა ადმინისტრაციულ აქტად აღიარება იმ საფუძვლით, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. 4/16-ში მდებარე ბინა ს. ჩ-ს შექმნილი ჰქონდა ნ. დ-ესთან ქორწინების პერიოდში და წარმოადგენდა არა მხოლოდ ნ. დ-ის საკუთრებას, არამედ მეუღლეთა თანასაკუთრებას. მოსარჩელე ლ. დ-ე იყო შვილი გარდაცვლილი ნ. დ-ის მეორე ქორწინებიდან, როგორც მ. დ-ე – შვილი პირველი ქორწინებიდან. აღნიშნულ დავაზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის ბათილობასაც ითხოვს ნ. დ-ე, მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ არ ეხებოდა, ვინაიდან საქმეში წარდგენილია ს. ჩ-ისა და ნ. დ-ის ქორწინ-

ნების მონაწილეობა და შესაბამისად, ს. ჩ-ი წარმოადგენდა იმ დავაში სათანადო მოსარჩელეს, როგორც გარდაცვლილი ნ. დ-ის მეუღლე და მათი ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონების თანამესაკუთრე, ხოლო ნ. დ-ე, როგორც პირველი ქორწინებიდან მეუღლე არ წარმოადგენდა იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს მხარეს, რომლის ინტერესებს უშუალოდ შეეხებოდა მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საოქალაქო კოდექსის 1148-ე მუხლის თანახმად, არავის შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუ ქორწინება სასამართლოს მიერ ბათილად არ იქნა ცნობილი. შესაბამისად, 1987 წლიდან დღემდე ნ. დ-ისა და ს. ჩ-ის ქორწინების ნამდვილობა სასამართლო წესით ეჭვქვეშ არავის დაუყენებია და არც კერძო საჩივრის ავტორის მიერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ... რაიონის 1982 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ქორწინება მოსარჩელე ნ. დ-ესა და ნ. დ-ეს შორის და ნ. დ-ეს დაევალა აღიმენტის გადახდა შვილის მ. დ-ის სასარგებლოდ.

რაც დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დედა-შვილისთვის – ნ. და მ. დ-ეებისათვის ცნობილი იყო რა სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ნ. დ-ესთან, შესაბამისად, ვალდებული იყვნენ მოეპოვებინათ ყველა მტკიცებულება, რაც მათ მოთხოვნებს დაადასტურებდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 421.2 მუხლის თანახმად, თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით არასწორად იმსჯელა ერთდროულად როგორც ნ. დ-ის განცხადებაზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, ასევე მ. დ-ის განცხადებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქ-

მის წარმოების განახლების თაობაზე, რითაც დაარღვია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მაგრამ კერძო საჩივარი ამ საპროცესო დარღვევაზე მოტივებს არ შეიცავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების მიღმა ტოვებს აღნიშნულ პროცესუალურ საკითხს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებულ განჩინების გაუქმებისათვის, სახეზე არ არის სსსკ-ის 423.3 და 422.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადების საფუძვლიანად მიჩნევის წინაპირობა, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და ნ. დეების წარმომადგენლის ა. ც-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის
წარმოების განახლების წინაპირობები**

განჩინება

№ბს-224-220(კს-15)

15 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

განიხილა ა. ა-ის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25
მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ა-
ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპა-
სუხეს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინის-
ტროს დაეკისრა თანხის – 71 070 (სამოცდათერთმეტი ათას სა-
მოცდაათი) აშშ დოლარის ანაზღაურება მოსარჩელის – ა. ა-ის
სასარგებლოდ; მოსარჩელე ა. ა-ს უარი ეთქვა თანხის – 71 070
(სამოცდათერთმეტი ათას სამოცდაათი) აშშ დოლარის გადაუხ-
დელობის გამო საურავის – გადაუხდელი თანხის ყოველთვიუ-
რი 1%-ის მოპასუხისთვის დაკისრებაზე. მოსარჩელე ა. ა-ს უა-
რი ეთქვა მოპასუხისთვის მატერიალური და მორალური ზიანის
სახით თანხის – 10 000 (ათი ათასი) ლარის დაკისრებაზე. მო-
სარჩელე ა. ა-ი, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური გან-
ვითარების სამინისტრო გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის
გადახდის ვალდებულებისაგან. განიმარტა გადაწყვეტილების
გასაჩივრების წესი და ვადა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ,
რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკ-
მაყოფილებულ ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადან-
ყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის
თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა 71 070 აშშ დოლარის ანაზღაურება მოსარჩელე ა. ა-ის სასარგებლოდ, ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ა-ის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ მის მიერ გამოსყიდული აქციების ღირებულების 71 070 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ან ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ა. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

2015 წლის 5 მარტს ა. ა-ის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, წარდგენილი იქნა განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე. განმცხადებელი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას (საქმეზე №3გ/1719-09) და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებდა მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის განჩინებით ა. ა-ს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ სასამართლომ ჩათვალა, რომ წარდგენილ განცხადებაში განმცხადებელს არ ჰქონდა მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი რეკვიზიტები, ასევე არ ჰქონდა მითითებული თუ რას მიიჩნევდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად და როდის გახდა მისთვის ეს გარემოება ცნობილი – ვინაიდან, პირს ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის უფლება აქვს ამ გარემოების გაცნობიდან 1 თვის ვადაში. ამასთანავე, განმცხა-

დებელს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარის ოდენობით.

2015 წლის 23 მარტს ა. ა-მა ხარვეზის შეევსების მიზნით სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება. დააზუსტა განაჩივრებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №3გ/1719-09. ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, კონსტანტინე კუბლაშვილს უფლებამოსილების ვადა ამოენურა და მის ნაცვლად დაინიშნა ახალი თავმჯდომარე – ნინო გვენეტაძე. განმცხადებლის პოზიციით, წინა თავმჯდომარის პირობებში შეუძლებელი იყო მისთვის სამართლიანობის აღდგენა და მიიჩნევს, რომ ამის საშუალება აქვს ახლა – ახალი თავმჯდომარის მოღვაწეობის პერიოდში. მისი მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება უკანონოდ იქნა მიღებული ვინაიდან, საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი და უკარნახა მონინააღმდეგე მხარეს, ეკონომიკის სამინისტროს, თუ როგორ უნდა ემოქმედა. რაც შეეხება ახლად აღმოჩენილი გარემოების გაცნობის თარიღს, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ეს თარიღი გახლავთ განცხადების ჩაბარების თარიღი – 2015 წლის 5 მარტი, როდესაც განცხადების ჩაბარების დროს სასამართლოს მიერ მოცემულ სარეგისტრაციო ფურცელზე იხილა ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია შემდეგი ფრაზა: „სასამართლოს ეკრძალება თავისი ინიციატივით მხარეების სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვება“. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განჩინებით, ა. ა-ის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული ახალი გარემოებები თავისი სამართლებრივი ბუნებით არ წარმოადგენენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში რეგლამენტირებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ა-მა.

კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სააპელაციო პალატამ იმსჯელა 423-ე მუხლის მხოლოდ „ვ“ ქვეპუნქტით, ხოლო თავად მოთხოვნას ამყარებდა „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, სადაც მითითებაა სასამართლოს დანაშაულებრივ ქმედებასა და სიყალბის შემცველ მტკიცებულებაზე. კერძოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლომ მიუთითა ეკონომიკის სამინისტროს თუ როგორ უნდა ემოქმედა და სასამართლომ თავისი ინიციატივით გამოითხოვა დოკუმენტები.

ა. ა-მა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს დავალდებულება, წარმოებაში მიიღოს მისი განცხადება და არსებითად განიხილოს იგი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა ა. ა-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხა-

რეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, დადგენილია, რომ ა. ა-მა წარმოდგენილ განცხადებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის უფლებამოსილების ვადის ამონაწერა და მის ნაცვლად ახალი თავმჯდომარის – ნინო გვენეტაძის დანიშვნა. კერძო საჩივრის ავტორი აგრეთვე მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილი ქონდა მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებას, კერძოდ საქმის განხილველმა სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი და სასამართლოში გამართულ სხდომაზე მონააღმდეგე მხარეს, ეკონომიკის სამინისტროს უკარნახა, თუ როგორ უნდა ემოქმედა.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული ახალი გარემოებები თავისი სამართლებრივი ბუნებით არ წარმოადგენენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში რეგლამენტირებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ ხსენებული 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღ-

ნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები, თუ მტკიცებულებები, არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას მისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა ფაქტები და მტკიცებულებები იმ განსაზღვრებით როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული.

კერძო საჩივრის ავტორი, წარმოდგენილ საჩივარში, მოთხოვნის საფუძველად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტთან ერთად უთითებს „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს. ხსენებული ნორმის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევას, როდესაც მხარე აღმოაჩენს, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება ყალბია. აღნიშნული ნორმის „გ“ ქვეპუნქტი ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საქმის ხელახალი განხილვის ერთ-ერთ იმ საფუძველს, რომლითაც ირკვევა, რომ საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიკვეთა მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილზე. აღნიშნული ნორმა ადგენს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორს განუმარტავს, რომ ხსენებული საფუძველების არსებობა განმტკიცებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და მხოლოდ ამაზე დაყრდნობით არის უფლებამოსილი საქმის განმხილველი სასამართლო განაახლოს წარმოება საქმეზე, რომელზეც მიღებულია უკვე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში ა. ა-ს არ წარმოუდგენია სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული რაიმე განაჩენი, რომელიც დაადასტურებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის

„ა“ პუნქტით განსაზღვრული გაყალბებული დოკუმენტის არსებობას, ამასთან მას არ წარმოუდენია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც დაადასტურებდა საქმის განმხილველ მოსამართლეთა დანაშაულებრივ ქმედებას, რასაც ითვალისწინებს ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

კერძო საჩივრის ავტორი მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი და მოწინააღმდეგე მხარეს – ეკონომიკის სამინისტროს უკარნახა, თუ როგორ უნდა ემოქმედა.

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის ავტორს განუმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან, სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპროცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელი საპროცესო მოქმედებების შესრულებას. ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხი სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს. თუ არ

არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განჩინება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვითაა მიღებული. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ წარდგენილი განცხადება სწორად დატოვა განუხილველი, ვინაიდან არ არსებობდა განცხადების დაშვების კანონით განსაზღვრული რომელიმე პირობა. ა. ა-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების საფუძვლები**

განჩინება

№ბს-666-658(კს-15)

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ლ-მა 29.08.2005წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება (უმუშევრად და რეგისტრირება) და ასევე 6 თვის კომპენსაციის – 120 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.2006წ. გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.2008წ. განჩინებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.2006წ. გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. ა. ლ-მა ასევე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.2008წ. განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქმეში სს „...“ მესამე პირად ჩართვაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.04.2008წ. განჩინების გაუქმება, რომლითაც არ

დაკმაყოფილდა მისი განცხადება 07.04.2008წ. სხდომის ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.2008წ. განჩინებით ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.2008წ. განჩინება სს „...“ საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 07.04.2008წ. განჩინება ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 18.04.2008წ. განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

16.02.2009წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.2006წ. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2009წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.04.2009წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. 08.05.2009წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 30.04.2009წ. სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.05.2009წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

20.05.2009წ. ა. ლ-მა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2009წ. განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.10.2009წ. განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილისა და 13 მაისის განჩინებები.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო

ნახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.08.2010წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.06.2010წ. განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.08.2010წ. განჩინების გაუქმება და მისი განცხადების არსებითად განხილვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.11.2010წ. განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.08.2010წ. განჩინება.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.08.2010წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.2011წ. განჩინებით ა. ლ-ის შუამდგომლობა მოსამართლე ლ. მ-ის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 15.07.2011წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.08.2010წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო. აღნიშნული განჩინებები კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.2011წ. განჩინებების გაუქმება და მისი განცხადების დასაშვებად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.11.2011წ. განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.2011წ. განჩინება.

23.01.2012წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 22.11.2011წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.2012წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 22.11.2011წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

10.05.12წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.2011წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2012წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.11.2012წ. განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.2011წ. განჩინება.

09.01.2013წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2012წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.13წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის ა. ლ-ის განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვის დავალება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.04.2013წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.2013 წ. განჩინება.

22.07.2013წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.2013 წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.08.2013 წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2013 წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.08.2013 წ. განჩინება.

18.02.2014წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.08.2013 წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.02.2014წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.05.2014წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.02.2014 წ. განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2014 წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.03.2015წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2014 წ. განჩინება.

21.05.2015 წ. ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საა-

პელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2014 წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015 წ. განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში არასრულად არის ასახული დავის საგანი, არასწორად არის ჩამოყალიბებული განჩინების შესავალი ნაწილი, რადგან კონკრეტულად არ არის გამოყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე, საქმის განხილვის ფორმა და ა.შ., სასამართლოს მიერ ასევე დარღვეულია რიგი საპროცესო ნორმები, მათ შორის, საქმე განხილულია ერთპიროვნულად, კოლეგიური შემადგენლობის ნაცვლად. ა. ლ-ი მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა არსებითად არ იმსჯელეს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და ზედაპირულად განიხილეს დავა, რაც განპირობებულია სასამართლოს მიკერძოებითა და არაობიექტურობით. სასამართლოს განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა კერძო საჩივარი, არსებითად უნდა ემსჯელა მის საფუძვლებზე. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული და ყველა წინმსწრები განჩინება, უნდა განახლდეს საქმის წარმოება და მოხდეს სარჩელის სრული დაკმაყოფილება. ა. ლ-ი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვისას დაცული ჰქონდა ერთგვანი ვადა, რომელიც უნდა ათვლილიყო უზენაესი სასამართლოს განჩინების მხარისათვის ჩაბარების დღიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ლ-მა 21.05.2015 წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ამავე სასამართლოს 28.11.2014წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების, საქმის წარმოების განახლების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით. კერძო სა-

ჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქმე სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განხილული ერთპიროვნულად, ამასთანავე დაცული აქვს სასამართლოსთვის მიმართვის ერთთვიანი ვადა. სააპელაციო სასამართლოს 29.07.2015 წ. განჩინებით ალ-ის განცხადება დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს. სსკ-ის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან (სსკ-ის მე-4 მუხ.) გამომდინარე, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადანყვეტილების გამოტანამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. ამასთან, სსკ-ის 426-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განსჯად სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში ა. ლ-ი სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებდა იმ ფაქტს, რომ დავის განხილვისას სს „...“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც კერძო საჩივრის ავტორის აზრით, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას. აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძ-

ველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში, ამდენად, დგინდება, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანამდე რამდენიმე წლით ადრე. შესაბამისად, მართებულია გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს მითითება ა. ლ-ის მიერ სსკ-ის 426-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ვადის დარღვევის შესახებ და ამ საფუძველით ა. ლ-ის 21.05.2015 წ. განცხადების განუხილველად დატოვება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადება უნდა განეხილა სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას და დავის ერთპიროვნულად გადაწყვეტა არის საპროცესო ნორმათა დარღვევა, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. სსკ-ის 34.11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. სსკ-ის მე-6 მუხლი ჩამოთვლის მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებს და მათ შორის ასახელებს სოციალური დაცვის საკითხებზე აღძრულ სარჩელებს („გ“ ქვეპუნქტი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა იყო რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება და უმუშევრის შემწეობის გაცემა. მოთხოვნა ემყარებოდა იმყამად მოქმედ „დასაქმების შესახებ“ კანონს. ამდენად, საქმე შინაარსობრივად ეხებოდა სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებს. შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო ა. ლ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი განეხილა და გადაენწყვიტა ერთპიროვნულად.

განმცხადებელი უთითებს, რომ მისი მიზანია გაუქმდეს სააპელაციო პალატის 28.11.2014 წ. განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, ასევე ყველა წინმსწრები გადაწყვეტილება (განჩინება), რათა ხელახლა მოხდეს მისი სარჩელის არსებითად განხილვა და დაკმაყოფილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.2006წ. გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც კანონიერ ძალაში შევიდა 31.12.2008წ., უზენაესი სასამართლოს მიერ ა. ლ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით. ა. ლ-

ის მითითებით მისი საბოლოო მიზანი სწორედ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაა. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განსახილველი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო პალატის 28.11.2014 წ. განჩინების გაუქმების შემთხვევაშიც, ამასთანავე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. ლ-ის სარჩელზე არსებითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (31.12.2008წ.) 5 წელზე მეტია გასული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს 29.07.2015წ. გასაჩივრებული განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მართებულად დარჩა განუხილველად, ამდენად, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაძიების
ნარმოების განახლების საფუძვლები**

განჩინება

№ბს-774-766(კს-15)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-ემ 10.09.2007წ. სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროსა და მესამე პირის – თ. ხ-ის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამართლოს მიერ 27.05.2005წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, მას თ. ხ-ის სასარგებლოდ 4 603 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, 21.03.2006წ. შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურომ ქ. გორში, ... ქ. №172/3-ში მდებარე ბინაზე ჩაატარა აუქციონი. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ აუქციონი ჩატარდა მთელი რიგი დარღვევებით, კერძოდ, ზემოხსენებული ბინა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ არასწორად იქნა შეფასებული, შეფასებისას არ იქნა გათვალისწინებული სახლის მიშენებული ნაწილი, რომელიც მის ფასს მნიშვნელოვნად გაზრდიდა. ამასთანავე, მოსარჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ იგი არ იყო გაფრთხილებული აუქციონის ჩატარების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 26.04.2006წ. აუქციონის, მისი შედეგებისა და შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს 31.05.2006წ. განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 18.03.2008წ. გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. მ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.09.2008წ. განჩინებით ზ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 18.03.2008წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა გორის რაიონულ სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.03.2009წ განჩინებით ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.09.2008წ. განჩინება.

გორის რაიონული სასამართლოს 08.07.2010წ. გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 21.03.06წ. და 26.04.06წ. ჩატარებული აუქციონები თანმდევი შედეგით და შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს 31.05.2006წ. განკარგულება ქ. გორში, ... ქ. №172/3-ში მდებარე უძრავი ქონების თ. ხ-ისათვის ნატურით გადაცემის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულმა ორგანომ – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2010წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გორის რაიონული სასამართლოს 08.07.10 წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის მ. დ-ის 31.05.06 წ. №06-09 განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.10 წ. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა ზ. მ-ის მიერ, რომელმაც ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.10 წ. გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება – 21.03.06 წ. და 26.04.06 წ. აუქციონებისა და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.09.2011წ. განჩინებით ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2010წ. გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ზ. მ-ემ 25.05.2015წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა სსკ-ის 423.1 მუხლის „ა“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2010წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. გან-

მცხადებელმა ახლად აღმოჩენილი გარემოების სახით ის მიუთითა, რომ გორის შს სამმართველოში დაიკითხა გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე – ქ. ს-ძე, რომლის მიერაც არის გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი. განმცხადებლის განმარტებით, გორის შს სამმართველოში დაკითხვისას, ქ. ს-ს განუცხადებია, რომ მას არ გამოუწერია სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნულის შემდგომ საგამოძიებო განყოფილებაში დაკითხულ იქნა სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის პირველი პირი (დედანი). როგორც ირკვევა, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცლის გარეშე გამოუწერია 01.07.2010წ. განკარგულება ნატურით ქონების გადაცემაზე. 01.07.2010წ. განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია 2005 წელს სააღსრულებო ფურცლის ჟურნალის არსებობის და მასში სააღსრულებო ფურცლის გატარების შესახებ, რაზეც 22.07.2010 წ. მიიღო პასუხი, რომ 2005 წელს სააღსრულებო ფურცლის გაცემის რეგისტრაცია ხდებოდა სააღსრულებო წარმოებათა რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ჟურნალში. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სააღსრულებო ფურცელი გორის რაიონული სასამართლოს სააღსრულებო წარმოების რეგისტრაციის ჟურნალში არ არის რეგისტრირებული. ამასთანავე, სამოქალაქო საქმეში №2/541 არ არსებობს განჩინება „სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის და გადაწყვეტის წესის შესახებ“ და არ არსებობს სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.2015 წ. განჩინებით ზ. მ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2010 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსკ-ის მუხ. 422) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსკ-ის მუხ. 423) განცხადების წინამძღვრები. ზ. მ-ე განცხადების დაკმაყოფილების ფაქტობრივ საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააღსრულებო ბიურომ სააღსრულებო წარმოება აწარმოა არარსებული სააღსრუ-

ლებო ფურცლის მიხედვით. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ 2015 წელს გორის შ.ს. სამმართველოში დაიკითხა გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ქ. ს-ე, რომლის მიერაც არის გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი და რომელმაც დაკითხვისას უარყო სააღსრულებო ფურცლის გამოწერა. განმცხადებლის მითითებით, აღნიშნულის შემდგომ, საგამოძიებო განყოფილებაში დაკითხულ იქნენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის პირველი პირი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დგინდება სააღსრულებო ფურცლის სიყალბე და მოსამართლე ქ. ს-ს დაკითხვის ფაქტი. პალატამ მიიჩნია, რომ ზ. მ-ის მიერ, სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმეზე მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები და მითითებული ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მხარისათვის საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობის დროს არ იყო ცნობილი და ადრე რომ ყოფილიყო მის მიერ წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა განცხადებაში მითითებული გარემოებები და ზ. მ-ის 25.05.15წ. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.2015წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ზ. მ-ის მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადების ავტორი საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებს მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ გორის შს სამმართველოში დაიკითხა გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე – ქ. ს-ე, რომლის მიერაც არის გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი.

გორის შს სამმართველოში დაკითხვისას, ქ. ს-მ განაცხადა, რომ მას არ გამოუწერია სააღსრულებო ფურცელი საცხოვრებელი ბინის აღსრულებაზე. აღნიშნულის შემდგომ საგამოძიებო განყოფილებაში დაკითხული იქნენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები და აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის პირველი პირი (დედანი). განმცხადებელი თვლის, რომ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცლის გარეშე მიუღია განკარგულება ნატურით გადაცემული ქონების მიღებაზე. ზ. მ-ე აღნიშნავს, რომ 01.07.2010წ. განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია 2005 წელს სააღსრულებო ფურცლის ჟურნალის არსებობისა და მასში სააღსრულებო ფურცლის აღრიცხვის შესახებ, რაზედაც 22.07.2010წ. მიიღო პასუხი, რომ 2005 წელს სააღსრულებო ფურცლის გაცემის რეგისტრაცია ხდებოდა სააღსრულებო წარმოებათა რეგისტრაციისათვის ჟურნალში. განმცხადებლის განმარტებით, სააღსრულებო ფურცელი გორის რაიონული სასამართლოს სააღსრულებო წარმოების რეგისტრაციის ჟურნალში რეგისტრირებული არ არის.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის – ქ. ს-ის მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოწერის უარყოფა საქმის მასალებით არ დასტურდება. განმცხადებელს არ წარმოუდგენია და საქმის მასალებში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საქმის მასალებით ასევე ვერ დგინდება, რომ საგამოძიებო განყოფილებაში დაკითხულნი იქნენ სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლები, რომლებმაც თითქოს უარყვეს სააღსრულებო ფურცლის პირველი პირის არსებობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს. სსკ-ის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამომწურავია და არ დაიშვება მისი განვრცობითი განმარტება. საზედამხედველო წარმოება, რომელიც ითვალისწინებდა კანონიერ ძა-

ლაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას ნორმის უსწორო გამოყენების გამო, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის. საპროცესო კანონმდებლობით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება (სსკ-ის 423-ე მუხ. „გ“ ქვეპუნქტი), აგრეთვე იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება (სსკ-ის 423-ე მუხ. „ა“ ქვეპუნქტი). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის წარმოების განახლება ხსენებული საფუძვლით შესაძლებელია, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი (სსკ-ის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ამდენად, კერძო საჩივრის მითითება გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიერ და აგრეთვე სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ შს ორგანოებში დაკითხვისას მიცემულ ჩვენებებზე, სააღსრულებო საქმის მასალების და სააღსრულებო ფურცლის გაყალბებაზე, არ ქმნის კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველს, ვინაიდან კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლებისათვის აღნიშნული გარემოებები სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით უნდა იყოს დადასტურებული. ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენს აგრეთვე ზ. მ-ის განცხადებაში დამატებით მითითებული სხვა გარემოებანი, როგორცაა სააპელაციო ინსტანციაში მოსამართლის (ლ. მ-ის) მიერ ერთი და იგივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში რამოდენიმეჯერ მონაწილეობა, შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ ნივთების აღწერის სიის შედგენა, სასამართლო ოქმის ჩანაწერის უსწორობა და სხვა. საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე სამართალდარღვევა, ამასთანავე, საქმის წარმოების განახლება არ გულისხმობს ნორმის სისწორის გამოყენების გადამოწმებას, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები ცნობილი იყო ზ. მ-ისათვის სასამართლოში საქმის განხილვისას, ხოლო საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ამ გარემოებებზე.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების გა-

ნახლებისათვის უტყუარად უნდა იქნეს დადასტურებული, რომ ისინი არსებობდნენ საქმის განხილვის დროისათვის, ხოლო მხარემ მათი არსებობის შესახებ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა. განსახილველ შემთხვევაში ზ. მ-ის მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვერ იქნა მითითებული და წარმოდგენილი რაიმე ახალი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარისათვის საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობის დროს არ იყო ცნობილი და ეს მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო მის მიერ წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ასეთი ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზ. მ-ის განცხადებაში მითითებული არ არის. ზ. მ-ის მიერ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია ცნობილი იყო სასამართლოსათვის საქმის არსებითი განხილვის დროს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააღსრულებო მასალების არარსებობის საკითხი ზ. მ-ის მიერ სასამართლოს წინაშე ისმებოდა აღმასრულებლის 31.05.06წ. №06-09 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ საკითხის განხილვის პერიოდში, აღნიშნული გარემოება მითითებულია ზ. მ-ის სასარჩელო განცხადებაში. ზ. მ-ე 25.05.15წ. განცხადებაში თავად აღნიშნავს, რომ სააღსრულებო საქმის წარმოების მასალების არარსებობის შესახებ საკითხი დასვა ჯერ კიდევ გორის რაიონული სასამართლოს 25.01.08წ. სხდომაზე, სასამართლოს მიერ საქმის მასალები გამოთხოვილ იქნა სააღსრულებო ბიუროდან, 18.03.08წ., 30.04.09წ. სასამართლოს წარედგინა სააღსრულებო საქმის ქსეროასლი. საქმეში დაცულ ზ. მ-ის 13.03.08წ. განცხადებაში გორის რაიონული სასამართლოს მიმართ განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ქართლის სააღსრულებო ბიურომ აღსრულება ჩაატარა კრედიტორ თ. ხ-ის მიერ ყალბი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რის გამოც განმცხადებელი ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის კანონიერების დადგენას. საქმის არსებითი განხილვის დროს ზ. მ-ის მიერ არაერთგზის დასმულა სააღსრულებო ფურცლის ძალაში შეუსვლელ გადაწყვეტილებაზე გამოტანის, სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო წარმოების ჟურნალში რეგისტრაციაში არგატარების საკითხი. ამდენად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში და კერძო საჩივარში დასმული საკითხები ცნობილი იყო სასამართლოსათვის საქმის არსებითი განხილვის დროს, რის გამოც ისინი არ წარმოადგენენ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს. ახლად აღმოჩენილ გარე-

მოებას არ წარმოადგენს ისეთი გარემოება, რომელიც ცნობილი იყო საქმის განხილველი სასამართლოსათვის. სსკ-ის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ ზ. მ-ისათვის და საქმის განხილველი სასამართლოსათვის მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები ცნობილი იყო. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს საზედამხედველო წარმოებას, რომლის ფარგლებში იქნებოდა შესაძლებელი ნორმის გამოყენების სისწორის გადამოწმება. დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსკ-ის 422-ე მუხ.) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსკ-ის 423-ე მუხ.) განცხადების წინამძღვრები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.09.2015წ. გასაჩივრებული განჩინებით ზ. მ-ის 09.01.2013წ. განცხადებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2010წ. გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე მართებულად ეთქვა უარი. ამდენად, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 423-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.09.2015წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების განახლების თაობაზე
განცხადების შუტანის ვადა**

განჩინება

№ბს-458-453(კს-16)

3 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-მა 01.11.2006 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 09.02.1999 წ. №48 ბრძანებულების და 26.02.2002 წ. №872 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს, დაეკისროს მოსარჩელისთვის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ყოველთვიურად 2934 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.10.2008 წ. გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2009 წ. გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.10.2008 წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის – 9780 ლარის ოდენობით, ნ. ბ-ის სარჩელი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო-სათვის 2007 წლის 1 სექტემბრის შემდგომ ყოველთვიურად სარჩოს დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.11.2009წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო-სა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

29.05.2014წ. ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 23.06.2009წ. გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, განსამარტივებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 9 780 ლარი შეადგენდა თუ არა 10 თვის სარჩოს ჯამს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.06.2014 წ. განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ნ. ბ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.11.2014წ. განჩინებით ნ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.06.2014წ. განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.2009წ. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ნ. ბ-ის განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.04.2015წ. განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, განემარტა განმცხადებელს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდის 10 თვის სარჩოს – თვეში 978 ლარის გადახდა, სულ 9780 ლარის ოდენობით.

23.12.2015 წ. ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 23.06.2009წ. გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოება-

თა გამო გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.02.2016წ. განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება ახლადდამოწინილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 423-ე, 426-ე, 429-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სახეზეა სსკ-ის 426.4 მუხლით გათვალისწინებული განცხადების შეტანის დაუშვებლობის საფუძველი – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5-წლიანი ვადის გასვლა. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.11.2009 წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2009 წ. გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ნ. ბ-მა სასამართლოს მიმართა 23.12.2015 წ., ანუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდგომ, ამდენად, სააპელაციო პალატის მიერ წარმოდგენილი განცხადება მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ნ. ბ-ის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ სასამართლომ საერთოდ არ განიხილა და არ შეაფასა სამართლებრივად ნ. ბ-ის არგუმენტაცია, არ გაითვალისწინა აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.04.2015წ. განჩინება, რომლითაც არსებითი ცვლილების შეტანა მოხდა სააპელაციო პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილებაში. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ 5-წლიანი ვადის ათვლა უნდა დაინდოს სააპელაციო პალატის 22.04.2015წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან. ნ. ბ-ი ითხოვს ხელახლა განსახილველად განცხადების სააპელაციო პალატაში დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ბ-ის კერძო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი ანესრიგებს. სსკ-ის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან (სსკ-ის მე-4 მუხ.) გამომდინარე, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. ამასთან, სსკ-ის 426-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ (სსკ-ის 264.2 მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ნ. ბ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 23.12.2015წ. და მოითხოვა სააპელაციო პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილების გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.06.2009წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით იყო გასაჩივრებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ნ.ბ-ის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.11.2009წ. განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ამდენად, სააპელაციო პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 12.11.2009წ., უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის 5-წლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს საა-

პელაციო პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.02.2016წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან, რადგან განმარტების მეშვეობით ხდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანი დებულებების განმარტება და აღსრულების ხელშეწყობა, რაც არ ცვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღს. გადაწყვეტილების განმარტებისას არ ხდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა (სსკ-ის 262-ე მუხ.).

ამდენად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 23.06.2009წ. გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის სსკ-ის 426.4 მუხლით განსაზღვრული 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყო სააპელაციო პალატის 23.06.2009წ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან – 2009 წლის 12 ნოემბრიდან და ამოიწურა 5 წლის გასვლის შემდეგ – 2014 წლის 12 ნოემბერს (სკ-ის 123.2 მუხ.). ნ. ბ-მა კი წარმოების განახლების მოთხოვნით სააპელაციო პალატას მიმართა 23.12.2015წ. – განცხადების შეტანისათვის განკუთვნილი 5-წლიანი ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს 12.02.2016წ. გასაჩივრებული განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მართებულად დარჩა განუხილველად, ამდენად, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.02.2016წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების განახლების თაობაზე
განცხადების შეტანის ვადა**

განჩინება

№ბს-958-949(კს-16)

24 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 10 ოქტომბერს ა. წ-მა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება.

განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 11 სექტემბერს მისთვის ხელმისაწვდომი გახდა საჯარო რეესტრში დაცული მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, კერძოდ კი, 2016 წლის 9 სექტემბერს საჯარო რეესტრიდან გადაგზავნილ წერილზე დართული ორი დოკუმენტი – 1939 წლის 31 იანვრით დათარიღებული მუნიციპალური საწარმო „...“ საინვენტარიზაციო ბარათი, რომელზედაც ფანქრით არის აღნიშნული „არ გაიცეს“ და 1975 წლის 14 ივნისით დათარიღებული მუნიციპალური საწარმოს „...“ ტექნიკური აღრიცხვის ბარათი, რომელზედაც ასევე ფანქრით არის აღნიშნული „ცნობა არ გაიცეს“. ორივე დოკუმენტი და მასში არსებული ინფორმაცია მისთვის (ა. წ-ისთვის) აქამდე ხელმისაწვდომელი იყო, რადგან მისი ქონების წართმევით დაინტერესებული იყო ქ. ქუთაისის მერია. შესაბამისად, აქამდე არ შეეძლო წარმოედგინა ინფორმაცია, რომელიც დაამტკიცებდა, რომ მუნიციპალურ საწარმოზე დამაგრებულ 4000 კვ/მ და 3003 კვ/მ მიწის ნაკვეთებზე (ამ საწარმოების მის (ა. წ-ის) საკუთრებაში აღრიცხვამდე) მერიის მიერ მითითებულ პირებს არ გააჩნდათ 104.1 კვ/მ, 11.67 კვ/მ და 4.2 კვ/მ მიწის ნაკვეთების კანონიერი სარგებლობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის ა. ნ-ის განცხადება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2000 წლის 4 ივლისს ა. ნ-ის წარმომადგენელმა – ქ. კ-ემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების – ქუთაისის მიწის მართვის სამმართველოს, ქუთაისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოსა და ქუთაისის ტექალრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1968 წლის 17 აპრილის №244 გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისში, ... გამზირის №50ა-ში ქალაქის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული გენერალური გეგმისა და ქ. ქუთაისში, ... გამზირის №9-ში 1959 წლის 15 ოქტომბრის ინვენტარიზაციის შედეგად შეთანხმებული გეგმა-ანაზომით გამოყოფილ ფართზე მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ნ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და დაევალა ქ. ქუთაისის მიწის მართვის სამმართველოს ქ. ქუთაისში, ... გამზირი №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და ქ. ქუთაისში, ... გამზირი №9-ში მდებარე 3003 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ა. ნ-ზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა. ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“ დირექტორის სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მთავრობისა და შპს „...“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ა. ნ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ა. ნ-ის სახელზე გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №9-ში მდებარე მუნიციპალურ სანარმო „...“ დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ფართით – 1146,10 კვ.მ და ქ. ქუთაისში, ... გამზირის №50ა-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი – 1752,90 კვ.მ, ხოლო და-

ნარჩენი ფართის რეგისტრაციაზე მას უარი ეთქვა უსაფუძვლო-ბის გამო; ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ. ქუთაისში, ... გამზ. №48ა-ში მდებარე შენობის ქვეშ არსებული 104,92 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გატარება, ხოლო მისასვლელი გზის სერვიტუტით დატვირთვაზე შპს „...“ ეთქვა უარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით (საქმე №ბს-1428-1003(კ-05)) ა. წ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება. ამდენად, ა. წ-ის სარჩელით დაწყებული საქმის წარმოება დასრულდა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LII თავის – „განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი“, ნორმების საფუძველზე განმარტა, რომ განცხადების განხილვა ექვემდებარება სტადიებს: 1. განცხადების დასაშვებობა; 2. განცხადების საფუძვლიანობა. განცხადების დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამომგებს ორ კრიტერიუმს: განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და განცხადების სსსკ-ის 427.1. მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სსსკ-ის 427.1 მუხლი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. ზემოაღნიშნული კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავის განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ

დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქმის მასალების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან განცხადების შეტანამდე გასული იყო 5 წელზე მეტი. შესაბამისად, განცხადება არ აკმაყოფილებდა განცხადების დასაშვებად ცნობის კრიტერიუმს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. წ-ის მიერ, რომელმაც მიუთითა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა საკასაციო პალატაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განჩინება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში ა. წ-მა – 2008 წლის 21 ნოემბერს გაასაჩივრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2016 წლის 5 მაისს სტრასბურგის სასამართლოდან მიიღო შოტყობინება მისი საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ, რაც ასევე ევროპული სასამართლოს რეგლამენტით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა და ჯერჯერობით შედეგი არ მიუღია. კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ მისი განცხადების დასაშვებობის საკითხის განხილვისას არ დაუთმო სათანადო ყურადღება განცხადებაში მითითებულ მნიშვნელოვან გარემოებებს და თანდართულ 50 დოკუმენტს, რომლებიც მისი უფლების აღკვეთის გარდა ამავე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან წინა წლებში უყურადღებობის მიზეზით განპირობებულ სახელმწიფოს ინტერესების დენადი ზარალის ფაქტსაც ასახავენ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ა. წ-ის კერძო საჩივრის გაცნობის

შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან (სსკ-ის მე-4 მუხ.) გამომდინარე, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადაწყვეტილების გამოტანამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ (სსკ-ის 264.2 მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ა. წ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2016 წლის 10 ოქტომბერს და მოითხოვა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით იყო გასაჩივრებული ა. წ-ის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის

საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება 2008 წლის 27 მაისს შევიდა კანონიერ ძალაში, უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის გამო მას არ გაუშვია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის 5-წლიანი ვადა, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენა არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადის დენის შეჩერების საფუძველს, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს“ ან „არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება“. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს, რომ მის საჩივარზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამდენად, მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის საფუძველზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადის დაცვაზე მხარის მითითება არ იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შესაძლებლობას.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ საა-

პელაციო პალატამ განცხადების დასაშვებობის საკითხის განხილვისას სათანადო ყურადღება არ დაუთმო განცხადებაში საქმის განახლების საფუძვლად მითითებულ გარემოებებს, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პირობის – განცხადების გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ შეტანის დაუშვებლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად არ გააჩნდა განცხადების საფუძვლიანობაზე მსჯელობის შესაძლებლობა.

ამდენად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყო საოლქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან – 2008 წლის 27 მაისიდან და ამოიწურა 5 წლის გასვლის შემდეგ – 2013 წლის 27 მაისს (სკ-ის 123.2 მუხ.). ა. წ-მა კი წარმოების განახლების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ოქტომბერს მიმართა – განცხადების შეტანისათვის განუეთენილი 5-წლიანი ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის გასაჩივრებული განჩინებით ა. წ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მართებულად დარჩა განუზილველად, ამდენად, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების შესახებ განცხადების
შეტანის ვადა**

განჩინება

№ბს-609-606(კს-17)

19 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 9 დეკემბერს ე. ა-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის 2008 წლის 29 აგვისტოს საბაჟო №601/1577/08 შეტყობინების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ე. ა-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი და მხარეს განესაზღვრა ვადა. კერძო საჩივრის ავტორს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ე. ა-ას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად იმ მოტივით, რომ აპელანტის მიერ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ

ვადაში არ იქნა შევსებული ხარვეზი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაა-საჩივრა ე. ა-ამ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქ-მება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა იმ მოტივით, რომ მის მიერ სახელმწიფო ბაჟი ვადაში იქნა გა-დახდილი, მაგრამ ხარვეზის გამოსწორების თაობაზე საბუთე-ბის წარდგენა სასამართლოში ვადაში ვერ მოხერხდა ე. ა-ას ავადმყოფობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემ-ბრის განჩინებით ე. ა-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის გან-ჩინება.

ე. ა-ას წარმომადგენელმა ლ. ზ-მა 2017 წლის 3 მაისს გან-ცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატას. განმცხადებელმა სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გა-რემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებით ე. ა-ას წარ-მომადგენლის ლ. ზ-ის განცხადება, ქუთაისის სააპელაციო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმო-ჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესა-ხებ დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინებით ე. ა-ას დაუდგინდა ხარვეზი, რის გამო-სასწორებლადაც მიეცა ვადა – 5 დღე. ამავე განჩინებით ე. ა-ას კანონით დადგენილი წესით განემართა, რომ ხარვეზის დადგე-ნილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩე-ბოდა განუხილველი. 2017 წლის 15 მაისის განჩინების ასლი კა-ნონით დადგენილი წესით გაეგზავნა ე. ა-ას წარმომადგენელს, ლ. ზ-ს, რომელიც მას პირადად ჩაბარდა 2017 წლის 19 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 70-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ ხარვეზის დად-გენის შესახებ 2017 წლის 15 მაისის განჩინების ასლის 2017 წლის

19 მაისს პირადად ჩაბარდა ე. ა-ას წარმომადგენელს ლ. ზ-ს. ამდენად, ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 20 მაისს და ამოიწურა 2017 წლის 24 მაისს 24:00 საათზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 29 მაისს შევიდა (ფოსტაში ჩაბარების თარიღი – 27.05.17წ.) ე. ა-ას წარმომადგენლის ლ. ზ-ის განცხადება ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ, ხოლო 2017 წლის 30 მაისს (ფოსტაში ჩაბარების თარიღი – 27.05.17წ.) სააპელაციო სასამართლოს კანცელარიას ჩაბარდა ე. ა-ას წარმომადგენლის ლ. ზ-ის განცხადება თანდართული სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელს, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა განჩინების ას-ლი, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ამ განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ გამოუსწორებია და ამ ვადაში არც საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის გაგრძელება მოუთხოვია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ა-ას წარმომადგენელმა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს, რომ 2017 წლის 15 მაისის ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარების პერიოდში ჰქონდა ოჯახური პრობლემები მისი არასრულწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამასთან, საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ მას არ ჰქონდა თანხა, ე. ა-ი კი იმყოფებოდა საფრანგეთში, რომელიც გამგზავრებისას იმედოვნებდა, რომ საფრანგეთიდან მალევე დაბრუნდებოდა და მის მიერ საჭიროების შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა სახელმწიფო ბაჟი.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შვილის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ე. ა-ას ახლობლების მოძიება, რის გამოც 2017 წლის 24 მაისს შეადგინა განცხადება ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ. მოსამართლე ამ თარიღს არ აღნიშნავს და ვადა აითვალა განცხადების სასამართლოში შესვლიდან. მოსამართლემ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, რომლის თანახმად, „სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო

საქმის მასალებს, შეამოწმა ე. ა-ას წარმომადგენლის ლ. ზ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველები. 427-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. ზემოაღნიშნული კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე, თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავის განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძ-

ლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის განჩინებით ე. ა-ას ხარვეზის აღმოსაფხვრელად – სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადასახდელად განესაზღვრა ვადა – 05 (ხუთი) დღე ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ხარვეზის დადგენის შესახებ 2017 წლის 15 მაისის განჩინების ასლი 2017 წლის 19 მაისს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით პირადად ჩაბარდა ე. ა-ას წარმომადგენელს – ლ. ზ-ს. შესაბამისად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 20 მაისს და 2017 წლის 24 მაისს 24:00 საათზე ამოიწურა. ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ 2017 წლის 24 მაისს შედგენილი განცხადება ე. ა-ას წარმომადგენელმა ლ. ზ-მა 2017 წლის 27 მაისს ჩააბარა ... ფოსტის ... განყოფილებას, რაც დასტურდება განცხადებაზე დართულ საფოსტო კონვერტზე დასმული შტემპელითა და №... შტრიხკოდით. შესაბამისად, განცხადების ავტორმა 3 დღით გადააცილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადას, რის გამოც სასამართლოს აღარ გააჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ავტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა 427-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მუხლში მოცემულ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშ-

ნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ კერძო საჩივრის ავტორის საბოლოო მიზანს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინების, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება წარმოადგენს. ე. ა-ას წარმომადგენელი ლ. ზ-ი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განსახილველი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის განჩინების გაუქმების შემთხვევაშიც, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ე. ა-ას სარჩელზე არსებითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (16.12.2009წ.) 5 წელზე მეტია გასული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ა-ას წარმომადგენლის ლ. ზ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ე. ა-ას წარმომადგენლის – ლ. ზ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები

| | |
|---|----|
| მიკუთვნებული ნივთის მოსარჩელისათვის ანაზღაურების გზით აღსრულება | 3 |
| სააღსრულებო წარმოებაში მხარის ინფორმირების ვალდებულება | 13 |
| ყადალადადებული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის კანონიერება | 30 |
| ინფორმაციის თავისუფლების საკითხი სააღსრულებო წარმოების მიმართ | 48 |

2. სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები

| | |
|---|------------|
| ადმინისტრაციული აქტების მოქმედების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება | 61 |
| ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება .. | 66; 78; 91 |
| ყადალის დადება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება | 100 |
| უძრავი ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება | 104 |

3. უფლებამონაცვლეობის დადგენა

| | |
|---|-----|
| საპროცესო უფლებამონაცვლეობა | 110 |
| რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლეობის დადგენა .. | 131 |
| ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამონაცვლეობის დადგენა | 135 |
| მუნიციპალიტეტის საქმეზე უფლებამონაცვლედ ცნობა 141 | |
| მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამონაცვლეობის დადგენა | 153 |
| სოციალური დაზღვევის სამსახურის უფლებამონაცვლეობის დადგენა | 159 |

4. საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

| | |
|--|-----|
| საქმის წარმოების განახლების წინაპირობები | 162 |
|--|-----|

| | |
|--|----------|
| ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წინაპირობები | 175 |
| ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები | 183; 193 |
| საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების შეტანის ვადა | 201; 206 |
| ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა | 213 |

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge